ოთარ გოგილაშვილი

ოთარ გოგილაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

დაიბადა 1938წ. 21 თებერვალს ქ. თბილისში. 1956წ. დაამთავრა თბილისის მე-60 საშუალო სკოლა ოქროს მედლით. 1961წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1965-1968 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ და ილიას უნივერსიტეტში.

წლების განმავლობაში არჩეული იყო საბჭოთა კავშირში ტექნიკური საგნების სწავლების სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრად.

1992-2007 წლებში იყო თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორი. არის საქართველოს განათლების აკადემიის აკადემიკოსი. მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 წიგნი საქართველოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში და სხვ.

ოთარ გოგილაშვილი იყო მრავალი საერთაშორისო კონგრესების და კონფერენციების ორგანიზატორი და მონაწილე. მათ შორის ფილოსოფოსთა XX 1998 წ. ქ. ბოსტონი (აშშ) და XXI ქ. სტამბული (თურქეთი) 2003 წ. კონგრესების მომხსენებელი.

ამჟამად ის არის საქართველოს ტექნიკის ფილოსოფოსთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ოთარ გოგილაშვილი

საქართველო ლამაზი

თბილისი - 2013

ოთარ გოგილაშვილი

საქართველო ლამაზო

თბილისი - 2013

UDC(უაკ) 821.353.1-32
გ-60

წინასიტყვაობა

ამ მცირე ფორმატის წიგნში მოცემულია რამოდენიმე ათეული ჩანახატი დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებიდან. წიგნში მოთხრობილი ამბები თითქმის სრული სიმართლეა. ძირითადად შეცვლილია გვარსახელები. ეს წიგნი მომავალ თაობებს შეახსენებს იმ რთულ პერიოდს, რომელიც გაიარა საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების და მის შემდგომ პერიოდში.

მოცემულია რამოდენიმე იუმორისტული ჩანახატიც, რომლებიც რეალური ცხოვრებიდანაა აღებული.

პატივისცემით
ოთარ გოგილაშვილი

ISBN 978-9941-0-5530-0

თბილისი - 2013

ტაგუ ხუნტუა

სამეგრელოში სიდედრთან სტუმრობა ყოველთვის კარგ გუნებაზე მაყენებდა. დილით ჩავედი ზუგდიდში. მატარებელთან მეუღლის ბიძაშვილი ბათუ დაგვხვდა. ბათუმ მანქანაში ჩაგვსხა და მოგვიბოდიშა, სანამ რუხში წავალთ ერთი წუთით ჩაის ფაბრიკაში უნდა შევირბინოო. მანქანა ზუგდიდის გარეუბანში გაჩერდა. მანამ ბათუ მოვიდოდა მანქანიდან გადმოვედი და სეირნობა დავიწყე. ერთ-ერთ ჭიშკარზე წარწერა იყო: პროფესორ ტაგუ ხუნტუას ქუჩა. ეზოში შევიხედე, დიდი ცაცხვი თითქმის მთლიანად ფარავდა ორსართულიან სახლს. ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, მე ვიმყოფებოდი ყოფილი ჩემი პედაგოგის და შემდეგ კათედრის გამგის სახელობის ქუჩაზე. რა უცნაურია ცხოვრება რამდენი იუმორი ჰქონდა ამ კაცს, როგორ უყვარდა სიცოცხლე და ადამიანი და ამ სიცოცხლის ნაცვლად ჩემს წინ იყო უბრალო წარწერა, მაგრამ იუმორი უკვდავია და ამ წარწერამაც კი ხუმრობის ხასიათზე დამაყენა, გამახსენდა ზოგი რამ ტაგუ ხუნტუას ცხოვრებიდან.

სექტემბრის თვე იყო. სტუდენტები უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძირითადი კორპუსის ეზოში ვურიამულობდით. ინსტიტუტის ეზოში იდგა რამოდენიმე ავტომობილი „ჩაიკა", რომლებიც საცდელ გადარბენაზე ჩამოსულიყვნენ რუსეთიდან. ჩვენთან ერთად მანქანებს კორესპონდენტები ეხვეოდნენ. მათ შორის იყო თბილისელთა საყვარელი ფოტოკორესპონტენტი მიხეილ მანუკიანი,

რომელსაც თბილისელები ზედმეტსახელად „პროფესორს” ეძახდნენ.

ლექციაზე შესვლა დაგვაგვიანდა. ლექტორი უკვე აუდიტორიაში იყო. ზოგი პირდაპირ ფანჯრიდან გადმოდიოდა აუდიტორიაში. გაგებული გვქონდა, რომ ეს კაცი პროფესორი ტაგუ ხუნტუა იყო. ბატონი ტაგუ საშუალოზე მაღალი, ჩასხმული, საკმაოდ წარმოსადეგი მამაკაცი იყო. მისი ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ თმები არ ჰქონდა, მაგრამ ისე ლამაზად იპარსავდა თმებს სამართებლით, რომ ეს თითქოს უხდებოდა კიდეც. ბატონი ტაგუ რამოდენიმე წუთს ფეხზე იდგა, ხმას არ იღებდა. ბოლოს სიჩუმე დაარღვია და იკითხა: რა ჰქვია ისეთ ადამიანს, რომელიც სახლში კარებიდან კი არ შედის, არამედ ფანჯრიდან ხტება? ბატონ ტაგუს ეგონა, რომ სტუდენტები უმალ უპასუხებდნენ – გიჟი ბატონო ტაგუ. პასუხი სრულიად მოულოდნელი იყო – მეგრელი პატივცემულო, წამოიძახა რომან ვასაძემ. ბატონი ტაგუ შეცბა, ხმა არ ამოუღია, გადაშალა ჟურნალი და დაიწყო სიის ამოკითხვა. იგი ეცნობოდა სტუდენტებს, გვეკითხებოდა სადაურები ვიყავით, როგორ დავისვენეთ ზაფხულში და ა.შ. მოულოდნელად კარები გაიღო, შემოვარდა გამწარებული „პროფესორა”, ენა ებმეოდა, უჭირდა აზრის გამოთქმა და გამწარებული ხელებს კალათბურთელ ცუნცულასკენ იშვერდა. ბატონმა ტაგუმ „პროფესორა” დააწყნარა, დასვა სკამზე და ჰკითხა, კი მაგრამ რამ აგაღელვათ ასე საშინლად. „პროფესორა” კვლავ აღელდა, წამოხტა სკამიდან, მივიდა კალათბურთელ ცუნცულასთან და თქვა: ამ ბიჭმა შეურაცხყოფა მომაყენა, „პროფესორა” დამიძახაო. ბატონი ტაგუ შორს იყო სპორტიდან, ის ფეხბურთზე არ დადიოდა და არც „პროფესორას” არსებობა იცოდა. ის ვერ მიხვდა, რატომ აღიზიანებდა ფოტო კორესპონდენტს ეს სახელი. კი მაგრამ, მთელი ჩემი ცხოვრება იმას შევწირე, რომ პროფესორი გავმხდარიყავი და თუ პროფესორის დაძახება ვინმეს ეწყინებოდა ამას ვერ წარმოვიდგენდიო დასძინა ბატონმა ტაგუმ. მან ფოტო კორესპონდენტი დაამშვიდა, რომელმაც მალე დატოვა აუდიტორია. ბატონი ტაგუ ჩვენსკენ მოტრიალდა.

ახალგაზრდებო, ასე თუ ისე მე თქვენ გაგიცანით. ახლა გაგაცნობთ ჩემს თავს. წარმოშობით ზუგდიდელი ვარ. ბავშვობიდანვე შევუდექი შრომით საქმიანობას, სიყრმის ასაკში სამუშაოდ წავედი ბაქოში. დღისით ვმუშაობდი აფთიაქში პროვიზორის თანაშემწედ, საღამოს კი ქართულ თეატრში მოკარნახედ. ასე გავატარე შვიდი წელიწადი. მიჭირდა, მაგრამ მაინც ვაგროვებდი ფულს. მაშინ ბაქოში შემნახველი სალაროები არ იყო და უჩუმრად ფულს ძველი სავარძლის სარჩულში ვინახავდი. ერთხელ თეატრიდან დაბრუნებისას ეს ძველი სავარძელი არ დამხვდა, მეზობელმა ქართველმა ყმაწვილმა მითხრა, მეძველმანემ ჩამოიარა და ერთ კილო შავ პურში გავუცვალეო. გაოგნებულმა ხმა ვერ ამოვიღე, ან როგორ გამომეჩინა, რომ ამდენ გაჭირვებას ვითმენდი და ფულს კი უჩუმრად ვინახავდი.

დავტოვე ბაქო და თბილისში გადმოვედი. ექიმობაზე ვოცნებობდი. მისაღები გამოცდები თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩავაბარე,

ქულები არ მეყო და მიმღებმა კომისიამ მეტალურგიის ფაკულტეტზე ჩამრიცხა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ტაგუ შემდეგში მეტალურგიაში გახდა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დეკანი და კათედრის გამგე, მისთვის ყველაზე სასიამოვნო პროფესიული მოგონება მაინც ის იყო, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში აფთიაქში მუშაობდა პროვიზორის თანაშემწედ.

სასწავლო წელმა სწრაფად გაირბინა. გაზაფხულზე ბატონ ტაგუს გამოცდას ვაბარებდი. პროფესორი ერთ-ერთ საკითხზე შემედავა. მე არ დავთმე, არც ის აპირებდა დათმობას. ამ რთულ სიტუაციაშიც არ უღალატა ბატონ ტაგუს იუმორის გრძნობამ და მითხრა: იცი რა, ავიღებ ბილეთს შიგნით არ ჩავიხედავ ისე დავადებ თითს საკითხებს, თუ იმ საკითხს მიპასუხებ ფრიადს დაგიწერ, თუ არა და ოთხს. მე ვერ მივხვდი პროფესორის ეშმაკობას და უცბად დავთანხმდი. მან აიღო ერთ-ერთი ბილეთი დაადო ბრმად ბილეთს თითი, შემდეგ შიგნით ჩაიხედა, ცხადია ბილეთი მე არ მაჩვენა, ირონიულად ჩაიცინა, მერე მე შემომხედა და მითხრა, იცი რა, ბედი არ გქონია, ისევ ის საკითხი შეგხვდა. მივხვდი, რომ ბატონმა პროფესორმა გამაცურა, ხომ ვერ შევკადრებდი მაჩვენეთ ეს ბილეთი მე თვითონ წავიკითხავ მეთქი. დამარცხებულმა დავტოვე აუდიტორია.

მრავალმა წყალმა ჩაიარა. მე ტაგუ ხუნტუას თანამშრომელი გავხდი. ერთხელ ბატონი ტაგუ

საქართველოს მწერალთა კავშირში მიიწვიეს. ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი ფარჯანაძის გახმაურებული რომანის განხილვაზე. როცა პროფესორი კათედრაზე ავიდა სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, ქართველ მწერლებს აინტერესებდათ პროფესორის აზრი ავტორზე და თვით ნაწარმოებზე, ვინაიდან ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის პროტოტიპი თვით ბატონი ტაგუ იყო. იცით რა, მიმართა მან დარბაზს, როგორც სტუდენტი მე ბატონი გიორგი არ მახსოვს, ვინაიდან მე მამახსოვრდებიან კარგი და ცუდი სტუდენტები. ემჩნევა ბატონი გიორგი საშუალო სტუდენტი იყო, რაც შეეხება რომანს მე ის არ წამიკითხია, დარბაზმა გულიანად გადაიხარხარა.

თამადობა უყვარდა ტაგუ ხუნტუას. არ მახსოვს რომ ვინმესთვის ეწყენინებინოს. ცდილობდა ყველას მოფერებოდა, ყველას პერსონალური სადღეგრძელო შეესვა. ერთ-ერთი პურმარილი გვიანობამდე გაგრძელდა. თენდებოდა, ბატონი ტაგუ ქეიფის ეშხში შევიდა. იმატა წასვლის მსურველთა რაოდენობამ. ტაგუ მათ არ უშვებდა, არა და ბევრი იყო დარჩენილი სადღეგრძელოები. სუფრის წევრები ჩქარობდნენ, სთხოვდნენ თამადას გაეერთიანებინა სადღეგრძელოები. ბატონმა ტაგუმ ყანწი აიღო, შეავსო და წარმოთქვა: რაკი არ იშლით მაშ გაუმარჯოს პწ-ს კ წ-ს და პ რ წ-ს. ამ სადღეგრძელოში იუმორიც იყო, სამაგიეროს გადახდაც და ვალის მოხდაც. სუფრის ნებისმიერი წევრი ან

პარტიის წევრი იქნებოდა, ან კომკავშირის ანდა პროფკავშირის.

ფიქრებიდან მანქანის საყვირმა გამომიყვანა. ბათუ დაბრუნებულიყო. კიდევ ერთხელ შევათვალიერე წარწერა – პროფესორ ტაგუ ხუნტუას ქუჩა. აცხონოს ღმერთმა წარმოვთქვი ხმამაღლა და წავედი მანქანისაკენ.

1991წ. 17 ოქტომბერი.

ტრიბუნის ბიჭები

გიორგი ძია პედაგოგიურ ინსტიტუტში ყველაზე საყვარელი კაცი იყო. მან ბევრ ეპოქასა და რექტორს გაუძლო. ნამდვილი ოქროპირი იყო ძია გიორგი. მიესალმებოდი თუ არა,მადლიანად გიპასუხებდა: ღმერთმა დაგლოცოს შვილო. თანამშრომლებს უყვარდათ გიორგისთან პურის გატეხვა. მადლიანი სადღეგრძელოები იცოდა დალოცვილმა. ზოგჯერ გაიხსენებდა ხოლმე ბოლშევიკების შემოსვლას საქართველოში, იმ დროინდელ მაუზერიან კომკავშირლებს, კოლექტივიზაციის პერიოდს, მეორე მსოფლიო ომს და ა.შ. ვერასოდეს ვერ გაიგებდით მისგან ვინმეს გაკილვას, რომელიმე ეპოქის,ან ლიდერის აუგად მოხსენიებას,ამისთვის არ იყო გიორგი დაბადებული.

დიდი ინტერესით შეხვდა ის „პერესტროიკის” შემდეგ აღმავალი ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას. ესწრებოდა ინსტიტუტის ეზოში გამართულ მიტინგებს და უხაროდა, რომ ამ დიდ საქმეში ახალგაზრდობა წამყვანი ძალა იყო. ერთი კი იყო, მას ვერ გაეგო როგორ აღმოჩნდა ყალთაბანდ სტუდენტთა ერთი ჯგუფი ამ პატრიოტულ საქმის მოწინავეებში, რატომ დუმდა პროფესურა, რისი ეშინოდა, რატომ შეითავსა პროფესურამ მეთვალყურის როლი.

სტუდენტები საქართველოს სრული ეროვნული დამოუკიდებლობის გარდა მიტინგებზე აყენებდნენ შიგა საინსტიტუტო პრობლემებს. აღნიშნავდნენ, რომ ინსტიტუტში არის მაფია, დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც ხრწნის ახალგაზრდობას და დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს მომავალს. გიორგი ძიას ეს მოსწონდა, ამის შესახებ მან სტუდენტებზე უკეთ იცოდა. მას სულ

სხვა რამ აკვირვებდა. ორატორ სტუდენტთა ერთი ნაწილი რაღაც მაქინაციებით იყო მოწყობილი, ხოლო ზოგიერთი მათგანის მშობელი თვითონ იყო მაფიის აქტიური წევრი. ძნელი გასაგები იყო გიორგისთვის ეს ფსიქოლოგიური მომენტი. დიდი სხვაობა იყო მაუზერიან კომკავშირლებსა და დღევანდელ კომკავშირლებს შორის. მაუზერიანი კომკავშირლები მშობლებს არ ინდობდნენ, სიცოცხლესაც კი უსპობდნენ თუ ისინი ხელს უშლიდნენ პროლეტარიატს დიადი მიზნის მისაღწევად. თუ საქმე მოითხოვდა ისინი არც საკუთარ სიცოცხლეს ზოგავდნენ. გიორგი ძია მათ არ ამართლებდა, როგორ შეიძლება სისხლიანი მეთოდების გამართლება, ისინი უბრალოდ ეცოდებოდა, როგორც უბადრუკი იდეის მსხვერპლნი.

სულ სხვა იყო ზოგიერთი დღევანდელი ახალგაზრდა. ტრიბუნაზე ადის პირველი კურსის სტუდენტი გოჩა ჩავლეიშვილი, რომლის მამაც ერთ-ერთი ძლიერი მაფიოზია. გიორგი ძიას ხშირად გაეგონა სტუდენტებისგან: ჩავლეიშვილი გაუმაძღარი კაცია, მიუხედავად იმისა, რომ მისაღებ გამოცდებზე ის ქვეყნის ფულს შოულობს იქამდე ეცემა, რომ საკურსო გამოცდებზე თუ უწყისი გამოგიწერა, იმაშიც ფულს გართმევსო. და აი, ასეთი კაცის შვილი ტრიბუნიდან გაჰკივის, რომ ინსტიტუტი კორუმპირებულია, მას დამნაშავეთა ჯგუფი მართავსო. გიორგის აკვირვებდა ის, რომ გოჩა ჩავლეიშვილი მამამისის ნაყიდი უცხოური მანქანით დასრიალებდა, თითქმის ბავშვმა უკვე ორჯერ მოასწრო ამერიკაში ყოფნა და ამერიკელების ორჯერ გამასპინძლება. მაშინ, როდესაც ინსტიტუტის ბევრ პედაგოგს „ზაპოროჟეციც" არ ღირსებია და თბილისს არ გასცილებია. გოჩა ჩავლეიშვილი ერთა-

დერთი როდი იყო რამოდენიმე მისმა თანამოაზრემ რომელთაც მიკროფონთან ძლიერ აღელვებდათ ქართული სკოლის ბედ-იღბალი, საქართველოს შორეულ და მიუდგომელ სოფლებში მუშაობას ინსტიტუტში დარჩენა ამჯობინა და რა თქმა უნდა მათთვის უმალვე გამოინახა თანამდებობები. იმასაც ამობენ, რომ ერთერთ მათგანს მაფიამ მსუბუქი ავტომობილი აჩუქა გაჩუმების სანაცვლოდ. ზოგიერთმა მშობლების ტრადიცია გააგრძელა და ფულის შოვნა დაიწყო. ძია გიორგისთვის ეს ყველაფერი ძნელი გასაგები იყო.

ბევრმა წყალმა ჩაიარა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა გადახალისდა და სტუდენტებმა მასში ადგილების 30% მიიღეს. ისტორიის კუთვნილება გახდა 1989 წლის აპრილი. 1990 წლის ოქტომბერში ქართველმა ხალხმა პირველად ბოლო 200 წლის მანძილზე ეროვნული პარლამენტი აირჩია და შექმნა ეროვნული მთავრობა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაცხადა. რადიკალური ცვლილებები მოხდა ჰუმანიტარულ ინსტიტუტშიც ახალმა მთავრობამ ნაწილობრივ დაარბია მაფია. ამ მაფიის დარბევაში აქტიური მონაწილეობა ტრიბუნის ბიჭებმაც მიიღეს. რას მოუტანდნენ ტრიბუნის ბიჭები ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, ნეტავ ბევრია საქართველოში მათი მსგავსები, არ ასვენებდა ეს კითხვა ძია გიორგის. მას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ტრიბუნის ბიჭებმა შეიძლება რეალურად გამოსტაცონ იმპერიას საქართველო, მაგრამ ის რომ ტრიბუნის ბიჭებს შეეძლოთ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა ის ამას ვერაფრით იჯერებდა.

1991 წ.

გაუმარჯოს საბაზრო ეკონომიკას

ჰელსინკიდან სტუდენტობის მეგობრის მაუნო კეკონენის მიწვევა მივიღე. ქალიშვილის ქორწილში მპატიჟებდა. როგორც კახელები იტყვიან თან ხარჯი წავიღე: ერთი ყუთი ქინძმარაული, სამარკო კონიაკები და ა.შ. მასპინძელმა როიალ ოტელში მომათავსა. ჯვარის დაწერის ცერემონიალი ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ ეკლესიაში დღის 12:30 საათზე შედგა. თურმე ამ პერიოდში ნეფე-დედოფალს სამსახურში შესვენება ჰქონიათ და ჯვრის წერაც ამ დროს დაამთხვიეს. როდესაც მასპინძლებმა გაოცება შემამჩნიეს მითხრეს: ნუ გიკვირს, ტაიმ იზ მანი – დრო ფულიაო.

მაუნომ მოსაწვევი მომცა, სადაც ეწერა რომ საღამოს 7 საათზე რესტორან „გლორიაში" ქორწილში ვიყავი მიპატიჟებული. დანიშნულ დროს რესტორან გლორიაში ვიყავი. სუფრა 20 კაცზე იყო გაშლილი. სუფრასთან 10 კაცამდე იჯდა. ნეფე-დედოფალი, მეჯვარეები, მშობლები და ახლო ნათესავები. დაახლოებით 10 ადგილი თავისუფალი იყო. თითოეულ ადამიანზე 4 ბუტერბროდი იყო გათვალისწინებული: ძეხვის, ლორის,თევზის და ყველის. სტუმრები მოდიოდნენ, ულოცავდნენ ახალგაზრდებს და საჩუქრად ჩეკს აძლევდნენ. თუ ამ რიტუალს ყველა ერთნაირად აკეთებდა, სამაგიეროდ სულ სხვადასხვა იყო მათი შემდგომი საქციელი. ზოგი მაშინვე უკან მიდიოდა, ზოგი ჯდებოდა სუფრასთან, ხოლო ზოგი სხვა მაგიდასთან ჯდებოდა და თავისთვის უკვეთავდა საჭმელ-სასმელს. 10 საათზე მაუნომ მითხრა, მე მხოლოდ მოტანილი პურმარილის ფული მაქვს გადახდილიო და თუ ვინმეს

კიდევ მოუნდება საჭმლის ან სასმელის დამატება მან ეს საკუთარი ფულით უნდა გააკეთოსო. ჩემთვის ეს იმდენად უცხო და არაბუნებრივი იყო, რომ ვერაფრით ვერ წარმომედგინა ამ მომენტში ქორწილის დამთავრება და ოფიციანტს შამპანურები და ბუტერბროდები მოვატანინე (რაღა თქმა უნდა ჩემი ფულით). ქორწილმა წყნარად ჩაიარა და მშვიდობიანად დამთავრდა.

მეორე დღეს უკვე თბილისში ვიყავი. სახლში ამბავი დამახვედრეს: კახეთში ნიკა პაპა გარდაიცვალა და ხვალ დაკრძალვა არისო. ნათესავებს ვკითხე, როგორ ჯობია წასვლა მეთქი და დამარიგეს, მეტრო ისანთან პავაროტში დადექი, ყველა ავტობუსი კახეთისკენ მიდის და რომელიმეს წაყვებიო. მეორე დილას პავაროტში ვიდექი. ქვეყნის ავტობუსები იდგა კახეთისკენ მიმავალი. საქმე ამოსარჩევად იყო. საბაზრო ეკონომიკა ძალაში შედიოდა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ავტობუსები ცარიელი იყო. დავაზუსტე: მგზავრობა 6000 კუპონი ღირდა. ამასთან მნიშვნელობა არ ჰქონდა თელავში წახვიდოდი თუ საგარეჯოში. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტეტის დეკანის ხელფასი 3000 კუპონი იყო, ხოლო კათედრის გამგის – 1800 კუპონი. ავტობუსების გავსებას 2-3 საათი მაინც დაჭირდებოდა და გადავწყვიტე რკინიგზის სადგურში მეცადა ბედი. რადიოთი გამოაცხადეს, რომ რამოდენიმე წუთში ჩამოდგებოდა მატარებელი თბილისი-წნორის წყალი. ხალხი ამბობდა: ეს კერძო მატარებელიაო. აგაშენა ღმერთმა, რა ტემპში შემოდის საქართველოში კერძო საკუთრება. ვხვდებოდი, რომ მგზავრობა იაფი არ დამიჯდებოდა, მაგრამ კომფორტით მგზავრობის იმედი კი

ჩამესახა. რამოდენიმე წუთში ჩამოდგა განადგურებული, დეფორმირებული, 4 ვაგონისაგან შემდგარი საოცარი სანახაობა, რომელსაც მატარებელს ეძახდნენ. ათასობით ადამიანი მიაწყდა მას, იყო წივილ-კივილი, დიდი და პატარა ვაგონებში დამტვრეული ფანჯრებიდან ხტებოდა. ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი რაღაც უსისტემოდ მოძრავ მორევს დაემსგავსა. უზარმაზარ ალუმინის და ემალის ქვაბებს ფანჯრებიდან ვაგონებში ისროდნენ. დილის ცხრის ნახევარი იყო. ახლა უნდა დაწყებულიყო ბაზარში ნამდვილი ვაჭრობა, კახელებს კი ვაჭრობა უკვე დაემთავრებინათ და რაღა თქმა უნდა დახლებს მათ მაგივრად გადამყიდველები დაიკავებდნენ. სამწუხაროდ მათაც საბაზრო ეკონომიკა თავისებურად აღიქვეს და 500 კუპონად ნაყიდ საზამთროს 5000 კუპონად ყიდიან და ა.შ. თბილისელი სულაც არ შეჭამს საზამთროს, მაგრამ იგივეა კარტოფილზე, პამიდორზე, ლობიოზე და სხვ. საბაზრო ეკონომიკის ქართულმა ვარიანტმა გლეხი გააძევა ბაზრიდან და საშუალო თბილისელი ღატაკად გადააქცია. როგორც იქნა მოძრავი მასა დაწყნარდა და მე-4 ვაგონთან აღმოვჩნდი. მატარებელი დაძვრას აპირებდა, კიბეზე ასვლა განვიზრახე, მაგრამ ახალგაზრდამ გამაფრთხილა, სად მოდიხარ, ხომ ხედავ კიბეზე ცალი ფეხით ვდგევართ, წადი პირველ ვაგონში, იქ სრული თავისუფლებაა და არავითარი პრობლემა არ გექნებათო. კი შენი ჭირიმე, მადლობთ რჩევისათვის, მაგრამ ასეთი ზრდილობიანი კაცი როგორ დაგტოვო კიბეზე, მოვკიდე ხელი, ჩამოვიყვანე კიბიდან და ხელი არ გამიშვია ისე მივიყვანე პირველ ვაგონთან. ჩემდა გასაკვირად ახალგაზრდას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

როგორც მოველოდი პირველ ვაგონში უარესი სიტუაცია იყო, ახალგაზრდას ნირი წაუხდა და შემეხვეწა, ბატონო, გამიშვით უკან, მეოთხე ვაგონში ცოლ-შვილი მელოდება. მე შევიცოდე და ხელ გავუშვი. ბავშვობაში ვჭიდაობდი, ზოგიერთი ილეთი ქართული ჭიდაობიდან გავიხსენე და როგორც იყო მატარებლის კიბეზე აღმოვჩნდი. გადავრჩი, დაკრძალვას ჩავუსწრებდი და ნათესავებში არ შევრცხვებოდი.

მატარებელი დაიძრა. შვებით ამოვისუნთქე. დავიწყე ახლო მეზობლების გაცნობა. ჩემს გვერდით ახალგაზრდა იმერელი იდგა სოფელ აფენიდან. თბილისში ბოლო ხანს იშვიათად ჩამოვდივარ, გურჯაანში პამიდორში საკმაო ფულს იძლევიან. 500 კგ პამიდორი მქონდა ჩამოტანილი, გადამყიდველს ერთიანად მივუწონე და ახლა უკან ვბრუნდები. კი მაგრამ ჭურჭელი? რით ჩამოიტანე ამდენი პამიდორი? წამომცდა გაკვირვებულს. ჭურჭელი ზემოთა მაქვს. კიბეებთან გაუქმებული ტუალეტია და იქ მიწყვია. კი მაგრამ ოთხივე ვაგონშია ტუალეტი გაუქმებული? ვკითხე იმერელს. ოთხივეში, დამაჯერებლად მიპასუხა იმერელმა. კი მაგრამ თბილისიდან წნორამდე მატარებელი თითქმის მთელ დღეს უნდება, ხომ შეიძლება, ხომ შეიძლება ადამიანს გაუჭირდეს? ვერ ვმალავდი გაოცებას. რა ვიცი ბატონო, კერძო მატარებელია და რაც უნდა იმას აკეთებენ. იმერელო კიკინაო, ჩაილულღულა ვიღაცამ. იცი რა შეტრიალდა იმერელი, კახელების დასაცინი მაინც არაფერი გვაქვს, ხომ გაგიგიათ კახელს რომ ჰკითხეს, რა განათლება გაქვსო და ორჯერ ვარ იმერეთში ნამყოფიო. გავშინაურდით, ჩემი ნაცნობობის გეოგრაფია გაფართოვდა და გასასვლელში მდგარ ადამიანებსაც

კი შევეხმიანებოდი ხოლმე. ზოგი რას ყვებოდა და ზოგი რას. მოსავლის აღება ახლოვდებოდა, ყველა შიშით იყო შეპყრობილი რომ ქურდებს არ დაესწროთ. თქვე დალოცვილებო, ადექით და მოსავლის აღების დროს ვენახში გადადით საცხოვრებლად. იცით რა ბატონო, შემომეხმაურა ერთ-ერთი მათგანი, შარშან ბაღი მქონდა (კახელები ბაღს საზამთროს ეძახიან), მე ბაღს ვყარაულობდი და თურმე ქურდები კი მე მყარაულობდნენ. ერთი დღით სოფელში ავედი. და ცარიელზე დამსვეს. ეს ჯილაგგაწყვეტილები თან გვქურდავენ და თან დავცინიან. რაღაც ახალი ტიპის ქურდები გაჩნდნენ. ხახვი მომპარეს და იმ ამოსაწყვეტებს წერილი დაუტოვებიათ: მარუსა ძალო, პატიოსანი ქალი გვეგონე, შენ კი ე ხახვი უნიფხოს დაგითესია და ისეთი მწვავეა, რომ თვალებიდან სულ ცრემლებს გვაყრევინებს. კაცო, ამ ზამთარს ორი ბოცა არაყი მომპარეს მარნიდან. ქურდებს წერილი დაუტოვებიათ: სიმწარე გაშოროს სიტკბო მოგცეს ოთარა ძიაო, ჩაერთო მამაკაცი. კაკაბეთს ვუახლოვდებოდით, რომ ჩოჩქოლი ატყდა, ვიღაცა მოიწევდა გასასვლელისკენ, ლურსმნებივით ჩარჭობილი მგზავრები უკმაყოფილებას გამოთქვავდნენ. ქალი ძალადობდა, პირდაპირ ადამიანებზე გადმოდიოდა, როგორც იყო ჩემამდე მოაღწია. ადამიანის ფერი აღარ ედო, დანა კბილს არ უხსნიდა, მატარებელი კაკაბეთის პლატფორმაზე გაჩერდა, ქალს ჩასვლა ვუშველე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად იქვე კარებთან ჩაცუცქდა, წყლის ჩქრიალი მომესმა, მივხვდი რაც ხდებოდა და თვალები დავხუჭე.

რაც დრო გადიოდა ჩემი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. ნელ-ნელა ავდიოდი კიბის ზედა

საფეხურებზე. ბოლოს როგორც იყო გასასვლელში დავბინავდი. ჩემი ნაცნობობის არე ფართოვდებოდა. ვაგონში ხალხი შედარებით სტაბილურ მდგომარეობაში იყო და მათი საუბრის თემატიკაც შედარებით უფრო სერიოზული იყო. ზოგი გამსახურდიას ამტყუნებდა, ზოგი შევარდნაძეს, ზოგი ქართულ გენს და ა.შ. კაცო, კვირას ბოდბის ხევის ბაზარში ვირი მილიონად გაიყიდა. ჰაი დედასა, ოცი წლის წინ ჩემი ლურჯა ძლივს გავყიდე 15 მანეთად ამოიოხრა ხანშიშესულმა მამაკაცმა. ვირის ხსენებამ გამახსენა, ორი კვირის წინ იმავე ბოდბის ხევის ბაზარში ვირის თითო რკინის ნალში 5 ათასი კუპონი გამომართვეს და წარმოგიდგენიათ, ვირის დანალვა 10 ათასი დამიჯდა, ლაპარაკში ჩაერია ახალგაზრდა. მე მორიდებულად შევკადრე, ბატონო, თქვენ ვირს ორი ფეხი ხომ არ ჰქონდა მგზავრებს გაეცინათ. ჩემი მოპასუხე არ დაიბნა, მარტო წინა ფეხებზე დავნალე, იმიტომ რომ ძირითადი დატვირთვა წინა ფეხებზე მოდის. ისე შენ რა გითხარი, მე ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის დოცენტი ვარ და ავტორიტეტულად ვაცხადებ: დატვირთვის ორი მესამედი ვირის უკანა ფეხებზე მოდის, საშუალება რომ იყოს ახლავე დაგიმტკიცებდით ფორმულებით. გაცხარდა ჭაღარა მანდილოსანი. ამ პაექრობამ ჩამაფიქრა. დიდი ხნის განმავლობაში მასალათა გამძლეობას ვასწავლიდი, მაგრამ არასოდეს არც მე და არც ჩემს სტუდენტებს არ გვიფიქრია იმაზე, თუ ძირითადი დატვირთვა ვირის წინა ფეხებზე მოდის თუ უკანაზე.

მატარებელი ჩემს სადგურამდე მივიდა. შეძლებისდაგვარად შევეცადე ჩემს თანამგზავრებს გამოვმშვიდობებოდი. მომავალ შეხვედრამდე წნორის მა-

ტარებელში ხალხო, მივმართე ჩემს უახლოეს გარემოცვას. თუ კიდევ ივლის წნორის მატარებელი, მიპასუხა ორმა ახალგაზრდამ. თქვენ არ იცნობთ ამ გზას, ლიანდაგს ბევრ ადგილას აკლია შპალები, ხოლო იქ სადაც შპალებია აკლია დასამაგრებელი ჭანჭიკები, საოცარია როგორ დადის მატარებელი. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ლიანდაგები ამ ოთხ ვაგონსაც და ამ მინიმალურ სიჩქარესაც ვერ გაუძლებენ და ალბათ მალე მოძრაობაც შეწყდება. სამწუხაროდ ამ ახალგაზრდების წინასწარმეტყველება რამოდენიმე დღეში ასრულდა. საშინელი ტრაგედია დატრიალდა გურჯაანში, როდესაც საღამოს წნორის მატარებლის ერთ-ერთი ვაგონი ლიანდაგიდან გადმოვარდა. დაიღუპა და დაშავდა რამოდენიმე ადამიანი. ამ ამბავმა ისე შემაძრწუნა, რომ ნოველის წერის შეწყვეტასაც კი ვფიქრობდი.

დაკრძალვას ჩავუსწარი. ნათესავები და მეზობლები გარს შემომეხვივნენ. მომიკითხეს, მოკლედ მესაუბრნენ სიახლეებზე. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ კახეთში მიცვალებულზე ფულის შეგროვების ტრადიცია არ არსებობდა. კახელ კაცს ყოველთვის აკვირვებდა ის ამბავი, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მიცვალებულზე ფულის შეგროვების დიდი ტრადიცია იყო. საბაზრო ეკონომიკამ კახელის ფსიქიკაც მთლიანად შეცვალა. თუ სამეგრელოში ფულის „დაწერა" მეზობლის ეზოში წარმოებს, აქ პირდაპირ მიხა პაპას ეზოში დადგმულ მაგიდასთან სრულდებოდა. ძმები ვალიკო და რეზო აგროვებდნენ ფულს. მე მაგიდასთან მივედი, მინდოდა ვალიკო და რეზო მომეკითხა. შენ უფასოების სიაში ხარ, არაფერზე არ შეწუხდე, გამაფრთხილეს ძმებმა. რამდენს დებს ხალხი

ჩურჩულით ვკითხე ძმებს, მეშინოდა სხვებს არ შეემჩნიათ ჩემი დაინტერესება. ვერან, ადრე სხვანაირად იყო ახლა როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით ყველაფერს ვანგარიშობთ, ვზომავთ და ვწონით. ვინც უბრალოდ დაკრძალვაზე მოვა პატივსა სცემს და წავა – 10 ათასი კუპონი, ვინც ქელეხში დარჩება 20 ათასი კუპონი, ვინც მეორე დილას ხაშზეც მოვა 30 ათასი კუპონი. ქელეხი უმდიდრესი იყო, ორი ხარი და სამი ცხვარი დაკლეს. თამადა ენაწყლიანობდა, ნიკა პაპა 90 წლის იყო, ის ყველას უყვარდა და სადღეგრძელოებში დიდი სითბო და სიყვარული იგრძნობოდა. ბევრი ღვინო დაილია. შეზარხოშებულმა თამადამ თავის მორიგ სადღეგრძელოში, სადაც ის ნიკა პაპას შვილიშვილებსა და შვილისშვილის შვილებს ადღეგრძელებდა საქართველოს კეთილი მომავლის ერთ-ერთ გზად საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი გადასვლა მიიჩნია. გაუმარჯოს საბაზრო ეკონომიკას, ხმამაღლა შესძახა მან. ნასვამი ხალხი ხმაურობდა. მე უკვე მთვრალი ვიყავი. ტირილი მინდოდა. ბოლო დღეებში მოწმე გავხდი ფინური და ქართული საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთი ფრაგმენტის. თბილისში, ვერის უბანში, ფიქრის გორაზე გაზრდილი ბიჭისთვის არც ერთი იყო ახლობელი და არც მეორე. ბაბაიანცის ოტელომ, გიჟი მარგოს კოლორიტმა და დობრი მიშკას აკადემიამ მე სულ სხვა სამყარო შემიქმნა: კაცთმოყვარე და უანგარო.

1993 წ. აგვისტო

ნაშრა

წყნეთელი ბიჭი გიორგი 18 წლისა იყო ომში რომ წაიყვანეს. კავკასიით დაიწყო და ბერლინამდე ჩავიდა. ომის დამთავრების შემდეგ კდიევ რამდენიმე წელი აყურყუტეს წითელ არმიაში. საქართველოში 1949 წელს დაბრუნდა. პროფესია არ გააჩნდა გიორგის. მაწვნითა და ყვავილების მიწით ვაჭრობა მაინცდამაინც არ იტაცებდა და დროებით უმუშევართა რიგებს შეუერთდა. ერთ დღეს შემთხვევით თბილისის „დინამოს" სტადიონთან ჩაიარა. ხალხი შეკრებილიყო და ცხარედ კამათობდა. გიორგი გაიტაცა ფეხბურთის გულშემატკივართა ფანატიკურმა სიყვარულმა ქართული ფეხბურთისადმი, ბევრი მათგანი ფაქტიურად მხლოდ ფეხბურთით ცხოვრობდა. გიორგი „დინამოს" სტადიონის ხშირი სტუმარი გახდა. მისთვის ჩვეულებრივ ამბავად იქცა პაიჭაძეზე, ხომიჩზე, სავდუნინზე, თბილისის და მოსკოვის „დინამოზე", ცდკა-ზე საუბარი.

აპრილის დასაწყისში ფეხბურთის სეზონი იწყებოდა. ქალაქი საფეხბურთო ციებ-ცხელებას მოეცვა. ხალხი სტადიონისკენ დაიძრა, გიორგიც შეუერთდა მათ ნაკადს. მას არც ბილეთი ჰქონდა და არც ფული. ბილეთის ხელზე შესაძენად. სტადიონის მისადგომები ცხენოსან მილიციას გადაეკეტა. გიორგი შურით უყურებდა ბილეთიანებს, რომლებიც სტადიონზე მიემართებოდნენ. თამაში მალე უნდა დაწყებულიყო. უბილეთოდ დარჩენილთა დიდმა ნაწილმა სახლებს მიაშურა, რომ რადიოთი მაინც მოესმინათ საყვარელი გუნდის თამაშის რეპორტაჟი. გიორგიმაც დააპირა

სახლში დაბრუნება, მაგრამ ერთ-ერთმა ნაცნობმა გულშემატკივარმა უთხრა, არ წახვიდე, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, დეზერტირების ბაზრის მხრიდან ნაურას ვაკეთებთო. გიორგიმ ეს სიტყვა პირველად გაიგო, შინაარს ვერ ჩაწვდა, მაგრამ იმედის სხივმა მაინც გამოანათა მის გულში. მან დეზერტირების ბაზრისკენ გადაინაცვლა. იქ რამოდენიმე ასეული უბილეთო გულშემატკივარი შეგროვილიყო. ისინი ერთდროულად წყლის ტალღასავით დაიძრნენ შესასვლელისკენ, გიორგიმ მოასწრო ამ ტალღაში შესვლა. ცხენოსანმა მილიციამ ვერ შეძლო მათი დაკავება. ტალღამ წალეკა კონტროლიორთა რიგები და სტადიონზე შევარდა. გიორგი უკვე სამშვიდობოს იყო გასული, მისთვის არც მილიციას ეცალა და არც კონტროლიორს. ასე დაესწრო თავის სიცოცხლეში პირველად გიორგი საყვარელი გუნდის თბილისის „დინამოს" თამაშს. შემდეგშიც ბევრჯერ უსარგებლია გიორგის ნაურათი. ის არასოდეს დაინტერესებულა სადაური სიტყვა იყო, როგორი წარმოშობის, მაგრამ ერთს ხედავდა, ნაურას მონაწილეები იყვნენ ღარიბები, პატიოსნები ქართულ ფეხბურთზე და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები.

მრავალმა წყალმა ჩაიარა. გიორგიმ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დარაჯად დაიწყო მუშაობა. საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. მთელ ინსტიტუტში სიყვარულსა და სიკეთეს თესავდა. ის შვილებში და შვილიშვილებში ხარობდა. ინსტიტუტში უკვე მას ძია გიორგის ეძახდნენ. განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას გვრიდა იმ პროფესორ-მასწავლე-

ბლებთან შეხვედრა, რომლებიც თავის დროზე ნაურაში მონაწილეობდნენ.

დიდი დრო გავიდა პირველი ნაურის შემდეგ. ყველაფერი შეიცვალა. თბილისი დამძიმდა, ორად გაიხლიჩა. ქართველ კაცს გაუჭირდა ცხოვრება. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქართველი კაცი ეროვნულ მთავრობას გადამთიელის ბორკილებს ამჯობინებდა. საქართველოში ნანატრ ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატზე სიარულს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიტინგებზე ერთმანეთის ლანძღვა-გინება ამჯობინა. ფეხბურთელებმა დაიწყეს მსაჯების ცემა-ტყეპა, ხოლო ქართველმა მაყურებელმა ქვები დაუშინა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს... არ გაგიკვირდეთ-კარგი თამაშისთვის. „დინამოს" სტადიონთან აღარ იკრიბებოდნენ გულშემატკივრები. გიორგიმ ქუჩას მიაშურა. ერთ-ერთ მიტინგს პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ირაკლი მწითური ხელმძღვანელობდა. ის მოუწოდებდა ხალხს ახლავე წასულიყვნენ მთავრობის სახლისკენ და იარაღის ძალით დაემხოთ დიქტატორი. გიორგი გაოგნებული იყო, ის რატომღაც ყველაფერს ფეხბურთს ადარებდა. გაახსენდა 1981 წელი – თბილისს „დინამოს" ტრიუმფი. შემდეგი წლიდან კი დაიწყო ძლიერი კამპანია მწვრთნელის მოსახსნელად. რას არ აბრალებდნენ, როგორ ჭუჭყში და ტალახში სვრიდნენ. რაც შეეხება თბილისის „დინამოს" მაშინდელ წარმატებებს, თურმე მწვრთნელს მასში არავითარი წვლილი არ ჰქონდა, უბრალოდ გუნდში ფეხბურთელთა კარგი თაობა მოსულიყო. ოპოზიციამ თავისი გაიტანა, მწვრთნელი მოხსნეს, რა მოჰყვა შედეგად?

თბილისის „დინამო" გადაიქცა საშუალო კლასის გუნდად, რომელიც თავისი თამაშით არც მტერს და არც მოყვარეს არ აღელვებდა. გიორგი პოლიტიკოსი არ იყო, მაგრამ ცდილობდა ქართული ფეხბურთის ისტორია დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციისთვის შეედარებინა. ვთქვათ ჩამოაგდეს პრეზიდენტი, ხომ არ გაქრება საქართველო პოლიტიკურად და გეოგრაფიულად? თუ თბილისის „დინამო" 10 წელიწადში არ აღსდგა, ეყოფა საქართველოს აღსადგენად 100 ან მეტი წელი? ან ხომ არ შეიძლება საქართველომ საერთოდ შეწყვიტოს არსებობა? ამ ფიქრებით გიორგი მთავრობის სახლისაკენ გაემართა. ხალხის ნაკადს ბოლო არ უჩანდა მთავრობის სახლს მილიცია და მოსახლეობა იცავდა. მოიერიშეები ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან მათ სხვადასხვა მოთხოვნილებები წამოაყენეს, მაგრამ მათ ერთი გრძნობა აერთიანებდათ-სიძულვილი პრეზიდენტისადმი. გიორგის მოეჩვენა, რომ ეს შეიძლება სიძულვილიც კი არ ყოფილიყო, არამედ სპორტული ინტერესი პრეზიდენტის ჩამოგდებისა. მოიერიშეებში მრავლად იყვნენ ყოფილი ფუნქციონერები, პრივილეგირებული ადამიანები, რომელთაც კომუნისტური რეჟიმის დროს არაფერი არ აკლდათ, მათ შორის იყო ინტელიგენციის ის ნაწილიც, რომელთაც ძველი რეჟიმის დროს ყველაფრის ჩაწყობა შეეძლოთ. შეეძლოთ ესარგებლათ სახელმწიფო აგარაკებით, რიგგარეშე მიეღოთ მსუბუქი ავტომობილები, საცხოვრებელი ბინები, სახელმწიფოს ხარჯზე ემოგზაურათ საზღვარგარეთ და ა.შ. გიორგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ მზადდებოდა ნაურა, ნაურა მთავრობის სასახლის

ასაღებად და პრეზიდენტის ჩამოსაგდებად. ნაურა შუა ღამისას დაიწყო, ძმა ძმას ურტყამდა, მამა-შვილს, შვილი-მამას, მოდიოდა ქვების წვიმა, აკაკანდნენ ავტომატები. დაიღვარა ქართველი კაცის სისხლი, დასახიჩრდა ათობით ჯანსაღი ადამიანი. გიორგი არც ერთ მხარეს არ იყო, მას მხოლოდ საქართველო უყვარდა, ის არავის არც ქვას ესროდა და არც ბოთლს. ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა, დამარცხდა საქართველო. ნაურა ჩაიშალა.

გულდათუთქული გიორგი გამთენიისას ტოვებდა რუსთაველის გამზირს. რამდენი სიხარული მიიღო მან პირველი ნაურით, მისი მონაწილეები მზად იყვნენ სიცოცხლეც კი გაეწირათ ქართული ფეხბურთისთვის, საქართველოსთვის. რა უნდოდათ ბოლო ნაურის მონაწილეებს? ვთქვათ ნაურა წარმატებით დამთავრებულიყო. გიორგის ცრემლები წამოუვიდა, ეს არ იყო ნაურა საქართველოს ბედნიერებისათვის, ეს იყო ნაურა სკამებისათვის, პრივილეგიებისთვის, პოლიტიკური ამბიციებისთვის.

ოქტომბერი, 1991 წ.

იმპერიის ბოლო იმედი

სენსაციად მონათლა მსოფლიომ ედუარდ შევარდნაძის დაბრუნება იმპერიის მთავრობაში. თუმც არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა. რამოდენიმე თვის წინ აგვისტოს პუტჩის შემდეგ მიხეილ გორბაჩოვმა ერთერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალ მთავრობაში ის ვარაუდობდა შევარდნაძისათვის ჩაებარებინა საშინაო და საგარეო დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობები. უბრალოდ პრეზიდენტმა თავისი სიტყვა შეასრულა. ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ინტერვიუ, რომელიც შევარდნაძემ მისცა ვალენტინ ზორინს ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე რამოდენიმე დღით ადრე. ბატონმა ედუარდმა განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის და საერთოდ თანამედროვე დიპლომატიის ძირითადი დანიშნულებაა სწორად განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები. მომეჩვენა, რომ ეს იყო ახალი, სახეშეცვლილი, ახალ სიმაღლეზე ასული ადამიანი. მაგრამ ერთმა მოგონებამ ყველა ეჭვი გამიფანტა.

ბატონ ედუარდთან ახლო დამოკიდებულება არასოდეს არ მქონია, მაგრამ შემთხვევამ დაახლოებით 15 წლის წინ რამოდენიმე საათით შემახვედრა ამ ადამიანთან. ეს მოხდა ომალოში. მთათუშეთის საავტომობილო გზის მშენებლობის კამპანია მიმდინარეობდა. 3 დღის განმავლობაში უამინდობის გამო ფრენა არ იყო. ერთ დილას ყველასათვის მოულოდნელად რამოდენიმე ვერტმფრენი ერთდროულად დაეშვა ომალოში. ბატონები: შევარდნაძე, პატარიძე, ათამდე რაიკო-

მის მდივანი და სხვა საპასუხისმგებლო პირები ჩამოფრინდნენ. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ნუთუ ჩვენთვის, რიგითი მოქალაქეებისთვის და მთავრობისთვის სხვადასხვა საფრენი ამინდი არსებობდა? ალბათ ეს გაოცება ძალიან დამეტყო სახეზე და თელავის მაშინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ბატონმა ალიკა კობაიძემ მითხრა: ოფიციალურად ფრენა არ არის, მაგრამ მე მაინც რამოდენიმე ვერტმფრენი ჩამოვიყვანე, თუ საჭირო იქნება 10 ვერტმფრენს კიდევ ჩამოვიყვანო. მე კომპარტიის ყოვლისშემძლეობაში ეჭვი არ მეპარებოდა და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ბატონი კობაიძე 10 ვერტმფრენს კი არა საჭიროების შემთხვევაში 20-აც ჩამოიყვანდა. ცხადია, ბატონი ედუარდი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მე მისგან დაახლოებით 1-2 მეტრზე ვიდექი. ამ დროს ომალოში იყო ექსპედიცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან და ე.წ. არაორგანიზებული ტურისტების რამოდენიმე მცირეიცხოვანი ჯგუფი. ჩემდა გასაკვირად დამხვდურები რესპუბლიკის პირველ კაცს აგრესიულად შეხვდნენ. რამოდენიმე ისეთი ფრაზა გააგებინეს, რომ ნორმალურ ადამიანს ისინი არ უნდა გადაეყლაპა. ბატონმა ედუარდმა ვითომ ვერაფერი გაიგო. თათბირი ყველას თანდასწრებით მინდორზე ფეხზე მდგომარე მიმდინარეობდა. შევარდნაძემ საუბარი ომალოში სკოლის მშენებლობის საკითხით დაიწყო. მან წინადადება წამოაყენა სამშენებლო მასალა ვერტმფრენებით ამოეტანათ. მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა პატარიძემ საკმაოდ მკვახედ უთხრა, რომ ვერტმფრენებით ატანილი მასალით სკოლა არ აშენდებოდა. რამდენადაც

დამაჯერებელი იყო პატარიძის არგუმენტები, იმდენად უსუსურად და არაპრაქტიკულად გამოიყურებოდა შევარდნაძის წინადადებები. ბატონმა ედუარდმა მალე წინააღმდეგობა შეწყვიტა. შორი ახლოს გამოჩნდა ნასვამი ლეკი. სიმართლე გითხრათ ასეთი ჟანგიანი ყბა ცხოვრებაში არ მინახია. ლეკს ჰქონდა ჩაჟანგებული ფოლადის კბილები და როდესაც ის ბატონ ედუარდს პირზე კოცნიდა (ლამის კუჭიდან წვენი ამოუღო) მე თვალები დავხუჭე, ის კი თვალებგაბრწყინებული, ნასიამოვნები იდგა. მისი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ხომ საქართველოს ინტერნაციონალურ ლაბორატორიად გადაქცევა იყო და ლეკის კოცნაც ამ იდეის რეალიზაციას ემსახურებოდა.

საუბარში გზის გამყვანი მუშები ჩაერივნენ. ერთერთმა რესპუბლიკის ხელმძღვანელს ასეთი თხოვნით მიმართა: გზის მშენებლობის დროს იჭრება ხეები, რომლებიც შემდეგ ლპება და აუარესებს გარემოსაც და გზასაც. გთხოვთ მოგვცეთ ამ ხეების შესყიდვის უფლება, ამით სახელმწიფოს საქმეც გაკეთდება და ჩვენიცო. შევარდნაძემ პაუზა გააკეთა, ჩაფიქრდა და თქვა: იცი რა, ნუ დამტვირთავთ წვრილმანი საქმეებით, დამაცადეთ გზის გაყვანა ვუპატაკო მოსკოვსო. ასეთი მარტივი საკითხის გადაწყვეტის გადადება რამოდენიმე წლით უგუნურობა იყო. მაგრამ ბატონ ედუარდს უკვე შერჩეული ჰქონდა პრიორიტეტული მიმართულება მოსკოვი, პოლიტბიურო. ყოველ მის ნაბიჯს, ყოველ მის მოქმედებას უნდა უზრუნველყო პოლიტბიუროს წევრობა. მუშა და ეკოლოგია ამ მიმართულებებში არ შედიოდა.

მრავალმა წყალმა ჩაიარა. ბატონი ედუარდი დღეს მსოფლიოში გავლენიანი და პოპულარული პიროვნებაა. უფრო მეტიც, მსოფლიოს პოლიტიკაში გარკვეულ ამინდსაც კი ქმნის. ამიტომაც იმპერიამ მასზე აიღო ორიენტირი. ფაქტიურად ის იმპერიის ბოლო იმედია. მთელი მსოფლიო ელოდება, შეძლებენ თუ არა გორბაჩოვი, შევარდნაძე და ელცინი ახალი კავშირის, სახეშეცვლილი იმპერიის შეკოწიწებას. რა პოზიცია უნდა დავიჭიროთ ქართველებმა შევარდნაძის მიმართ? ჩემი აზრით ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბატონი ედუარდი ჩავაყენოთ საქართველოს სამსახურში, თუმც ეს არც ისე იოლი საქმე იქნება. არავინ არ დაიჯერებს იმას, რომ კაცი რომელიც ჭირდება რუსეთსა და ამერიკას არ ჭირდებოდეს საქართველოს.

პირველი შემხვედრი ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას.

1991 წ. ნოემბერი

თათბირზე

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ჭიჭიკომ ყურმილი აიღო. წამსვე მირანდას კეკლუცი ხმა გაისმა. ბატონო ჭიჭიკო, ხუთშაბათს ორ საათზე სამინისტროში ხართ დაბარებული. ჭიჭიკოს, შრომითი სწავლების პროფესორს, უცოლო კაცს იშვიათად უწევდა ზემდგომ ორგანოებში თათბირზე ყოფნა და რაღა დასამალია დიდ სიამოვნებას მათში მონაწილებისას არ იღებდა. ამიტომაც მირანდას უპასუხა: ძვირფასო მირანდა, ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ შენ დაგებარებინე, თუნდაც ჭიქა ყავაზე, ამგრამ ამის ბედი მე ვინ მომცაო. მირანდამ ჩაიკისკისა და არ დააყოვნა: ბატონო ჭიჭიკო, ამბობენ კაცი იმედით ცოცხლობსო, თან დასძინა, თათბირის დაწყების წინ აუცილებლად შეიარეთ 38-ე ოთახშიო.

ხუთშაბათს, ორის ნახევარზე ჭიჭიკო სამინისტროს დერეფანში მიაბიჯებდა. ნაცნობი ფილოლოგი შეხვდა, მის ნიჭს დიდ პატივს სცემდა. ფილოლოგმა იკითხა თუ ვინ ატარებდა თათბირს, როცა გაიგო, რომ მინისტრი ან მისი მოადგილე გაეცინა. იცი რა, თქვენ მინისტრს ქალბატონ ლიზიკოს თავის საკანდიდატო დისერტაციაში ორი ჩემი ნაშრომი სიტყვა-სიტყვით აქვს შეტანილი, თურმე ჰგონებია, რომ მე გარდავიცვალე და პასუხს ვერავინ მოსთხოვდა. ამის შესახებ ჩემმა მეგობრებმა გაზეთშიც კი დაწერეს და თუ გაინტერესებს შეგიძლია ნახოო. თან დაასახელა გაზეთის სახელწოდება, წელი თვე და რიცხვი. ფილოლოგის სიტყვებმა გონება აუფორიაქა ჭიჭიკოს და ძლიერ ჩააფიქრა. ერთ-ერთ ყოფილ მინისტრს განათლების გაუნათლებელ

მინისტრს უძახდნენ, ხოლო მეორეს, ქალბატონ თათიას – სატანას. მის სადოქტორო დისერტაციაზე ლეგენდები დადიოდა. ჭიჭიკოს უნებურად დაებადა კითხვა, რა დააშავა საქართველომ? ნუთუ არ გამოინახა ისეთი ადამიანი, რომელმაც იცის საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, არის განათლებული, პატიოსანი და ამავე დროს უყვარს სამშობლო? გონებაში მიმოიხედა და არა ერთი ღირსეული ადამიანი გაიხსენა. შვება მიეცა, თურმე არც ისე ცუდად ყოფილა საქმე. უბრალოდ მან უნდობლობა დაინახა ხელისუფლებისა საზოგადოების მიმართ. ხელისუფლება ამ თანამდებობაზე ყოველთვის „საიმედო" კაცს ნიშნავდა, კაცს, რომელიც იქნებოდა პირველ რიგში მთავრობის და არა საზოგადოების მსახური. ყოფილი კომუნისტური მთავრობის მოქმედება გასაგებია, ის კრემლის დანიშნული იყო და ხალხმა ეს მარიონეტული მთავრობა ჩამოაგდო. ახალ, ხალხის არჩეულ მთავრობას რა დაემართა? რატომ არ ეყრდნობა ის საზოგადოებას? ნუთუ აუცილებელია, რომ თანამდებობა მხოლოდ და მხოლოდ მთავრობასთან დაახლოებულმა პირმა დაიკავოს? იქნებ მთავრობა არ ტყუის და თვით საზოგადოება არ არის მომწიფებული ამისთვის? იქნება ჩვენ ქართველები არა ვართ ჩამოყალიბებული ცივილიზებული ერად და ტყუილად ვცდილობთ გავუტოლდეთ ცივილიზებულ სამყაროს?

ამ ფიქრებში მან მიაღწია 38-ე ოთახს, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ კოლეგები. აქ საერთო შეშფოთება სუფევდა, წინა თათბირზე ახალ ხელმძღვანელობას საკითხი დაუსვამს საქართველოს სკოლებში შრომითი სწავლების გაუქმების შესახებ. ერთმანეთს მისცეს

სიტყვა, რომ დღევანდელ თათბირზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამართავდნენ შრომითი სწავლების მოწინააღმდეგეებთან. თათბირის მონაწილეებს მინისტრის მოადგილის კაბინეტში სთხოვეს. მოსაცდელში ახალმა მინისტრმა ქალბატონმა ლიზიკომ ჩაიარა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ჭიჭიკოს გაახსენდა ყოფილი მინისტრი ქალბატონი თათია ნემსაძე, რომლის ჩავლაზეც ტანკივით მამაკაცები კედელს შპალერივით აეკრობოდნენ ხოლმე. მინისტრმა თავის მოადგილესთან დაახლოებით 15-20 წუთი დაჰყო, ალბათ მოქმედების გეგმა დაუტოვა და წავიდა. თათბირი მის მოადგილეს ქალბატონ ქეთინო ტატიშვილს მიჰყავდა. ის არ იყო აგრესიულად განწყობილი, მაგრამ უჭირდა საქმის შინაარსში ჩაწვდომა. ჭიჭიკოს გამოსვლამ დეტონატორის როლი შეასრულა. კი მაგრამ, რა უნდა მოსწავლეს სახარატო ჩარხთან? წამოხტა ქალბატონი ქეთინო. საოცარია, მოსწავლე და ტრაქტორი, ეს ბოლშევიკური გადმონაშთია, ამან დაღუპა ქვეყანა, იყვირა მინისტრის მოადგილემ. ეს წამოძახილები შეაჯამა და ზოგად საკაცობრიო დასკვნები გააკეთა ერთერთი სამმართველოს უფროსმა ბატონმა მიხეილ ჯიბუტმა. მან აღნიშნა, რომ საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რის გამოც ყოველგვარი კავშირი უნდა გაწყდეს ბოლშევიკურ წარსულთან, საქართველოს განათლება უნდა წავიდეს მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარიზაციის გზით. ბავშვი უნდა აღვზარდოთ შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას ნაწარმოებებზე. როგორ შეიძლება ბავშვს ჩავაცვათ გაზეთილი სამუშაო ხალათი და ის ვამუშაოთ ჩარხზე, ტრაქტორზე, მინდორში. ვაკეთებინოთ მას თიხის ჭურ-

ჭელი და ვაქსოვინოთ წინდები. ხელმძღვანელებს სახეზე კმაყოფილების ღიმილი გადაეფინათ.

ჭიჭიკოს აღარ ახსოვდა რამდენჯერ გამოვიდა. თათბირის მონაწილეებს შეახსენა 100 წლის წინანდელი საქართველო, როდესაც მისი ზოგიერთი პროვინციის სკოლაც კი უკეთესი იყო მატერიალურ-ტექნიკურად აღჭურვილი, ვიდრე დღევანდელი დედაქალაქის ზოგიერთი სკოლა. კი მაგრამ, შოთა, ილია, აკაკი და ვაჟა განა წინააღმდეგნი იყვნენ შრომისა? იკითხა მან. მშიერი კუჭით განა შესაძლებელია ჰუმანური და სამართლებრივი ქართული სახელმწიფოს შექმნა? ბოლო წინადადებამ დარბაზი გამოაცოცხლა, თათბირი უკვე მეხუთე საათს მიმდინარეობდა. მართალია ეს კაცი! ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას! ისროლეს რეპლიკა. შიშველ-ტიტველმა და მშიერმა ბოლშევიკებმა რა დღეშიც ჩააგდეს საქართველო თქვენ კარგად ხედავთ, შემოეშველა შრომის მასწავლებელი. დღევანდელი სამინისტროს ხელმძღვანელობა განათლების ყოფილი გაუნათლებელი მინისტრის პოზიციაზე დგას, დასჭექა გურგენ მახარობლიძემ.

ქალბატონმა ქეთინომ თავი ძლივს ასწია და წარმოთქვა: მე თქვენთანა ვარ ბატონო ჭიჭიკო. ჭიჭიკოს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ქალბატონმა ქეთინომ ვერაფერი ვერ გაიგო. მას ტანჯავდა კითხვა, რამ აიძულა ეს დიდებული ადამიანი და კარგი მეცნიერი დათანხმებულიყო მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნას (სადაც მას არაფერი გაეგებოდა)? ხომ არ იყო ეს წარსულის გადმონაშთი?

1991წ.

თეთრი ლობიო დავთესე...

სტუდენტური არდადეგების პერიოდში თენგილიამ მე და ინური ქუთაისში მიგვიპატიჟა. ჩამოვედით თუ არა მატარებლიდან იქვე ტაქსების გაჩერება შევნიშნეთ. თუ ძმა ხარ ნინოშვილის ქუჩაზე წაგვიყვანე, ვთხოვე ტაქსისტს. ნინოშვილის ქუჩამდე ტაქსი 4 მანეთს წერს, ტუდა-აბრატნა 8 მანეთი, თუმნიდან თქვენ ხურდას არ გამომართმევთ და თუმნის გულისთვის იქ როგორ წამოვიდე? აგერ ძმაკაცს ველაპარაკები და ეს მირჩევნია გვაჯახა ტაქსისტმა. ჩვენ გაოცებულები ვიყავით, არც ტუდა-აბრატნას მიცემას ვაპირებდით და არც ხურდის ჩუქებას. მანამ გონს მოვიდოდი ფეხის ხმა შემოგვესმა. ღუტუშა, თენგილიას ძმაკაცი გვიახლოვდებოდა. ჩამოხვედით ბიჭებო? გვკითხა ღუტუშამ და გადაგვკოცნა. მოკითხვაც ვერ მოვასწარით, რომ შემოგვთავაზა – მეზობელ ქუჩაზე კარგი სასაუზმეა და ცოტა დევიჯღანოთო (გულისხმობდა არყის დალევას). ქუთაისში პირველად ვიყავი და გამიკვირდა, რომ არაფრის შეკვეთა არ მიგვიცია ისე აგვივსო სუფრა მომტანმა. ბიჭებო, დილის მადლი შეგვეწიოს, მანამ ჩვენ გვარიანად დევიჯღანებით თენგილიაც მოგვისწრებს, გვითხრა ღუტუშამ. მალე თენგილიაც გამოჩნდა, მშვენივრად დავნაყრდით. პირველივე წუთებზე ვიგრძენი ქუთაისური პურმარილის მადლი. ღუტუშამ ანგარიში მოითხოვა, მომტანი კარებთან გაჩერდა, შიგნითაც კი არ შემოსულა, შუბლზე მარჯვენა ხელი მიიდო, გეგონება მზეს იჩრდილავსო, სუფრას გადმოხედა და დაიძახა – სემ დესიატ შესტ რუბლეი სოროკ ტრი კაპეიკი.

ქუჩაში გამოვედით. ბულვარში დავიწყეთ სეირნობა. ღუტუშა და თენგილია ქუთაისელ ძმაკაცებს გვაცნობდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა გვითხრა: ბიჭებო, ავტოქარხანაში აკადემიკოსი სამარინია ჩამოსული, საღამოს სტუმრად მყავს მოწვეული და შეგიძლიათ შემოგვიერთდეთო. დიდი თავპატიჟი არ დაგვიწყია, მაშინვე დავთანხმდით.

სუფრას ქუთაისის მოწინავე საზოგადოება ამშვენებდა. მას განთქმული თამადა გერონტი ზიბზიბაძე ხელმძღვანელობდა. თამადამ აიღო ბროლის სასმისი და მიმართა დამსწრე საზოგადოებას: ბატონებო და ქალბატონებო, დღეს ჩვენი სტუმარია ადამიანი, რომელსაც იცნობს და აფასებს მთელი საქართველო, პატარა პაუზა გააკეთა და დაუმატა, არა მარტო საქართველო არამედ მთელი საბჭოთა კავშირი, ახლა უფრო დიდი პაუზა გააკეთა, სუფრის წევრები სულგანაბულნი უსმენდნენ, არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიო, პათოსით წარმოთქვა თამადამ, შემდეგ დაიხარა აკადემიკოს სამარინისკენ და ხმადაბლა ჰკითხა: კაკ ვაშე იმია ი ოტჩესტვო პაჟალუსტა. ამის გაგონებაზე მამაკაცებმა გაიღიმეს, ხოლო მანდილოსნებმა სიცილი ვერ შეიკავეს.

ენა ტკბილი თამადა, იმერული ღვინო და ქუთაისური პურ-მარილი თავისას აკეთებდნენ. ყველანი გავმხიარულდით. წინაპრების სადღეგრძელო ბატონმა გერონტიმ თიხის ფიალით შესვა. ნამეტანი დიდი იყო ის დალოცვილი ფიალა, ნახევარი რომ დავლიე ისეთი სახე მივიღე თითქოს ბოლომდე დავცალე და ვაპირებდი ფიალის ინურისთვის მიწოდებას, რომ ამ დროს გოგონას მათრობელა ხმა შემომესმა: ჩაფიქრებული მაქვს ბოლომდე უნდა დალიოთ, თუ არ დალევთ მე დედა მომიკვდება. გამახსენდა, რომ მას მადონა ერქვა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. თუ არ შეგიძლია მე დავლევ შენს მაგივრად მითხრა თენგილიამ. მოულოდნელად ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. რას გავაწყობდი, ფიალა ბოლომდე დავცალე. მადონამ მადლობა გადამიხადა და ტაში დაუკრა. საქართველოს სადღეგრძელო ლიტრანახევრიანი ყანწით დავლიეთ. აღარც აკადემიკოსი მახსოვდა და აღარც თამადა. გიტარა ხელიდან ხელში გადადიოდა. „თეთრი ლობიო დავთესე ხანდახან აყვავდება, ბიჭმა გოგოს რომ აკოცოს ამით რა დაშავდება...” მღეროდა მადონა და გამომწვევად მიყურებდა. გერონტი ზიბზიბაძე გრძნობდა, რომ ინიციატივას კარგავდა, მან სიმღერით გაიხსენა „ნიორწყალში ჩაწყობილი წივწივაძის წიწილები”. თენგილიამ „ქუთაისო ჩემო დედა იმღერა”. რატომღაც ყველას უნდოდა სოლო – სიმღერა ეთქვა. მე გიტარა მოვითხოვე, მადონასკენ შევტრიალდი და წაუღიღინე: „შენ მარკა ხარ მე კი კონვერტი, დამიმშვენე გოგო გვერდი”. რამოდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ მე და მადონა ერთმანეთის გვერდით ვიჯექით. სადღეგრძელო აკადემიკოსმა მოითხოვა. მან აღნიშნა, რომ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომელს მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი, ნანახი ჰქონდა განვითარებული და განუვითარებელი ქვეყნები, მაგრამ ისეთი კარგი ხალხი, როგორიც ქუთაისში ნახა მას არსად შეხვედრია. ყველანი აღფრთოვანებით ვუსმენდით ამ სიტყვებს. ვიღაცამ შალახო დაუკრა,

ქალებმა აკადემიკოსი აცეკვეს. სოლოს შესასრულებლად მეც გამოვედი. ცხვირსახოცი თბილისში დამრჩენოდა და მადონამ იატაკზე თავისი ცხვირსახოცი გადმოაგდო. სუფრაზე თამადა აღარ არსებობდა. ყველანი ვახტანგურსა ვსვამდით.

როდის დავიშალეთ არ მახსოვს. რამდენი დავლიე არც ის მახსოვს. მთელი ღამის განმავლობაში მადონა მესიზმრებოდა. ხანდახან ჩამესმოდა თამადის, ბატონ გერონტი ზიბზიბაძის შეკითხვა: „კაკ ვაშე იმია ი ოტჩესტვო პაჟალუსტა".

თენგილიას ხმამ გამომაღვიძა: არ დევიჯღანოთ ბიჭებო? თენდებოდა, თენგილიას ღედას სუფრაზე ცხელი ხაში შემოჰქონდა.

1991 წ.

ლამფა

ოცი წელი ბინის აღრიცხვაზე ვიყავი. ერთი პატარა ოთახი მქონდა ლისის ტბის მიდამოებში. აღმასკომებში სირბილის დრო არასოდეს არ მქონია. მე, ჯერ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ასპირანტი ვიყავი, შემდეგ დოცენტი და ბოლოს პროფესორი. მეუღლე დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო. ორი გოგო გყავდა. თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ გოგოებს გავათხოვებდით და ბინა არ დაგვჭირდებოდა. ბევრჯერ მოვინდომე ბინის გაფართოება, მიშენება ან დაშენება, მაგრამ წამსვე ეზოში უბნის რწმუნებული შალიკო ჩნდებოდა და აქტის შედგენით მემუქრებოდა. აღმასკომი არც ბინას მაძლევდა და არც მიშენება-დაშენების ნებართვას. ასე გადავაბიჯე ორმოცდაათ წელს. დაიწყო საქვეყნოდ ცნობილი „პერესტროიკა". ჩემი უფროსი გოგო მაყვალა გათხოვდა. სახლში ზედსიძე შემოგვიდა. საბედნიეროდ ნორმალური მაღარიჩის ფასად მივიღე ჩემი ბინის რეკონსტრუქციის უფლება. პროექტი სამ ოთახზე გავაკეთე. ტუალეტი, აბაზანა და ლოჯიაც მქონდა გათვალისწინებული. ახალი სახლის აშენებამდე ცხადია ძველ ბინას ვერ დავანგრევდი. დავიწყე მშენებლობა, მე და ჩემი მეუღლე ჯერ საძირკვლის ფულს ვაგროვებდით, შემდეგ ბლოკისას, კოჭებისას, შიფერისას და ა.შ. როგორც იყო სახლი გადავხურეთ, შევლესეთ შიგნიდან და გარედან და დაგვრჩა ერთადერთი ოპერაცია. ჭერზე ლამფის მიკვრა. ცემენტის პირველ პარტიაში ტონაში 60 მანეთი გადავიხადე, ბოლო პარტიაში კი ხუთი წლის შემდეგ 500 მანეთი. ბლოკის ფასმა 40 კაპიკიდან 4 მანეთამდე აიწია. შესა-

ბამისად მოიმატა ყველა სამშენებლო მასალის ფასმა. იმპერიის პრეზიდენტმა ფასების მომატების სანაცვლოდ დანაპირები 100%-იანი კომპენსაციისთვის 60 მანეთი გვიწყალობა.

ჩემზე ბედნიერი დედამიწაზე არავინ მეგულებოდა. მშენებლობა მაისის თვეში დავამთავრე, ივნისის თვეში ლამფას ავაკრავდი და სექტემბერში „ნოვოსელიასაც" გადავიხდიდი. პირველად პეპელასთან გავედი, არაფერი გამომივიდა. ივნისი თბილისის ბაზების შესწავლას მოვანდომე, ყველგან უარი მტკიცეს. დომენტი თოლორაიამ მცხეთაში წასვლა მირჩია. აქედან დაიწყო მცხეთის ეპოქა ჩემს ცხოვრებაში.

ორშაბათ დილას მცხეთის ასანთის ფაბრიკას მივადექი. დარაჯს ჩემი თავი წარვუდგინე. მან საწყობის გამგესთან ნახშირივით შავ ავთუასთან მიმიყვანა. და რიხით წარმოთქვა: თბილისელი პროფესორი მოგიყვანეთო. ავთუამ საამქროს უფროსი გამაცნო და სთხოვა, ღმერთის ტოლი კაცია, უარი არ უთხრაო. საამქროს უფროსმა შაქრო წინწალაშვილმა და ავთუამ შემდეგი ორშაბათისთვის დამიბარეს. შემდეგ ორშაბათს ფაბრიკის კარებთან ცნობილი ქართველი ფილოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ვახუშტი ბაგრატიონი, შაქრო წინწალაშვილი და ავთუა დამხვდნენ. იცით რა ბატონო, დიდ ბოდიშს გიხდით, თქვენთვის დამზადებული ლამფა ბატონ ვახუშტის უნდა გავატანოთ, თქვენ კი შემდეგ ორშაბათს მობრძანდითო. კვლავ მოვიდა ორშაბათი დილა, კვლავ ფაბრიკის შესასვლელი, ოღონდ ამჯერაც ჩემთვის დამზადებული ლამფა ცნობილ ქართველ კინორეჟისორს გიორგი შენგელიძეს გაატანეს. ბევრი რომ არ გავაგრ-

ძელო ივლისისა და აგვისტოს ყოველ ორშაბათს მცხეთის ასანთის ფაბრიკაში ვატარებდი. ჩემთვის დამზადებული ლამფა ან ცნობილ პიროვნებებს მიჰქონდათ ან ცნობილ საქმოსნებს. ისე მომეჩვივნენ ფაბრიკის თანმშრომლები, რომ ფაბრიკის ალაყაფთან ჩემი გამოჩენა ჟრიამულს იწვევდა: ძროხუნდი მოვიდა, ძროხუნდი ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

როგორც კი წუწუნს დავიწყებდი ფაბრიკის ხელმძღვანელობა მაშინვე მახსენებდა, არ დაგავიწყდეთ რომ ოფიციალურად ჩვენ მოქალაქეებზე გაყიდვის უფლება არა გვაქვს, ვემსახურებით მხოლოდ მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებსო.

ერთ-ერთ ორშაბათს დარაჯმა მითხრა ავთუას მამა გარდაეცვალა და შაბათს ასაფლავებენო. დიდუბის ავტოსადგურიდან ილტოზაში წავედი. მთელი სოფელი შეკრებილიყო. პანაშვიდს და დაკრძალვას ვიდეოზე იღებდნენ. ყოველნაირად ვცდილობდი ისეთ ადგილას დავმდგარიყავი რომ ვიდეოზე მოვხვედრილიყავი. ქელეხში შვილების სადღეგრძელოს დროს თამადას ხმამაღლა ვთხოვე ავთუას სადღეგრძელო ცალკე გამოეყო და დიდი ჭიქით დაელია. არაფერმა არ მიშველა, მცხეთის ფაბრიკამ ლამფა არ მომცა.

დაიწყო შემოდგომა. ზამთარი ახლოვდებოდა. სიცივე მატულობდა. ჩემი გაჭირვება ჩემს ძველ მეზობელს, მეტყევე შალვა ნემსიწვერიძეს შევჩივლე. იცი რა, მოდი მუხათგვერდის სასაფლაოზე წადი. იქ ჩემი მეგობარი რომანტიკაძე მუშაობს და რაღაცას გაგიხერხებსო. ხასიათი გამიფუჭდა, ალბათ ეს კუბოს საამქრო იქნება მეთქი. მეორე დღეს მუხათგვერდში ავედი, რომანტიკაძე ვიკითხე. ლამაზ,მაღალ ახალგაზრდაზე მიმითითეს. მას ხელში იაპონური კომპიუტერი ეჭირა

და რაღაცას ანგარიშობდა. თქვენ ბრძანდებით რომანტიკაძე? ვკითხე მე. ახალგაზრდას გაეცინა, არა ბატონო, მე რომან ტიკაძე გახლავართ. ვუთხარი, რომ ვიყავი შალვას გამოგზავნილი და მჭირდებოდა ხუთი კუბმეტრი ლამფა. დიდი სიამოვნებით, მეტრს ვყიდი 500 მანეთად, მობრძანდით 10 დღეში და გაგატანთ. მე და ჩემმა მეუღლემ მეზობლებში, ნათესავებში და თანამშრომლებში ვისესხეთ 2500 მანეთი და მივადექი ბატონ რომანს. იცით რა, ფასებმა ამ ათ დღეში აიწია, უკვე მეტრს ვყიდი 800 მანეთად, მოიტანეთ ფული და წაიღეთ. კვლავ ვისესხეთ 1500 მანეთი და კვლავ მივადექი ბატონ რომანს. რომან ტიკაძეს გაეცინა, დღეს კუბმეტრს უკვე 1000 მანეთად ვყიდით, რუსეთმა ფასების ლიბერალიზაცია მოახდინა და ვინაიდან მასალა რუსეთიდან შემოგვაქვს ეს ჩვენს ფასებზედ ახდენს გავლენასო. ვიანგარიშე, კიდევ 1000 მანეთი უნდა მესესხა. მაგრამ დარჩებოდა დღევანდელი ფასი ხვალისთვის? ხელი ჩავიქნიე, ავიხედე ჭერში და შევხედე შიფერს. ალბათ ზამთარს ლამფის მაგივრად შიფერის ყურება მომიწევდა. ავიღე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,მოვძებნე სიტყვა ლამფა,მაინტერესებდა მისი განმარტება. აი ისიც: ლამფა – ჭერის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვევიდან მიკრული). მის ქვევით ლამფის მეორე განმარტებაც იყო: გასანათებელი ხელსაწყო. პირველი სახის ლამფა ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა, მაგრამ მეორე სახის ლამფის განმარტებამ სიამოვნება მომგვარა, გამახსენდა, რომ სიდედრმა ზუგდიდიდან ორი ცალი ლამფა და ერთი ლიტრი ნავთი გამომიგზავნა.

22.XI. 1991

უკაცრავად, მე რექტორი მინდოდა...

გიორგი პატიოსნიძემ ალალმართალი ცხოვრების გზა გაიარა. ბავშვობაში მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო. შიმშილი და სიცივე არ ასცდა. შემდეგ სკოლა, ინსტიტუტი, ასპირანტურა, დოქტურანტურა და ა.შ. 50 წლის ასაკში აკადემიკოსი გახდა. თითქოს ყველაფერს მიაღწია, ყველა ოცნება აუსრულდა. ამას კომუნისტური რეჟიმის დამხობა მოჰყვა, დაიშალა დიდი იმპერია და საქართველომ პოლიტიკურ თავისუფლებას მიაღწია. დარჩა ბატონი გიორგი თავის ტიტულებით შერყეულ საქართველოში. ფული გაუფასურდა, მოსახლეობის ნაწილი სიგარეტებით და სასმელებით ვაჭრობაზე გადავიდა, ნაწილმა კი ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების გახსნა დაიწყო. ბატონი გიორგის ხელფასი მხოლოდ გზის ფულის და პურის ხარჯებს ფარავდა. ის წვრილშვილიანი იყო და ოჯახი შიმშილით რომ არ ამოწყვეტილიყო რაღაცა გზა უნდა გამოენახა. ცხადია, აკადემიკოსი კაცი „ბუდკაში” ვერ ჩადგებოდა და სიგარეტებით ვერ ივაჭრებდა. გიორგის თავში ნათელმა აზრმა გაუელვა, ხომ არ ეცადა ფასიანი ინსტიტუტის გახსნა. მან ეს აზრი თავის კოლეგებს ზაურ ჯიბლაძეს და თეიმურაზ კავთიაშვილს გაანდო.კოლეგებმა ეს იდეა მოიწონეს და დასახეს მისი რეალიზაციის გზები. ისინი შეუდგნენ იმ დოკუმენტაციის გაცნობას, რომელიც საჭირო იყო ინსტიტუტის გახსნისათვის. აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტის გახსნამდე ჯერ უნდა დაფუძნებულიყო რომელიმე საზოგადოება, ხოლო შემდეგ ამ საზოგადოებას უნდა დაეარსებინა

ინსტიტუტი. ზაურიც და თეიმურაზიც პროფესორები იყვნენ, საკმაოდ განათლებული ადამიანები და დოკუმენტაციის შედგენა მათ არ უნდა გაჭირვებოდათ. ორი თვე იმუშავა სამეულმა საზოგადოების დებულების შედგენაზე. გათვალისწინებულ იქნა ყველა ნიუანსი: ამერიკის, გერმანიის, იაპონიის და სხვა ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება. მარტის დასაწყისში პატივცემული პროფესორები გამგეობას მიადგნენ. ასეთ საკითხებს გამგეობაში ბატონი ქაიხოსრო ვახტანგაძე განაგებდა. მასთან ზემოდანაც დაარეკინეს. ქაიხოსრომ გიორგი პატიოსნიძე და მისი მეგობრები დიდი მოწიწებით მიიღო. ბატონებო, თქვენზე ისეთმა საპატივცემულო ადამიანმა დამირეკა, რომ ჩემი იმედი გქონდეთ, ყველაფერში დაგეხმარებით – ბრძანა ქაიხოსრომ. მან მოითხოვა დოკუმენტაცია, წითელი ფანქრით შენიშვნები გააკეთა და გაიღიმა. იცით რა, საბაზრო ეკონომიკა ჩვენში თითქმის არავინ არ იცის, მართალია, პროფესიით მე ვეტერინარი გახლავართ, მაგრამ ბოლო წლებში საბაზრო ეკონომიკაში უდიდესი გამოცდილება მივიღე. ზეგ საღამოს მობრძანდით და დაგეხმარებით დებულების შედგენაში. ბატონმა ქაიხოსრომ ორი თვე ატარა ჩვენი გმირები გამგეობაში და ხან რას უწუნებდა და ხან რას. ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ გიორგი პატიოსნიძე შემთხვევით არ შეყროდა ახალგაზრდა კაცს ქაიხოსროს კაბინეტთან. მან როდესაც თავისი გაჭირვება შესჩივლა, ახალგაზრდას გაეცინა. ბატონო გიორგი, ნუთუ ვერ მიხვდით რა ამოძრავებს ქაიხოსრო ვახტანგაძეს? ის პატივისცემას ელოდება. გიორგი ამის სასტიკი წინააღმ-

დეგი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ქაიხოსრომ თავისი მიიღო. კი მაგრამ, მე რომ თქვენი კოოპერატივი დავამტკიცე, რატომ არ მიგაქვთ ამონაწერი? გაიკვირვა ქაიხოსრომ. გიორგი, ზაური და თეიმურაზი სახტად დარჩნენ. მანანა, დაუძახა ქაიხოსრომ თავის მდივანს, ერთი ძველი ოქმით ამ ხალხს ამონაწერი გაუკეთე ტანსაცმლის ქიმიური წმენდის კოოპერატივის გახსნის შესახებ. არა ბატონო ქაიხოსრო, ჩვენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ვხსნით, ერთად შესძახა სამეულმა. მაგას რა მნიშვნელობა აქვს ბატონებო, გაიღიმა ქაიხოსრომ. თქვენი საქმე დამტკიცებულია, უკარნახეთ მემანქანეს ტექსტი და მოგართმევთ ამონაწერს. პროფესორები გაოგნებულები იდგნენ, ხელში ამონაწერი ეჭირათ და არ სჯეროდათ, რომ ყველაფერი ასე სწრაფად გადაწყდებოდა, რომ მათ განათლებულობას და ინტელექტს არავითარი ფასი არ ექნებოდა, რომ „პატივისცემა" ყველა პრობლემას მოხსნიდა.

საზოგადოების დაფუძნებისათვის აუცილებელი იყო 50 ათასი მანეთი. პროფესორებს ეს თანხა არ გააჩნდათ. გიორგი პატიოსნიძემ ძველი ჟიგული გაყიდა. კოლეგები შეპირდნენ, როგორც კი საზოგადოებას შემოსავალი შემოუვიდოდა, მაშინვე ამ ფულს უკან დაუბრუნებდნენ.

სამეულმა შეარჩია შენობა, შეადგინა სასწავლო გეგმები, შეიპირა პროფესორ მასწავლებლები და რამოდენიმე თვის წვალების შემდეგ მიიღო ლიცენზია უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ. ჯერი მიდგა გაზეთში განცხადების გამოქვეყნებაზე და

ტელევიზიით ინფორმაციის მიწოდებაზე. გაზეთმა განცხადების გამოქვეყნებაზე ათი ათასი მანეთი მოითხოვა, ხოლო ტელევიზიამ ოცი ათასი. პროფესორებს კაპიკი აღარ ჰქონდათ, არც ისეთი ახლობლები ჰყავდათ, რომ მათგან ესესხათ. გიორგი პატიოსნიძემ და ზაურ ჯიბლაძემ ტელევიზორები გაყიდეს, ხოლო თეიმურაზ კავთიშვილმა ფოტოაპარატი. სადამოს ტელევიზია მთელ საქართველოს ახალგაზრდებს ახალ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლებლად იწვევდა.

5 აგვისტოს დილის 10 საათზე იწყებოდა საბუთების მიღება. 4 აგვისტოს საზოგადოების პრეზიდიუმმა გიორგი პატიოსნიძე რექტორად დანიშნა. ბატონი გიორგი 5 აგვისტოს 9 საათზე უკვე ინსტიტუტში იყო. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ინსტიტუტის ეზოში ხალხის საკმაოდ დიდი ჯგუფი შენიშნა. მას გაუხარდა მათ სიმრავლე, მაგრამ დააეჭვა იმან რომ ეს ადამიანები არც ისე ახალგაზრდები იყვნენ. გიორგი კაბინეტში შევიდა. მოულოდნელად კარები გაიღო და გახარებული ახალგაზრდა შემოვარდა. მე რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ინსპექტორი შალვა მოწონელიძე გახლავართ. საგადასახადო ინსპექციამ ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით ავეჯით დამაჯილდოვა. მომილოცავს ბატონო შალვა, ოჯახის შექმნაც და ავეჯის ჩუქებაც, გულწრფელად მიულოცა გიორგიმ. ბატონმა შალვამ მადლობა გადაუხადა ბატონ გიორგის და აუხსნა: თქვენ თბილისის საავეჯო კომბინატს უნდა გადაურიცხოთ 120 ათასი მანეთი, ის კი ჩემთვის დაამზადებს საჭირო ავეჯს, სამაგიეროდ თქვენი ინსტიტუტი აღმოჩნდება საგადასახადო ინსპექციის

მფარველობის ქვეშ. კი მაგრამ, ჩვენ ჯერ ერთი კაპიკიც რომ არ გაგვაჩნია, წაილუღლუღა რექტორმა. მაგაზე ნუ იდარდებთ ბატონო გიორგი, როცა გექნებათ მაშინ გადარიცხავთ დაამშვიდა სტუმარმა. შალვა მოწონელიძე ისე გავიდა კაბინეტიდან რომ მადლობაც არ გადაუხდია.

მორიგი ვიზიტორი რაიონის პროკურორი იყო. მან მიულოცა რექტორს ინსტიტუტის გახსნა, მფარველობას შეჰპირდა და აუხსნა, რომ ყოველ ახალ წელს ის მეუღლესთან ერთად ტალინში ატარებდა და როგორც წესი მოგზაურობას რაიონის რომელიმე ორგანიზაცია აფინანსებდა. წელს ალბათ თქვენს ინსტიტუტს მოუწევს ამ ხარჯების დაფარვა ზრდილობიანად შეაპარა პროკურორმა, ხელი მაგრად ჩამოართვა გიორგის და წავიდა.

რექტორმა დაიწყო ოფიციალური მიღება. პირველი ახალგაზრდა ქალი იყო. გიორგიმ მას განცხადების ფორმა მიართვა. არა ბატონო, მე უკვე სამი წელია თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დავამთავრე. უმუშევარი ვარ და გთხოვთ მიმიღოთ თქვენს ინსტიტუტში. შემდეგი 30-35 წლის ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, მას იენის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და გერმანული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ადგილს თხოულობდა. მას მოჰყვა მათემატიკის, ფიზკულტურის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სპეციალისტები. ყველა ისინი სამსახურს თხოულობდნენ. ბატონი გიორგი გაოგნებული იყო, იმასაც კი ფოქრობდა რამე შეცდომა ხომ არ გაიპარა გაზეთში ან ტელევიზიაშიო. არც ერთი აბიტურიენტი

არ ჩანდა. მოვიდა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. მან რექტორს აუხსნა, რომ ის სიღატაკის ზღვართან კი არ არის, არამედ უკვე ღატაკია, რის გამოც იძულებულია ეძებოს დამატებითი შემოსავალი. შეუმჩნეველად გაირბინა დრომ. 5 საათზე მიღება თავდებოდა. ბატონმა გიორგიმ ასზე მეტი კაცი მიიღო. ყველას სამსახური უნდოდა, ყველა ფიქრობდა, რომ ახლად გახსნილი ინსტიტუტი ამის შანსს იძლეოდა. შებინდდა, გიორგიმ მაგიდაზე თავი ჩამოდო და ჩათვლიმა. კარებზე კაკუნმა გამოაფხიზლა, ოთახში ვიღაცა შემოვიდა და იკითხა: უკაცრავად მე რექტორი მინდოდა... გიორგიმ თავი ძლივს ასწია და გაცრეცილ პერანგიანი, დაჩაჩანაკებული, 80 წელს გადაცილებული აკადემიკოსი მიხეილ შიმშილაშვილი დაინახა. გიორგი მოწონელიძემ გრძნობა დაკარგა, გონზე თერაპიის ინსტიტუტის სარეამინაციო განყოფილებაში მოვიდა.

1992წ. ოქტომბერი

ღაზი

დაზი დიდბაიძე ოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიბადა კომუნისტების ოჯახში. მაშინ მოდაში იყო სახელები, რომლებიც შედგებოდნენ პოპულარული კომუნისტური გვარების, სახელების და ა.შ. პირველი ასოებიდან. მაგალითად მელორი-მარქსი, ენგელსი, ლენინი, ოქტომბრის რევოლუცია; ვილენი – ვლადიმერ ილიას ძე ლენინი; მელსი – მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი; ლესტანბერი – ლენინი, სტალინი, ბერია და ა.შ. დაზის მშობლებს არ უნდოდათ ეღალატათ რევოლუციური ტრადიციებისთვის და თავიანთ შვილს დაზი შეარქვეს – და ზდრავსვუეტ ილიჩ.

დაზის იუმორის გრძნობა ბავშვობიდანვე განუვითარდა. როდესაც ბოტანიკის მასწავლებელი ბავშვებს შეეკითხა რატომ ეძახიან ზოგიერთ ბოსტნეულს ჯვაროსანთა წარმომადგენელსო დაზიმ დაბეჯითებით უპასუხა: იმიტომ რომ იმათი წინაპრები ჯვაროსანთა ომში მონაწილეობდნენო. როდესაც გეოგრაფიის მასწავლებელი რუქაზე შავ ზღვას ხსნიდა, მან აღნიშნა, რომ ის საკმაოდ ღრმა იყო. დაზი შეეკამათა მასწავლებელს: კი მაგრამ თუ ასეთი ღრმაა, რატომ მასში ასოები არ იძირებაო.

დაზიმ დაამთავრა სკოლა, უმაღლესი, ასპირანტურა და დოცენტი გახდა. ის ცნობილი ქართველი კომპოზიტორის რეზო ლაღიძის მოყვარე იყო. ერთხელ მან ბატონი რეზო და დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი ახლობლებთან ერთად რესტორანში მიიწვია. სუფრას ბატონი რეზო თამადობდა. თბილისელებს

კარგად ახსოვს რეზო ლაღიძის თამადობა და ქართული ღვინის სმის შესაძლებლობები. ვახტანგ ფალიაშვილი ღვინის მაგივრად ლიმონათს სვამდა. შუა ქეიფში ბატონმა რეზომ იხუმრა: ბატონო ბახტანგ, ხომ ხედავთ მე გვარად ლაღიძე ვარ და ღვინოს ვსვამ და შენ რა დაგემართა,რას ჩააცივდი ამ ლაღიძეების ლიმონათსო. ვახტანგ ფალიაშვილი არ დაბნეულა, ბატონო რეზო, თუ მასეა, მე გვარად ფალიაშვილი ვარ, შენ კი მუსიკებს წერ, ასე რომ ბარი ბარში ვართო. სუფრის წევრებს მოეწონათ ხელოვანთა ეს ხუმრობა, ამის შემდეგ რეზო ლაღიძეს ვახტანგ ფალიაშვილისთვის შენიშვნა აღარ მიუცია. დაზი ცდილობდა განსაკუთრებით ესიამოვნებინა რეზო ლაღიძისთვის და მთელი საღამო მის სიმღერებს უკვეთავდა. რა თქმა უნდა უხვად აჯილდოებდა მომღერლებს და ორკესტრანტებს. რეზომ ვედარ მოითმინა და სუფრის წევრებს მიმართა: კაცო, რას მიშვრება დაზი, მთელი საღამო ჩემი სიმღერებით ტკბება და ჩემთვის ერთი კაპიკიც ვერ გაიმეტაო. დაზი ბატონ რეზოს შეპირდა, რომ მეორე დილას ხაშზე წაიყვანდა და პახმელიაზე გამოიყვანდა. ის დილაადრიან მიადგა კომპოზიტორს ბინაზე და ზარის რეკვა ატეხა. დაზის ვიწრო ტყავის კურტკა ეცვა, ბატონმა რეზომ ნახევრადნამძინარევმა გადმოიხედა და გაიცინა: დაზი, ფრთხილად ბიჭო, შემწვარი კუპატივით ხარ და არ გასკდეო. დაზიმ ქვემოდან შესძახა: ბატონო რეზო, აქედან ვაზის ფოთოლში გახვეულ ტოლმას მაგონებ და შენი ჭირიმე, აბა შენ იცი არ დაიშალოო.

დაზისთან ახალგაზრდა მეცნიერი ნიკო გოგოლაძე მუშაობდა. ნიკო ბათუმში საერთაშორისო სიმპოზიუმზე იყო მიწვეული. მან დაზის შესთავაზა ერთად წასვლა. სიმპოზიუმმა მაღალ დონეზე ჩაიარა. ერთი კვირა ზღვაზე ყოფნამ ორივე გაახალისა. წამოსვლის დღეს რესტორან „ინტურისტში” ივახშმეს. მატარებელი ბათუმი-თბილისი საღამოს გამოდიოდა. შეზარხოშებულები შევიდნენ კუპეში, სადაც ორი ახალგაზრდა მოსკოველი ქალი იჯდა. სწრაფად მოძებნეს საერთო ენა. სექტემბერი იყო და ჯერ კიდევ საკმაოდ ცხელოდა. ნიკომ იეშმაკა და თანამგზავრებს მიმართა: იცით რა, ოთხი კაცისთვის ამ სიცხეში ეს პატარა კუპე აუტანელი იქნება, მოდით ასე მოვილაპარაკოთ: მე და სვეტლანა ღამის სამ საათამდე დერეფანში ვიქნებით, მანამ კი ბატონო დაზი და ქალბატონო ლენა თქვენ მოისვენეთ კუპეში. დილით კი მე და სვეტლანა დავიძინებთო. ეს იდეა ოთხივეს მოეწონა. ნიკომ და სვეტლანამ უცბად გაუგეს ერთმანეთს. რამოდენიმე საათი ისინი ერთმანეთის ფერებაში იყვნენ, მაგრამ დერეფანში ყოფნა არც ისე პერსპექტიული იყო. ღამის სამ საათზე მათ კუპეზე კაკუნი დაიწყეს და რა დაინახეს. დაზის ტანსაცმელი არც კი გაეხადა, ის ძლიერ აღელვებული ჩანდა. ნიკო შეცბა, რა მოხდა ბატონო დაზი? მორიდებით შეეკითხა ის უფროს მეგობარს. როგორ რა მოხდა ნიკო, ეს ვისთან დამტოვე, მთელი ღამე მიმტკიცებს, რომ ტროცკი ბოლშევიკი იყო, უბრალოდ მას ვერ გაუგესო.

დაზი ბათუმში იყო მიწვეული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ. ერთ-ერთი სტუ-

დენტის მამამ პურ-მარილი გამართა მის საპატივცემულოდ. სტუდენტი სუფრასთან არ მჯდარა, მაგრამ კარგად იცოდა ვინ იყო დაპატიჟებული. მეორე დღეს ამ სტუდენტმა საკმაოდ სუსტი ცოდნა გამოამჟღავნა. დაზის უნდოდა აუდიტორის თვალში ობიექტური გამოსულიყო და თქვა: გამიჭირდება დადებითი ნიშნის დაწერაო. სტუდენტმა იფიქრა ეგ არის ჩამჭრესო და წამოიძახა: კი მაგრამ რატომ წუხელ არ გიჭირდათ იმხელა ყანწებს რომ ატრიალებდითო.

თბილისი. 26. III. 1995

შაღანა

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. კახეთიდან ბებია ჩამოვიდა. ზაფხულის არდადეგები იწყებოდა. ოჯახური საბჭოს გადაწყვეტილებით ზაფხულის გასატარებლად ბებიას გამატანეს კახეთში. მატარებელი კახეთის ტერიტორიაზე შევიდა თუ არა ყოველ სადგურში ერთი და იგივე სცენა იმართებოდა. თბილისი-კახეთის მატარებელს ბავშვები ერთსულოვანი შეძახილით ხვდებოდნენ: მშივრებოოო! მშივრებო...ო...ო! სტანდარტული სცენარი მხოლოდ საგარეჯოში დაირღვა. აქ შეხვდნენ თბილისი-კახეთის და კახეთი-თბილისის მატარებლები. ამ უკანასკნელს უკვე სხვა შეძახილებით ხვდებოდნენ: მაძღრებოოო! მაძღრებოო! რას იზავ, უჭირდა მაშინდელ თბილისს. ერთ-ერთ სადგურში ახალგაზრდებმა ვაგონებს აფიშები მიაკრეს. ისინი იუწყებოდნენ, რომ ყოველ შაბათ-კვირას სოფელ კარდენახის კლუბში იმართებოდა გრანდიოზული საღამოები. საჭიდაო ხალიჩაზე გამოდიოდა ბეჭდაუდებელი თელაველი მოჭიდავე მსუქნიშვილი. დღესაც როდესაც ვიხსენებ იმ დროინდელ საზაფხულო ვაგონებს გაოცებული ვრჩები. მაშინ საქართველოში დიზაინზე წარმოდგენა არ ჰქონდათ, მაგრამ ხის ვაგონები ისეთ მხატვრულ დონეზე იყო შესრულებული, რომ დღესასწაულის ატმოსფეროს ჰქმნიდა. საღამოს ჩავედით სოფელ კარდენახში. მეორე დღეს ძიძაანთ უბანში პატარა ბიჭებმა ხმა დაარხიეს: ჩვენ უბანში ქალაქელი კინტო ჩამოვიდაო. მეზობელი ბავშვები თანდათან მეჩვეოდნენ. მეც ისე შევეჩვიე მათ და ადგილობრივ ატ-

მოსფეროს გეგონება იქ ვყოფილიყავი დაბადებული და გაზრდილი. ერთი კი იყო, თუ მოვხვდებოდი სხვა უბანში ბავშვები გამომეკიდებოდნენ ხოლმე და მეძახდნენ: ქალაქელო კინტო, თავზე დაგასკლინტო! კარდენახი დიდი სოფელი იყო და ცხადია ყველა ბავშვს ვერ დავუახლოვდებოდი. ძალიან რომანტიკულად მეჩვენებოდა გრანდიოზული სადამო. ყოველ შაბათ-კვირას საღამოობით ბალარჯაულის ფერდობზე გადმოდგებოდნენ მედოლეები და უკრავდნენ საჭიდაოს და საცეკვაოს. ამით ისინი ძიძაანთ უბნის მოსახლეობას იწვევდნენ გრანდიოზულ საღამოზე. გრანდიოზული საღამოები მთავრდებოდა გამთენიისას ბავშვები მთელი გატაცებით ყვებოდნენ მოჭიდავეებზე, მოცეკვავეებზე, კინოზე, მოქეიფეებზე, მოჩხუბრებზე და ა.შ. კარგად რომ მოვშინაურდი მეზობელ ბიჭებს გავენდე, რომ მეც მინდოდა გრანდიოზულ საღამოზე წასვლა. კი ბატონო, ოღონდ ტყეში უნდა წამოგვყვეო. მე რა თქმა უნდა დავთანხმდი. იმ დროს ფული ძალიან ჭირდა, მე ბებიას ვერც კი გავუბედავდი იმის თქმას რომ ჩემთვის ფული მოეცა. მეზობელი ბიჭები გრანდიოზულ საღამოზე უბილეთოდ შედიოდნენ. მექანიზმი შემდეგნაირად იყო: ჩვენს უბანში ცხოვრობდა კლუბის დირექტორი კუზმა შავერდაშვილი. ის კლუბის ეზოს მოწყობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. პატარა ბიჭებს აჭრევინებდა მუხის ტოტებს და კლუბის ეზოს ალამაზებდა. მუხის ტოტი ბილეთის მაგივრობას ეწეოდა. შაბათ საღამოს შერემეტიევის ტყეში წავედით. მოვჭერით მუხის ტოტები და სოფელში ჩამოვედით. ათამდე ბიჭი ჩვენი მუხის ტოტებით მწკრივში დავეწყ-

ეთ და წავედით კლუბისაკენ. ჩვენს რაზმს კუზმას ბიძაშვილი ცირკი კოლა ხელმძღვანელობდა. მან სიმაღლის მიხედვით დაგვაწყო. პირველი კრუხი პალო იდგა. მე ბოლოს წინა ვიყავი. ჩემს შემდეგ მხოლოდ ერთი ბიჭი მუმლი პალო იყო. გრანდიოზული საღამოს პროგრამა შემდეგნაირი იყო: სეირნობა, ცეკვები, ჭიდაობა. ამ ღონისძიებების დროს წარმოებდა ლატარიის გათამაშება და ჩაწერა ვახშამში მონაწილეობაზე, ჭიდაობის შემდეგ მასა მიდიოდა კინოფილმის სანახავად, ხოლო სოფლის რჩეული მამაკაცები საქეიფოდ-ვახშამზე. ჩემი ასაკის ბავშვებისთვის ცეკვები, სეირნობა და ვახშამი არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა. ლატარიის ფული არც მე და არც ჩემს მეზობლებს არ გვქონდა. ამიტომ ჩვენთვის ძირითადი იყო ჭიდაობა და კინოფილმი. ჭიდაობის დროც დადგა. ბავშვები წინა რიგებში ჩავსხედით. კუზმას საჭიდაო მოედანი ეპატარავა და თავისი სამხედრო ქამარი დაატრიალა. ჩვენ ფეხზე წამოვცვივდით, წრე გაფართოვდა. წყვილი წყვილს ცვლიდა. მოჭიდავეები თითქმის მთელი კახეთიდან იყვნენ ჩამოსულები. მოჭიდავეები ფეხშიშველები იყვნენ, მათი შარვლები ძალიან შორს იყო დღევანდელი სპორტული ფორმიდან, მაგრამ ქართული საჭიდაო ჩოხები მჩქეფარე სპორტული პაექრობის სიტუაციას ქმნიდა. შეფასება სამნაირი იყო: გამარჯვება ერთ-ორზე, ნახევარი გამარჯვება და სუფთა გამარჯვება. ხალხს არ მოსწონდა პასიური წყვილები. პასიურობის შემჩნევისთანავე ყვიროდნენ: გაყარეთ მშიშრები არიანო. მსაჯები უყოყმანოდ აძევებდნენ ასეთ წყვილებს საჭიდაო მოედნიდან, რომელზეც ხის ნახერხი იყო დაყრილი.

ხალხი ექსტაზში იყო შესული, კუზმა თავისი ქამრით ხანდახან შემოგვიტევდა ხოლმე, მსუქნიშვილი, მსუქნიშვილი ითხოვდა ხალხი. სადღაც ღამის პირველი საათი იქნებოდა, ჭიდაობა დასასრულს უახლოვდებოდა. მსუქნიშვილი ნახერხზე გამოვიდა. მსუქნიშვილის მოწინააღმდეგე ცაცო ჩალათაშვილი იყო. მსუქნიშვილი არ იყო გოლიათი, მაგრამ საკმაოდ ჩაფსკვნილი და თავის თავში დარწმუნებული იყო. როგორც ამბობდნენ მსუქნიშვილი კახეთის საჭიდაოების რისხვა იყო და ვერავინ ვერ იხსენებდა რომ მას კახეთში ვინმესთან წაეგოს. ცაცო ცაცია იყო და ძლიერი შუაკაური ჰქონდა. ის კახელი კაცისთვის უჩვეულო ფიცხი იყო, ჭიდაობდა სწრაფად. ცაცომ რამოდენიმეჯერ სცადა შუაკაური, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა, მსუქნიშვილი დაბეტონებულივით იდგა ნახერხზე. მან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მსაჯებმა პატივი იმით სცეს კარდენახელებს, რომ მსუქნიშვილს ნახევარი გამარჯვება მიაკუთვნეს. მასპინძლები გამოსავალს ეძებდნენ, მათ რევანში უნდოდათ. შაღანა, შაღანა, სად არის შაღანა, კითხულობდნენ კარდენახელები. დღეს წარაფებში ვენახს წამლავდა, კლუბში არ გვინახავს, ამბობდნენ მისი მეზობლები. კუზმამ ხალხი შაღანასთან აფრინა დუდუკი და დოლი მოჭიდავეებს ასპარეზობისკენ მოუხმობდნენ. მოიყვანეს დაღლილი, ნამძინარევი შაღანაც. ალბათ უკვე ღამის ორი საათი იქნებოდა. შაღანა არ იყო ატლეტური გარეგნობის. მთელი დღე ვენახში „აბარატით" მომუშავეს რასაკვირველია არ შეეძლო გაეძლო ხანგრძლივი ჭიდაობისათვის. მან სწორი ტაქტიკა აირჩია. ელვისებურად ეცა და

კისრულზე წამოიღო. მსუქნიშვილი ნახერხზე ბეჭებით დაეცა. კარდენახელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დაღლილი შაღანა დასაძინებლად წავიდა. რამოდენიმე საათის შემდეგ მას კვლავ წარაფები და „აბარატი" ელოდებოდა. ჩვენ კინოს საყურებლად წავედით. კინოს კლუბის კედელზე უჩვენებდნენ. ზოგჯერ ჩვენს ყურადღებას მოქეიფეების სიმღერა იქცევდა. გათენდა. დილის ხუთი საათი იქნებოდა. გრანდიოზული საღამო დამთავრდა. მე და ჩემი მეზობელი ბიჭები დავეშვით ბალარჯაულზე.

1995. 22. III.

რადიონი

რადიონ ხუნწარია სიკეთის განსახიერება იყო. ერთი ნაკლი ჰქონდა, თუ კი ეს ნაკლად ჩაითვლება. უყვარდა პურ-მარილი და ნათესავ-მეგობრებთან სუფრასთან ჭუკჭუკი. რადიონის დისშვილი კახელზე გათხოვდა. ძლიერ დამეგობრდნენ სიძე და სიმამრი. სიძესაც უყვარდა სუფრასთან ჭუკჭუკი, ოღონდ სულ იმას გაიძახოდა, კაცო, ღმერთს მეგრელებისთვის ამ შესანიშნავ საჭმელებთან ერთად ნეტა კახური ღვინოც მიეცაო. ცხადია, სიძეს უკვირდა მეგრული სუფრის წესები, როდესაც თამადა რამოდენიმე ჭიქას ერთად დაიდგამდა და ისე ამბობდა სადღეგრძელოებს. პირველივე რთველში სიძემ რადიონი კახეთში მიიპატიჟა. ძლიერ მოეწონა რადიონს კახური რთველი, მაგრამ ვერაფრით ვერ გაეგო რატომ კლავდნენ კახელები რთველში ციკანს და არა ცხვარს. ყურძნის კრეფის დროს შესვენებისას პატარა პურ-მარილი გაიმართა. პურის ჭამისას ახალგაზრდა კაცი მოვიდა. ჩემი ხეპრეც მოვიდა! სიხარულით წამოიძახა თამადა – მასპინძელმა და შემოსწრებულის სადღეგრძელო დალია. რადიონს უნდოდა მასპინძლისთვის ესიამოვნებინა, წამოდგა, ჭიქა აიღო და დიდი მოწიწებით წარმოთქვა: ბატონო ხეპრე! სქანი გოლუ აფირო! გაგიმარჯოთ!

რთველი დამთავრდა. ყურძენი მანქანებით სახლში წაიღეს. ციკანი დაკლეს და სადამოს დიდი სუფრა გაიშალა. რადიონი მოხიბლული იყო კახური მიწის მადლით. თამადა მჭერმეტყველებდა. რადიონს უბრალოდ ის უკვირდა, რომ თამადა ერთი ჭიქით სვამდა, თანაც ბოლომდე არ ავსებდა და არც ბოლომდე ცლიდა. სიმღერები და ცეკვები ერთმანეთს ცვლიდა. ხალხი შეთვრა. ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი კუთხეში მჯდომ გალსტუკიანს აუხირდა. გალსტუკიანი არ პასუხობდა. როდესაც ახალგაზრდებმა შეაწუხეს გალსტუკიანი მან გაბრაზებით დაიძახა: რა გამიწყალეთ საქმე თქვენი დედაც... ჯო, ჩვენებური ყოფილა, გაუხარდათ ახალგაზრდებს. რადიონისთვის ყველაფერი ეს უცნაური და გაუგებარი იყო.

კახურმა ღვინომ თავისი გაიტანა. მეტ-ნაკლებად ყველა შეთვრა. რადიონი, როგორც საპატიო სტუმარი მეორე სართულზე მოასვენეს. გამთენიისას რადიონი საჭმელმა და სასმელმა შეაწუხა. აუცილებელი იყო ტუალეტში გასვლა. ორგანიზმი ვეღარ ითმენდა. რადიონი ჩუმად, ფეხაკრეფით ჩამოვიდა ეზოში, რამოდენიმე მეტრი გაიარა თუ არა ბომბორა, კავკასიური ნაგაზი გამოჩნდა, რადიონს სუნთქვა შეეკრა, სახლში შებრუნებას ვერ ასწრებდა, თვალი მოავლო ეზოს. ეზოს შუაგულში ახდილი თონე იყო, რადიონმა სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება და ჯერ კიდევ თბილ თონეში ჩახტა. რას იზავდა, თავისი საქმე მან თონეში გააკეთა. დიდხანს უცადა რადიონმა ბომბორას წასვლას. ბოლოს როგორც იყო შევიდა სახლში და ჩაიძინა. გათენდა, სტუმრები ხაშზე მიიპატიჟეს. ხაშმა და ჭაჭამ ყველა გუნებაზე მოიყვანა. კაცო, მოდი ერთი თონეში ჩავიხედავ, დიასახლისს ლავაში ხომ არ დარჩა შიგნით, თქვა კრუხი პალომ და თონისკენ წავიდა. არც ისე უბედო ვყოფილვარ, ლავაში არა, მაგრამ კუტი პური მაინც შემხვდა. კრუხი არ შეჭამო, ნუ იზავ ამ საქმეს, მაგრამ მანამ ის რამეს იტყოდა, კრუხი პალომ

კუტი ხაშში ჩააწყო, არაყი გადაკრა, ზეგ ხაშის წვენით გაჟღენთილი კუტი დააყოლა და სიამოვნებით გაიღიმა.

რადიონმა ხმა აღარ ამოიღო და თვითონაც არაყი გადაკრა. მასპინძლებმა ყურძნის დაწურვა დაიწყეს. თანამედროვე წნეხი ყურძენს სწრაფად ამუშავებდა. ეგზოტიკის მოყვარული ახალგაზრდობა კი ფეხებით მამაპაპურ საწნახელში ჭყლეტდა ყურძენს. ყურძნის წვენი თიხის მილებით ქვევრისკენ მიედინებოდა. რაღაც ამაღლებული გრძნობა დაეუფლა რადიონს, მივიდა და თავისი სიძე ოთარი გადაკოცნა, მოესიყვარულა და თანაც გაეხუმრა: რა უნდა აქ, შუაგულ კახეთში ამდენ კახელებსო.

საღამოს სუფრა კვლავ გაიშალა. ნამდვილი ზეიმი იყო. ყველა ცდილობდა ერთმანეთისთვის სითბო ეჩვენებინა. თამადამ ყანწით მრუდე ვაზის სადღეგრძელო შესვა. შემდეგ დაიწყო პერსონალური სადღეგრძელოები. რადიონი ღამის მატარებლით აპირებდა უკან დაბრუნებას. ბატონო თამადა, პერსონალურ სადღეგრძელოებს თუ მივყვებით ჩვენ დილამდე ვერ წავალთ აქედან, შეჰკადრა თამადას. რადიონს მხარი სხვებმაც დაუჭირეს. თამადა წამით ჩაფიქრდა და წარმოთქვა: რაკი არ იშლით, კი ბატონო არ დაგაყოვნებთ, კაკლის ძირში მოტვლეპილ თავიანი რომ ზის, იმის ჩათვლით ყველას გაგიმარჯოთ.

სუფრა აიშალა. მხიარული რადიონი მატარებელში ავიდა. მართლა, რა კარგი ხალხი ყოფილა კახელები, ფიქრობდა იგი.

1992 წელი.

ცაცა

ცაცა სოფელ კარდენახში ცნობილი კაცი გახლდათ. მაღალი, ლამაზი, მჭერმეტყველი, ენა მახვილი. ყველაფერში ემჩნეოდა, რომ ცნობილი თავადების ხიმშიაშვილების შთამომავალი იყო. ნიჭიერი კაცი იყო ბატონი ცაცა, მეთევზე, მონადირე და კარგი თამადა. როგორც ყველა მონადირეს მასაც უყვარდა ტყუილები. ცაცა სოფელში შტატიან თამადად ითვლებოდა. მარჯვენა ხელი დათვმა დაუზიანა და ძირითადად ცაციას ხმარობდა, რის გამოც სოფელმა ბატონ გიორგის ცაცა შეარქვა.

ცაცა ნანადირევის გარეშე იშვიათად ბრუნდებოდა სოფელში. მეზობლებმა შეამჩნიეს, რომ ბოლო ხანებში ცაცას ცოცხალი კურდღლები მოჰყავდა. ცაცა, საიდან მოგყავს კურდღლები? შეეკითხნენ მეზობლები. საიდან და ტყიდან. კი მაგრამ როგორ იჭერ ცოცხალ კურდღლებს? მაგაზე ადვილი რა არის, მიმაქვს ჩანთა და სტაფილო. სტაფილოს ვაწყობ ჩანთაში და ჩანთას ვტოვებ ღიად. როგორც კი კურდღელი ჩადის ჩანთაში სტაფილოს შესაჭმელად, ვკეტავ ჩანთას და ცოცხალი კურდღელიც დაჭერილია.

ცაცას იშვიათად დაუჭერია 10 კგ-ზე ნაკლები ალაზნის ლოქო. ერთხელ ის ხელცარიელი დაბრუნდა. ცაცა, რა მოხდა ვერავერი დაიჭირე? ჰკითხეს მეზობლებმა. კაცო, ერთი ლოქო კი დავიჭირე, მაგრამ მეპატარავა, გაბრაზებულმა ერთი მეტრი კუდი მოვაჭერი და ისევ ალაზანში გადავუშვი.

ცაცა მოქეიფე კაცი იყო და ფული ჯიბეში არ უჩერდებოდა. ერთხელ საპარიკმახეროში სოფლელებმა ეს აგრძნობინეს. მე იმისთანა კაცის დედა ვატირე ვისაც შემნახველ სალაროში ნახევარ მილიონზე ნაკლები ჰქონდესო გაცხარდა ცაცა და ჯიბიდან 5 ცალი შემნახველი სალაროს წიგნაკი ამოიღო. კაცები გაწბილებულები იდგნენ და რა ეთქვათ არ იცოდნენ. რა თქმა უნდა მათ არ იცოდნენ, რომ ეს ფული ცაცას მეზობელ ვაჭარ ლიმონას ეკუთვნოდა.

ცაცა სუფრის თამადა იყო. თენდებოდა. მოქეიფეებს ქეიფის გაგრძელება უნდოდათ, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ეს ოჯახი უნდა დაეტოვებინათ. აგვისტოს თვე იყო და ღვინო ჭირდა. ფიქრობდნენ ვის ოჯახში გაეგრძელებინათ პურ-მარილი. ყველამ იცოდა, რომ ცაცას ღვინო არ ექნებოდა. სუფრის ერთერთმა წევრმა გოგლიამ მხიარულად შენიშნა, ცაცას სათვალავში ნუ ჩააგდებთ, მაგას წვეთი ღვინო არ ექნებაო. ცაცა გაბრაზდა და დაენიძლავა თავის შეურაცხმყოფელს: თუ მე ეხლა 5 ტონაზე ნაკლები ღვინო მექნება ქვევრებში მაშინ პურ-მარილი ჩემთან გაგრძელდება, თუ არა შენთანაო. გოგლია დათანხმდა. გამოყვეს სამი კაცი და გააგზავნეს ცაცას სახლში. ცხადია, ცაცასთან ღვინო არ აღმოჩნდა. უკანა გზაზე წარგზავნილებმა იმსჯელეს: თუ ჩვენ ვიტყვით ცაცას ღვინო არა აქვსო, მაშინ ცაცა წააგებს, მაგრამ ჩვენ პურ-მარილის გარეშე დავრჩებით, ჯობია ვთქვათ, რომ ცაცას 5 კი არა 10 ტონა ღვინო აქვსო, მაშინ ჩვენი სუფრა გოგლიასთან გაგრძელდება და როგორც იტყვიან გოგლიას ქვაცა აქვს და კაკალიცო. დაბრუნებისას

მათ სუფრის წევრებს მოახსენეს: კაცო, ცაცას 5 ტონა მარტო საფერავი ჰქონია და რქაწითელი იმდენი იყო არც კი ღირდა შემოწმებაო. გამარჯვებულმა ცაცამ თამადობა გოგლიას ოჯახში გააგრძელა.

ცაცა კარდენახის ღვინის ქარხანაში მუშაობდა. ქარხანა მთლიანად დაიწვა. სხვებთან ერთად ცაცაც პასუხისგებაში მისცეს, თუმცა ყველა დარწმუნებული იყო, რომ ცაცა არაფერ შუაში იყო. სასამართლოზე, როდესაც ცაცას ჰკითხეს რისგან დაიწვა ქარხანაო, მან უპასუხა: პარავოზმა ჩამოიარა, ნაპერწკლები გამოყარა და მთელი ქარხანა გადაბუგაო. ეს იმდენად მოულოდნელი და იმდენად არასერიოზული არგუმენტი იყო, რომ მთელი დარბაზი ახარხარდა, ცაცა გაათავისუფლეს.

1992 წელი.

რეპორტაჟი „ბულკენგრადიდან“

მოსკოვიდან მეგობრის წერილი მივიღე. კონვერტზე თბილისის გევრდით ფრჩხილებში ეწერა „ბუდკენგრადი“. წერილმა კარგ ხასიათზე დამაყენა. მეორე დღეს ოჯახთან ერთად ზუგდიდს მივემგზავრებოდი და საფირმო მატარებელ „ოდიშის“ ბილეთები უდნა მეყიდა. მივადექი წინასწარი გაყიდვის სალაროს. დაახლოებით ათიოდე კაცი იდგა რიგში. მეულღლის რჩევით პერანგის მარცხენა ჯიბეში პროფესორის ატესტატი მედო, ხოლო მარჯვენაში აკადემიკოსის დიპლომი. „სვ“ გვინდოდა, ხომ შეიძლება არ მოეცათ. გამოკრული ტარიფის მიხედვით ყველაზე ძვირი „სვ“ იყო. ნეტა რა არის „სვ“ იკითხა მანდილოსანმა. საწოლი ვაგონი წამსვე უპასუხა მეგრული აქცენტით შუა ხნის მამაკაცმა. როგორ გეკადრებათ „სვ“ საწოლი ვაგონი კი არ არის, არამედ საერთაშორისო ვაგონია ჩაერია სტუდენტი გოგონა. კი მაგრამ, თუ საერთაშორისოა, მაშინ რუსულად უნდა იყოს „მვ“ და არა „სვ“ თავი დაიცვა მეგრელმა. მე სულაც არ მაინტერესებდა რას ნიშნავდა, მთავარია ვიცოდი, რომ ეს იყო საუკეთესო ვაგონი. დამავიწყდა მეთქვა, რომ შარვლის ჯიბეში ქართულ ენაზე შევსებული საქართველოს მოქალაქის მოწმობაც მქონდა. ფანჯრის იქით საოცარი რაღაც ხდებოდა, ქართველი მოლარე იმერული აქცენტით რეკავდა: დისპეჩერ, პოეზდ ნომერ შესოტ დვადცატ ჩეტირე დვა კუპეინი. რავა არ არის კუპეინი? მაშინ დვა პლაცკარტი ნიჟნიე და ა.შ. თავი ნამდვილად საბჭოთა კავშირში მეგონა. მოვიდა ჩემი რიგიც. „სვ“ ბატონო საერთო გაყიდვის წესით არ

იყიდება. ის მხოლოდ „ბრონით“ იყიდება მე-19 სალაროში და „ბრონი“ მხოლოდ ვაგზლის უფროსს აქვსო. უარი და ახსნა-განმარტება ისეთი დამაჯერებელი იყო, რომ აზრი არც პროფესორის ატესტატის ჩვენებას ჰქონდა და არც აკადემიკოსის დიპლომისას. მეტი რა გზა მქონდა. გაწბილებული გამოვედი დარბაზიდან გავწიე რკინიგზის სამმართველოსაკენ. სამმართველოში ვათვალიერებდი წარწერებს. იქნებ რომელიმე ჩემი ნაცნობის გვარი და სახელი ამომეკითხა. მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ვერ ვნახე. ერთ-ერთ კარებზე ეწერა: განყოფილების გამგე შაქრო ტოკლიკიშვილი. მომეშვა. გვარი და სახელი კახურია და როგორ შეიძლება ანგარიში არ გამიწიოს მეთქი. შევედი, მივესალმე, მომესალმა. დაბრძანდითო მანიშნა. ბატონო შაქრო, მე თქვენთან შემოვედი, როგორც კახელი კახელთან (ამასთანავე ორივე ჩემი დიპლომი წინ დავუდე) და გთხოვთ მიშუამდგომლოთ ვაგზლის უფროსთან. შაქრომ ორივე დიპლომი გულდასმით გასინჯა და გოროზად შემომხედა: ვერან, მუშამ და გლეხმა რა დააშავა, რითი არიან ისინი პროფესორებზე ან აკადემიკოსებზე ნაკლები, მერე რა რომ კახელი ხარ, რითი ვართ კახელები სხვებზე მეტი. არა ბატონო შაქრო, არც მე და არც კახელები არავისზე მეტი არა ვართ (სიმწრის ოფლმა დამასხა), რა მექნა არ ვიცოდი, მთელი განყოფილება ჩვენ გვიყურებდა. ხელი დავავლე ჩემს დიპლომებს და დერეფანში გამოვვარდი, თან ერთი ქალბატონი გამომყვა, ბატონო, არ ინერვიულოთ, შაქრო უბრალოდ მუტრუკია, თორემ გული ცუდი არა აქვს. მე შაქროს მოადგილე ნანი მიქანაია გახლავართ. შევეცდები რამით დაგეხ-

მაროთ. გონზე მოვედი, ქალბატონი ნანი, მეუღლე მეც მეგრელი მყავს ზუგდიდიდან და ახლა მის სამშობლოში გვაინდა წასვლა. დედა, რა კარგი და სახელოვანი სიძე გვყოლია ზუგდიდელებს! ქალბატონი ნანი ვაგზლის უფროსთან წამომყვა, შემიყვანა და უთხრა: ბატონო თენგიზ, ეს ბატონი ოთარი გახლავთ ცნობილი პროფესორი და აკადემიკოსი, ჩემი სიძე და ოჯახის საამაყო წევრი, ორი ბილეთი უნდა ხვალისთვის „სვ“ ვაგონში ოდიშზე. მართლა საამაყო სიძე გყოლიათ ქალბატონო ნანი, „სვ“ ვაგონი ზუსტად ასეთი ხალხისთვისაა. კაბინეტიდან გამოსვლისთანავე ქალბატონ ნანის გადავეხვიე და აღვუთქვი, რომ მეუღლეს ყვე-ლაფერს მოვუყვებოდი.

სალაროში ბილეთები ავიღე. გახარებულმა გავწიე მეტროსკენ. ვაგზლის წინა მოედანზე ახალგაზრდა კაცი მიყრდნობოდა კედელს და დუდუკზე ახუჭუჭებდა:

„ორი ქოთანი ვიყიდე ვაი, ვაი,
ყურიანი და უყურო ვაი, ვაი,
საიქიოს ერთად წავალთ ვაი, ვაი,
ცოლიანი და უცოლო ვაი, ვაი“.

ხალხი კიბეებზე იჯდა და ტკბებოდა ძველი თბილისური ჰანგებით. მე არც დაფიქრებულვარ ისე ჩავუყარე ქუდში ლითონის ფული და დავიწყე კიბეებზე ასვლა. ახალგაზრდამ გააგრძელა დუდუკის დაკვრა და სიმღერა”

„მიდის მიდის პარავოზი ვაი, ვაი,
უკან მისდევს ფარნაოზი, ვაი, ვაი,
გადაბრუნდა პარავოზი ვაი, ვაი,
ქვეშ მოექცა ფარნაოზი ვაი, ვაი.“

ამ სიმღერამ ჩემი ბავშვობა და ძველი თბილისი გამახსენა. ჩამოვედი კიბეებიდან და ახლა ქაღალდის ფული ჩავუგდე ქუდში მომღერალს ეს არ გამორჩენია და ტაში დამიკრა.

მეუღლე კმაყოფილი დარჩა „სვ“ ბილეთებით და ვინაიდან მატარებელი მეორე დღეს საღამოს რვა საათზე გადიოდა მთელი დღის სამუშაო გეგმა მომცა. საჭირო იყო სხვადასხვა წვრილმანის ყიდვა.

დილით სანტექნიკის ბაზრობისკენ გავწიე. მართლა რა კარგი დრო მოსულა, რა საქონელს არ იხილავდით აქ. ადრე თუ იუგოსლავიური ან ფინური კაფელის შესაძენად მოსკოვში უნდა წასულიყავი, ახლა აქ მთელი მსოფლიო იყო წარმოდგენილი. ერთი კია, სახელმწიფო ხელფასზე მყოფ ხალხს აქ არაფერი ესაქმებოდა. ჩემი ყურადღება სხვადასხვა ფერის უნიტაზებმა მიიპყრო. გამყიდველი მიხსნიდა: ეს იტალიურია, ეს თურქების და ესპანელების ერთობლივი წარმოებაა, ეს გერმანული და ა.შ. ჯიხურში ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ფოლკლორული მუსიკის კათედრის გამგე ბატონი მინდია ჯაბუშანური შევნიშნე. ის ჩემთან გამოვიდა და თავის მართლება დაიწყო: რა ვქნა ბატონო ოთარ 12 ლარით ოჯახს ვერ არჩენ,ამ ჯიხურმა ჩემი ოჯახი შიმშილს გადაარჩინა. ისე თუ მოგეწონა ეს უნიტაზები ხუთ დოლარს დაგიკლებ – პატივი მცა ბატონმა მინდიამ. ბაზრობაზე ამავე კათედრის კიდევ რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელს ჰქონდა ჯიხური. ჩემთვის გავიფიქრე” ალბათ ბატონი მინდია კათედრის სხდომას თავის ჯიხურში ატარებს მეთქი.

ბაზრობიდან მეტროსკენ გავემართე. ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ პატარა მაღაზიას ამავე უნივერსიტეტის დოცენ-

ტი ბატონი შალვა მოლაშხია ალაგებდა. გაუხარდა ჩემი დანახვა. რა ვქნა ოთარი, ეს რომ არ მქონდეს რა მეშველებოდა არ ვიცი,დღეში ორი-სამი ლარი მრჩება და ამითაც კმაყოფილი ვარ. კონვერტზე დაწერილმა ბუდკენგრადმა პირველად ღიმილი მომგვარა, მაგრამ რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო სევდა მერეოდა, გუნება-განწყობილება მიფუჭდებოდა. ძირფესვიანად შეცვლილიყო თბილისი. ნეტა მართლა მხოლოდ ჯიხურებში ყოფილიყო საქმე. მაღიზიანებდა ის, რომ კახურ ზეთს და საზამთროს კახელების გარდა ყველა ყიდდა. არ მიკვირდა, რომ ლოტოლვილები ვაჭრობდნენ, მაგრამ ძნელი ასატანი იყო ის, რომ ჭიათურა, ტყიბული და ა.შ. წარმოდგენილი იყო ქართლ-კახური ჭირნახულით. რატომ ვერ შევძელით ამ ხალხის დასაქმება ადგილზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თბილისი იყო ერთადერთი ბაზარი საქართველოში, ერთადერთი ფულის საშოვნელი ადგილი. ძალაუნებურად გამახსენდა იოსებ ნონეშვილის ლექსი: „შემოდგომა თბილისში“.

„არიგებულ, ჩარიგებულ
დახლებსა და ყაფაზებს
ყველა თავის შრომის ნაყოფს
და მოსავალს აფასებს.
- ჩემი ღვინო სხვას არ ჯობდეს,
მაშ შემირცხვეს სახელი“ -
კარდენახულ ღვინოს აქებს
ბიჭი კარდენახელი.

იმერელი ცდილობს შენ გულს ტკბილად დაეპატრონოს.

ნუ იყიდი, მარტო გემო

ნახე, ჩემო ბატონო!
სულგუნს აქებს ზუგდიდელი,
წითელ ატამს – ატენი...“

ძნელი წარმოსადგენი არ არის რა დაემართებოდა ცხონებულ პოეტს, რომ ენახა დღევანდელი თბილისი, ყველა გამყიდველს შევაჭრებისას ხომ მხოლოდ ერთადერთი პასუხის აქვს: მე თვითონ ამდენად მაქვს ნაყიდი.

25/08/1996

ვაჟა კირკიტაძე

ვაჟა ქუთაისელი გურული გახლდათ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მას იუმორის გრძნობა იმდენად ჰქონდა განვითარებული, რომ ზოგჯერ იფიქრებდით ამ კაცს სერიოზული ლაპარაკი არ შეუძლიაო. მე და ვაჟა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დავმეგობრდით. ხშირად მიყვებოდა თავის ქუთაისურ ოინებს. მე და მამაჩემი (მამამისი ქუთაისში სკოლის დირექტორად მუშაობდა) ქლიავზე ვისხედით და ერთმანეთს ქლიავს ვესროდით პირში ყვებოდა ვაჟა. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ვინ უფრო მეტ ქლიავს დაიჭერდა პირით. ვხედავდი, რომ მამა მჯობნიდა. ავდექი და ერთი დამპალი ქლიავი შევარჩიე და ცოტა უფრო დიდი სიჩქარით ვესროლე მამაჩემს. მან ქლიავს პირი სტაცა და ქლიავმა მთელი პირი-სახე დაუსვარა. მამა სიტყვით მჯობნიდა და ამ ინციდენტის შემდეგ მთელ უბანში მამასხარავებდა. ვიცოდი, ლაპარაკში ვერ მოვუგებდი და გადავწყვიტე საქმით გადამეხადა სამაგიერო. ამის დროც დადგა. რიონზე წავედით საბანაოდ. ტრუსიკები დაგვისველდა. სახლში დაბრუნებისას ისინი გავიხადეთ, ჩანთაში ჩავდეთ და შარვლები შიშველ ტანზე ჩავიცვით. მამა ზოლებიანი პიჟამოთი და შლიაპით იყო წამოსული. უბანში რომ მივედით, დაიწყო ნაცნობებისა და მეზობლების მოსალმება. მამა მოწიწებით შლიაპას იხდიდა და ასე ესალმებოდა მათ. მე მომენტი შევარჩიე და როდესაც მამამ შლიაპა მოიხადა და მეზობლებს თავი დაუკრა მე მას პიჟამო ჩამოვუწიე. მეზობლები სიცილისგან იგუდებოდნენ. მათ წინაშე შლიაპიანი, მაგრამ შიშველი ჯენტლმენი იდგა.

ვაჟა კირკიტაძეს, როგორც არავის შეეძლო ადამიანის საუბარში ეპოვა სისუსტეები და შემდეგ მასზე აეგო იუმორი. ერთხელ მივლინებიდან დაბრუნებული დოცენტი გუჯა ბროლაშვილი ყვებოდა: ის იყო თვითმფრინავმა კავკასიონის ქედს მოადწია და ყველამ ვიგრძენით, რომ ის სიმაღლეს კარგავდა. სალონი პანიკამ მოიცვა. ამ დროს შემოვიდა მეორე პილოტი და განაცხადა: ვისაც შეგიძლიათ თავს უშველეთო. მე მაშინვე ვუთხარი: ამ პატარა ბავშვსა და მის მოხუც ბებიას მე მივხედავო. კი, მაგრამ 10 კმ სიმაღლეზე თუ თვითმფრინავმა ავარია განიცადა ან საკუთარ თავს, ან პატარა ბავშვს და მის მოხუც ბებიას როგორ უშველიდიო? შეაწყვეტინა ვაჟამ. გუჯა მიხვდა, რომ შეტოპა და გაჩერდა.

კათედრის გამგეს ბატონ ტაგუ ხუნტუას 70 წელი შეუსრულდა. კათედრამ მისი დაბადების დღე რესტორან „ისინდში" აღნიშნა. პირველი სიტყვა ვაჟა კირკიტაძემ აიღო. ბატონებო და ქალბატონები, დღეს ცნობილი პედაგოგისა და მეცნიერის იუბილეა. ბატონმა ტაგუმ უდიდესი ამაგი დასდო ფაკულტეტს. იყო პერიოდი, როდესაც ბატონი ტაგუ ყველა სპეციალურ საგანს ასწავლიდა, ამავე დროს იყო კათედრის გამგეც და დეკანიც. სტუდენტები მას ლეონარდო და ვინჩის ეძახდნენ. მე სიამოვნებით ვუსმენდი ამ სიტყვებს, მიხაროდა რომ ასეთი ადამიანის ხელმძღვანელობით ვმუშაობდი. ვაჟა დაჯდა, ჩემსკენ გადმოიხარა და ჩამჩურჩულა: როგორი ბედოვლათიც იყო ახალგაზრდობაში ისეთივეა ახლაც.

ვაჟა კათედრაზე ერთ-ერთ ნიჭიერ თანამშრომლად ითვლებოდა. მოხუცი კათედრის გამგე მის მიმა-

რთ დადებითად იყო განწყობილი. კათედრის გამგეს თავისი ხანდაზმულობის მიუხედავად ძლიერ აინტერესებდა ქალები. ვაჟას მისთვის პორნოგრაფიული სურათები მოჰქონდა და უტოვებდა მეორე დილამდე. ვაჟა სიამოვნებას იმაში იღებდა, რომ მოხუცი პროფესორი მეორე დილას რამოდენიმე სურათით ნაკლებს უბრუნებდა უკან და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ვაჟა ამას ვერ ამჩნევდა.

ჩვენს კათედრას საკმაოდ დიდი საამქრო ჰქონდა. ერთხელ საამქროში ცოცხალი გოჭი ვიპოვეთ. კათედრის მახლობლად მდებარე სახლებში მაცხოვრებლებს შევატყობინეთ. გოჭის პატრონი არ აღმოჩნდა. დოცენტმა სერგო მაზანაშვილმა გაგვაფრთხილა, აკადემიკოს აღსაბაძის შემოგზავნილი არ იყოს და არ დაგვწამლოსო. ციცო ქარქუსაშვილმა შემოგვთავაზა, მოდი ზოოპარკს ჩავაბაროთო. გაიმარჯვა გრიგოლ ხუციშვილის წინადადებამ, ის გოჭის დაკვლას და პურმარილის გამართვას გვთავაზობდა. სუფრა გაიშალა. მას კათედრის გამგე ბატონი ტაგუ ხუნტუა თამადობდა. შუა ქეიფში ვაჟა კირკიტაძემ თამადას სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება სთხოვა. ბრძანეთ ბატონო ვაჟა, დათანხმდა თამადა. ყველა სერიოზულ სადღეგრძელოს მოელოდა. ვაჟა კირკიტაძემ განსაკუთრებული სასმისი მოითხოვა. ქიმიკოსებმა წამსვე თიხის ფიალა მოუტანეს. ვაჟამ ყველას სთხოვა ფეხზე ამდგარიყვნენ. სიჩუმე ჩამოვარდა, ვაჟამ ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები მოიწმინდა და გოჭის მშობლები და დედმამიშვილები ადღეგრძელა.

ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში ვიყავი მივლინებით. ავარიაში მოვყევი. მძიმედ დავშავდი. ხელები პარალიზებული მქონდა. სიცხე 40 გრადუსზე მეტი მქონდა. ფეროს საავადმყოფოში მომათავსეს. ჩვენი კათედრის გამგე ტაგუ ხუნტუა ზესტაფონში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქალაქსაც და ქარხანასაც მისი ყოფილი სტუდენტები მართავდნენ.

ქალაქში ხმა გავარდა, ტაგუ ხუნტუა ავარიაში მოხვდაო. ექიმები მეტალურგებს არ გვიცნობდნენ და მე ცნობილ პროფესორად მიმიღეს. ყველა თავს დამტრიალებდა, ცალკე პალატაში მომათავსეს, საწოლთან ექთანი მდარაჯობდა, სასთუმალთან ტელეფონი დამიდგეს. ტკივილები და მაღალი სიცხე მაწუხებდა. მხოლოდ ერთი ფიქრი მქონდა. ნუთუ მოვესწრებოდი იმ დღეს, როდესაც ჩემი ხელით ჩავიცმევდი შარვალს. ღამის 3 საათზე ტელეფონმა დარეკა, ექთანმა ყურმილი აიღო და მითხრა: ბატონო ტაგუ ქუთაისიდან გირეკავენო. ვთხოვე ყურმილი ახლოს მოეტანა. ქუთაისიდან ვაჟა კირკიტაძე მირეკავდა. ბიჭო, აქამდე ოთარი იყავი და ასე უცბად ტაგუ როგორ გახდიო. ვაჟას გაეგო ჩემი ავარიაში მოხვედრის ამბავი, მაგრამ არაფერი უთქვია და კითხვით მომმართა, ოთარი კინაღამ დამავიწყდა რისთვისაც გირეკავ, წარმოგიდგენია, თურმე დღეს დილით ვალტერ ულბრიხტი მოუხსნიათო და წასკდა სიცილი, მინდოდა ვაჟა გამელანძღა, გამეთათხა, ამ შუაღამისას და ამ სიტუაციაში რა დროს ხუმრობის დრო იყო, მაგრამ ძალა არ მეყო და ექთანს ვანიშნე ყურმილი დაედო.

ერევნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვიყავით მივლინებით. ლითონმცოდნეობის კათედრას პროფესორი ბაბკუნ ნერსესიანი განაგებდა. ძალიან დავუმეგობრდით კათედრის თანამშრომლებს. უცოლო ვიყავი და თვალ-

ში სიმპატიური ქალიშვილი ბაბკენის ასპირანტი ანუ-
ში მომივიდა. მიჭირდა გამემხილა მისთვის ჩემი სიმ-
პატიები. ვაჟა კირკიტაძემ სცადა ჩემი დახმარება. იცი
რა, მითხრა მან, მოდი დოცენტ ალბერტ გრიგორიანს
ვთხოვოთ რჩევაო. გრიგორიანმა ვაჟას თანდასწრებით
დამარიგა. ხვალ დილით, როდესაც ანუში მოვა, შეხვდი
დერეფანში და უთხარი: ძვირფასო ანუშ, რომ იცოდეთ
როგორი სათნო და მიმზიდველი ბრძანდებით, ჩემი გული
თქვენ გეკუთვნით. ჯერჯერობით ესეც კმარა, შემდეგ-
ში მოვიქცეთ ისე, როგორც ანუშის რეაქცია გვიკარ-
ნახებსო. მე სომხური არ ვიცოდი და გრიგორიანმა
ვაჟას თანდასწრებით ჩამაწერინა: გეშ ანუშ, ვაი ქო
ტიროჯ. ქეზ ოვ კუზი ეძტ ქუ ქთოვ.

მთელი ღამე არ მიძინია, სულ გრიგორიანის მიერ
მოცემული წინადადებებს ვიმეორებდი. მეორე დილას
ანუშს დავუდარაჯე. ის თავაწეული მოდიოდა. ჩემთვის
ყურადღება არ მოუქცევია. მე წინ გადავუდექი და მთელი
გრძნობით ვუთხარი დაზეპირებული სიტყვები. ანუშმა
კიდევ უფრო მაღლა ასწია თავი, მკაცრად შემომხედა
და გზა განაგრძო. რომ მოვმკვდარიყავი ის ჯობდა.
გაოგნებული ვიყავი. მივხვდი, რომ ვაჟას ანკესზე წამ-
ოვეგე. მთელი დღე კათედრაზე შესვლას ვერ ვბედავ-
დი. შუადღისას ბატონი ბაბკუნი გამოვიდა კაბინეტიდან
და კათედრაზე შემიყვანა. იქ ვაჟა კირკიტაძე და ალ-
ბერტ გრიგორიანი სიცილისაგან იგუდებოდნენ. თურ-
მე ანუშისთვის მითქვამს: შე საცოდავო ანუშ, ვაი შენ
მშობლებს, რა გაგათხოვებს მაგ ცხვირის პატრონს.

იანვარი, 1993 წ.

ღმერთმა გაცხონოს ბატონო რაღიონ!

1992 წლის შუა ზამთარია. რომ იტყვიან საქართველოში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. იმდენი დამოუკიდებელი შეიარაღებული ფორმირებებია, რომ მათში გარკვევა ძნელია. საქართველოში ერთადერთი კანონმდებელი ტყვიაა. ქუჩაში გასვლა მზის სინათლეზეც კი საშიშია. ამ მძიმე დროს ზუგდიდიდან მივიღეთ შეტყობინება რადიონ ბიძია გარდაიცვალაო. მე და ჩემი მეღლის წასვლა აუცილებელი იყო. მეორე დილას გავედით ავტობუსების სადგურზე. არცერთი ავტობუსი ზუგდიდსაკენ არ მიდიდოდა. მძღოლს და მგზავრებს ეს მზაგვრობა შეიძლება სიცოცხლის ფასად დაჯდომოდათ. არადა სამეგრელოში წასვლის მსურველი საკმაოდ ბევრი იყო. ერთ-ერთმა მძღოლმა ეშმაკობა იხმარა და წაყვანა შემოგვთავაზა იმ პირობით, რომ ამას არავინ გაამჟღავნებდა, უნდა გვეთქვა: ჩვენ ქუთაისში მივდიოდით. მძღოლმა ავტობუსს წარწერა თბილისი – ქუთაისი გაუკეთა. თბილისის გასასვლელთან შეიარაღებული ჯგუფი დაგვხვდა და შეგვამოწმა. რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი ჩამოსვეს ავტობუსიდან. ისინი აღარ დაბრუნებულან. ალბათ ეჭვი შეეპარათ მათ ზვიადისტობაში. ავტობუსში სამარისებური სიჩუმე იყო. ტრასაზე თოვლი იდო. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ საქართველოს ერთი მხარიდან მეორე მხარეში კი არ მივდიოდით, არამედ ერთი ქვეყნდიან მეორე ქვეყანაში არალეგალურად გადავდიოდით. თვალწინ დამიდგა მეორე მსოფლიო ომის შესახებ გადაღებული ფილმები, როდესაც ევროპაში

ადამიანები ფაშისტებს გაურბოდნენ და სიცოცხლის ფასად ზამთარში, თოვლში და ყინვაში ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდნენ. ხარაგოულთან ათეულობით ადამიანი და მრავალი ჩემოდანი იდგა თოვლში. ჩვენმა მძღოლმა ავტობუსი გააჩერა. რამდენიმე მათგანმა ზესტაფონამდე წაყვანა სთხოვა. თურმე ორი ავტობუსი მგზავრებით სავსე მიდიოდა თურქეთში. ერთერთ შეიარაღებულ რაზმს გაუჩერებია ისინი და უთქვამთ: ეს ავტობუსები ჩვენ გვჭირდება, რამდენიმე დღეში დაგიბრუნებთო. მგზავრები გაოგნებული იდგნენ, არ იცოდნენ ვისთვის მიემართათ, სად წაელოთ ამდენი ტვირთი. ერთი მხრიდან კლდე იყო, ხოლო მეორე მხრიდან მდინარე. თოვლში და სიცივეში დიდხანს ვერ გაჩერდებოდნენ. რა ბედი ეწიათ იმ საცოდავებს არ ვიცი.

საოცარი შთაბეჭდილება დატოვა სამეგრელომ. ყველგან იგრძნობოდა მძიმე სამხედრო ტექნიკის ნამოქმედარი. ზოგან ჯიხური იყო გაგლეჯილი, ზოგან სახლი იყო შენგრეული და ა.შ. რაც მთავარია, ფანჯრები ყველას ხით ჰქონდათ აჭედილი. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ აქ დამსჯელ ექსპედიციას გაევლო.

როგორც იყო ჩავედით ზუგდიდში. მეორე დღეს ბატონი რადიონი მიწას მივაბარეთ. აუცილებელი იყო ჩემი თბილისში დაბრუნება. დაღამებამდე ქუთაისში ჩავედი. ავტოსადგური გაჭედილი იყო ხალხით. ისინი ძალასა და ფულს არ იშურებდნენ ოღონდ თბილისში წასულიყვნენ. მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ გადასულიყვნენ რიკოთს იქით, მოსალოდნელი იყო გზის ჩაკეტვა. თბილისში ჩასვლაზე იმედი გადავიწყვიტე და

ახალ ვარიანტებს ვამუშავედი. ჯანდაბას ჩავალ ხაშურში ან გორში იქ გავათენებ ღამეს და შემდეგ წავალ თბილისში. მაგრამ არც ეს ვარიანტი გამომივიდა. ამასობაში საკმაოდ დაღამდა. ხალხმა უკვე ღამის გათენებაზე დაიწყო ფიქრი. ამბობდნენ ავტოვაგზალში ან რკინიგზის ვაგზალში ღამე დარჩენა საშიში არისო, ძნელი სათქმელი იყო ვისი ან რისი მსხვერპლი გახდებოდი. გავწიე სასტუმროებისაკენ, მაგრამ ყველგან სამხედრო ფორმირებები იყვნენ. ძალიან არ მიყვარს ნაცნობების შეწუხება, მაგრამ იძულებული ვიყავი საფიჩხიაზე, ქუთაისის შესასვლელთან წავსულიყავი. მივაკითხე ახლობლებს. ქუთაისში ღამის 11 საათიდან დილის 7 საათამდე კომენდატის საათი იყო. მე უკვე დროის ამ მონაკვეთში ვიმყოფებოდი. ჩემი ახლობლების სახლთან სამხედროებით სავსე ავტობუსი იდგა. ფრთხილად მოვუარე ეზოდან, რომ ყურადღება არ მიმექცია. როგორც იყო აღმოვჩნდი ბინაში. მოვიბოდიშე, მაგრამ ვუთხარი, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. მასპინძლები დატრიალდნენ. ქუთაისური სტუმართმოყვარეობის ეტიკეტს არ უღალატეს. სუფრასთან მე და მასპინძელი ცოლ-ქმარი ვიყავით ბავშვებს რა თქმა უნდა ეძინათ. თამადად მასპინძელი ბატონი ლევანი დადგა. მან წამოიწყო სადღეგრძელო და უცბად ოთახიდან გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა და კვლავ გააგრძელა სადღეგრძელო, მაგრამ მალე ისევ გავიდა ოთახიდან. ჩემთვის ეს ცოტა გაუგებარი იყო, ლევანის მეუღლემ მაკამ მითხრა: ლევანს კუჭი აქვს აშლილი და სულ ტუალეტში უნდა ყოფნაო. მაკამ თამადობა გააგრძელა. იმ ღამეს ლევანი ჩვენთან აღარ შემოსუ-

ლა. სად გაათენა დამე საწოლში თუ ტუალეტში ვერ გეტყვით. მაკა შესანიშნავი თამადა აღმოჩნდა. ღამის ორ საათამდე ვივახშმეთ და შემდეგ დავიძინეთ. თბილისში მეჩქარებოდა. 7 საათს, კომენდატის საათის დამთავრებას ვერ მოვუცდიდი. დილა ადრიანად ჩავიცვი, მანპინძლებს დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი. ვეცადე სამხედროებით სავსე ავტობუსისთვის გვერდი ამევლო. საფიჩხიადან ცენტრისაკენ დავეშვი. მარცხნივ და მარჯვნივ თოვლის ღობეები მაცილებდა. გამახსენდა ამბავი შალიკო ხვინგიაძის შესახებ, როდესაც ის ამბობს, რომ ერთ ზამთარს ქუთაისში ისეთი დიდი თოვლი იყო, რომ მეზობლებმა ერთმანეთთან მისასვლელად გვირაბები გათხარესო. უკან ფეხის ხმა მომესმა, ნაბიჯს მოვუმატე, იმანაც მოუმატა, ნაბიჯს მოვუკელი, იმანაც მოუკლო. არასასიამოვნო გრძნობა დამეუფლა, კონემდატის საათი არ დამთავრებულა, ვინ მომდევს არ ვიცი, არადა ისეთი დროა, რომ ადამინის სიცოცხლე ქათამზე ნაკლებად ფასობს. უკან მოხედვა არ მინდა, არ მინდა ვაფიქრებინო რომ მეშინია. როგორც იყო ჩავამთავრე დაღმართი, გავედი მოედანზე და გავჩერდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის კაცი სხვა მიმართულებით წავიდოდა. შევცდი, უცნობი მომიახლოვდა და ჩემს გევრდით გაჩერდა. შევცბი, რა გამეკეთებინა არ ვიცოდი. უცნობმა ენა ამოიდგა: სიმართლე მითხარით ბატონო! პელე ჯობია თუ გაიოზ ჯეჯელავა? უცნაური გრძნობა დამეუფლა. ამ ბახა-ბუხში, შიმშილში, თოვლში, ყინვაში, სიბნელეში ნუთუ შეიძლებოდა ნორმალურ ადამიანს ასეთი შეკითხვა მოეცა? მაგრამ მთავარი მოხდა, მე დავმშვიდდი, ეს კაცი შეუიარაღებე-

ლია, საფრთხე არ მელოდება, წელში გავიშალე და შევუტიე: ბატონო, გეკადრებათ ასეთი შეკითხვის მოცემა? გაიოზის ნაირი ფეხბირთელები მილიონ წელიწადში ერთხელ იბადებიან, კი ბატონო, პელე ფეხბურთის მეფეა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ გაიოზ ჯეჯელავა ფეხბურთის ღმერთია. უცნობმა სიამოვნებით გაიღიმა და მითხრა: აი, კაცი, გაგახარა ღმერთმა, ვერაფრით ვერ დავარწმუნე ამაში ჩემი მეზობელი თენგილია წივწივაძე. უცნობი გახარებული დამცილდა, მე კი წარმოვთქვი: ღმერთმა გაცხონოს ბატონო რადიონ.

19/01/2000წ

ქსივები

ჰუმანიტარული ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტის დეკანს ვადა გასდიოდა. 5 წელი ხელმძღვანელობდა ფაკულტეტს ბატონი გივი დიდებაშვილი. ამ ხნის განმავლობაში მან 3 მანქანა შეიძინა, აქედან 2 უცხოური, აიშენა სამსართულიანი აგარაკი წყნეთში. ის არაფერს არ აკლებდა თავის ორ საყვარელს: ლოლიტას და შარლოტას.

ბატონი გივი დაიბადა ქართული ინტელიგენტის ოჯახში. დედისერთა, ძნელადაღსაზრდელ ბავშვად ითვლებოდა. სწავლობდა პროფსასწავლებელში, ტექნიკუმში და ბოლოს გაჭირვებით დაამთავრა ფაკულტეტი, რომლის დეკანიც მამამისი იყო. მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის მიღების შემდეგ შეუდგა მომავალი თაობის „აღზრდას". თანამშრომლები მას დებილს ეძახდნენ. საოცარი ის იყო, რომ ვინც მას დებილს ეძახდა ყველას ძლიერ უჭირდა ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ცნობილი პროფესორი იყო. ბატონმა გივიმ შესანიშნავად იცოდა საზოგადოების აზრი თავის თავზე, მაგრამ მას ეს სრულიადაც არ ანაღვლებდა. ინსტიტუტის მაფიას შესანიშნავად შეეწყო. ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების დროს ის იყო მთავარი მოლარე. ის უნაწილებდა ფულს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და საგნობრივ კომისიებს, ცხადია არც საკუთარ თავს ივიწყებდა. მაგრამ ბატონი გივი ამით არ კმაყოფილდებოდა. სესიების დაწყების წინ მოიწვევდა პედაგოგთა თათბირს და მკაცრად აფრთხილებდა ყველას: არავითარ შემთხვევაში არ

დაუწეროთ უცოდინარებს ნიშნები, ნურაფრის გეშინიათ, უღირსები უნდა გავრიცხოთ ინსტიტუტიდანო. ზოგიერთ გულუბრყვილო პედაგოგს უკვირდა დეკანის ასეთი სიმკაცრე, მაგრამ სესიების მიწურულს ყველაფერი ნათელი ხდებოდა. ბატონი გივი, უკვე გულმოთაფლული, გრძელი სიით ხელში, დადიოდა პედაგოგებთან და ეუბნებოდა: დაუწერეთ ამ ხალხს ნიშნები, ხომ არ დაღუპავთ ახალგაზრდებსო. მავანნი კი ამბობდნენ: ბატონ გივის ამა და ამ ჯგუფმა ამდენი შეუგროვაო, ამა და ამ სტუდენტმა ეს მიუტანაო. ზოგჯერ თვითონაც წამოცდებოდა ხოლმე: დაუწერე მაგას ნიშანი, მაგან ესა და ეს მომიტანაო. ბატონ გივის ავიწყდებოდა, რომ პედაგოგებიც ცოდვის შვილები იყვნენ და მათაც უნდოდათ ამ ქვეყნიური ცხოვრება. რაც შეეხება, როგორც პედაგოგ-სპეციალისტს, სტუდენტები ვერ ხვდებოდნენ ბატონი გივი რისი სპეციალისტი იყო.

თავი მოაბეზრა გივიმ ფაკულტეტის თანამშრომლებს. დღეებს ითვლიდნენ როდის მოვიდოდა გადარჩევნების დრო. და ჰა, ეს დროც დადგა. გაზაფხულზე უწევდა დეკანს გადარჩევნები, მაგრამ გივიმ ყველას ცივი წყალი გადაასხა, რექტორმა გადარჩევნები შემოდგომამდე გადადო. ინსტიტუტში კიდევ ერთი მიღება ელოდათ, წინ „მოსავლის აღების" ერთი სეზონი იყო. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, ახალმა მთავრობამ რექტორი მოხსნა, ხოლო დეკანებს აუკრძალა მისაღებ გამოცდებზე მონაწილეობის მიღება. ახალ რექტორს წინადადება მისცეს ნელ-ნელა შეეცვალა დეკანები. ვინაიდან გივის

ვადაგასული ჰქონდა, დეკანების შეცვლა მისით უნდა დაწყებულიყო.

კომუნისტური რეჟიმის დროს თანამდებობების ჩაწყობა პარტიის ცკ-დან ხდებოდა. ახალ დროში ცკ უზენაესმა საბჭომ შეცვალა.

იპოლიტე ალფენიძეს არც ხარისხი ჰქონდა და არც წოდება. მაგრამ ძმაკაცი ჰყავდა უზენაეს საბჭოში. ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელობა უზენაესი საბჭოს რეკომენდაციით იყო დანიშნული და ამიტომ უნდოდათ მათთვის ეამებინათ. ალფენიძემ ხმა დაყარა, მე ხელმძღვანელობის კანდიდატურა ვარ და კონკურსში მონაწილეობით თავს ნურავინ ნუ შეიწუხებთო. კიდევ ერთი ადამიანი აპირებდა დეკანობას – პროფესორი ნინო ინწკირველი. ოფიციალურად გამოცხადდა კონკურსი. განცხადება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გივი დიდებაშვილმა და იპოლიტე ალფენიძემ შეიტანეს. მოსალოდნელი იყო, რომ ფაკულტეტის საბჭო გივი დიდებაშვილს არ აირჩევდა. გაკვირვებას იწვევდა იპოლიტე ალფენიძის საქციელი, მას ხომ არსებული წესებით კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. მოკრძალებული იყო ქალბატონი ნინო, მას ერიდებოდა კიდეც იმის გამხელა, რომ დეკანობა სურდა. კიდევ ერთხელ აიღო დეკანის არჩევის ინსტრუქცია და წაიკითხა: დეკანად ირჩევენ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ფაკულტეტზე არ არის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მაშინ შეიძლება არჩეულ იქნას დიდი გამოცდილების მქონე დოცენტი. ყველაფერი ცხადი იყო ქალბატონი ნინოსთვის, მას შეეძლო რეალური

პრეტენზია განეცხადებინა დეკანობაზე. ქალბატონმა ნინომ განცხადება დაწერა კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ ვიდრე კანცელარიას ჩააბარებდა სწავლულ მდივანთან შეიარა. მას აინტერესებდა, რამდენად მართალი იყო ალფენიძის განცხადება: მე რექტორატის კანდიდატურა ვარო. სწავლულ მდივანთან ქალბატონ ირინე სამნიაშვილთან პრორექტორი გიორგი ალადაშვილიც შემოსულიყო. ქალბატონმა ნინომ მოკრძალებით დაიწყო, იცით რა, ინსტრუქციით ბატონ იპოლიტე ალფენიძეს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, მას არც ხარისხი აქვს და არც წოდება. როგორ გეკადრებათ ქალბატონო, შეაწყვეტინა სწავლულმა მდივანმა, ბატონი იპოლიტე ბევრ ხარისხიანს სჯობია კი, მაგრამ... სცადა შეპასუხება ქალბატონმა ნინომ, რა კი მაგრამ, იცით, რომ ალფენიძე მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია? მკვახედ ისროლა პრორექტორმა (ნინომ შესანიშნავად იცოდა, რომ ბატონ იპოლიტეს მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა). საიდან იცით ბატონო, რომ ალფენიძე მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია? შეჰკადრა ნინო ინწკირველმა პრორექტორს. როგორ თუ საიდან ვიცით? გაუკვირდათ პრორექტორსა და სწავლულ მდივანს, ჩვენ სხვის ნათქვამს კი არ გეუბნებით, თვით ბატონმა ალფენიძემ გვითხრა ამის შესახებ. პროფესორ ნინო ინწკირველისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, მან თავისი განცხადება დახია.

ამასობაში საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ძალაუფლება ხელში დროებითმა მთავრობამ აიღო. უზენაესმა საბჭომ ფუნქციონირება შეწყვიტა.

მოვიდა კონკურსის დღეც. ფაკულტეტის გაფართოებული საბჭოს სხდომა პრორექტორს ბატონ გიორგი ალადაშვილს მიჰყავდა მან ორივე პრეტენდენტი დადებითად შეაფასა, მაგრამ ყველას აგრძნობინა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანლობა იპოლიტე ალფენიძეს უჭერდა მხარს. დარბაზში მე-4 კურსის სტუდენტი შოთა ლომიძე შემოვიდა და ბოლო რიგში დაჯდა. მან მე-3 რიგში მჯდომ პროფბიუროს თავმჯდომარის მოადგილეს პეტრე ოკუჯავას წერილი გაუგზავნა. წერილმა პეტრესთან მიღწევამდე ქალბატონ ნინოს ხელიც გაიარა. ქაღალდი დაკეცილი არ იყო და ქალბატონმა ნინომ თავისდაუნებურად წაიკითხა: პეტრე, ჩემთან გადმოჯექი, ქსივები მოვიტანეო. ამასობაში სიტყვა გივი დიდებაშვილმა ითხოვა. მან აღნიშნა, რომ ჯერ ერთი გაფართოებული საბჭოს სია რექტორის ბრძანებით არ იყო დამტკიცებული, მეორე არ იყო ქვორუმი და მესამე, არც ერთი ინსტრუქციის თანახმად იპოლიტე ალფენიძეს კონკურსში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ბატონი გივი მოითხოვდა აღნიშნული საკითხის განხილვის გადატანას დიდი საბჭოს სხდომაზე. ალფენიძე გატრუნული იჯდა. პრორექტორი და სწავლული მდივანი პროტესტს უცხადებდნენ დიდებაშვილს. დარბაზში კი სტუდენტები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: ქსივები მოვიდა, ქსივები. პროფესორი ნინო ინწკირველი ვერაფერს მიხვედრილიყო. ემჩნევა სხვებმაც გაიგეს ეს ჩურჩული. გაწიწმატებულმა პრორექტორმა ვეღარ მოითმინა და დაიძახა: გააჩერეთ ეგ ქსოვრელია თუ ვიღაცა, თორემ დავატოვებინებ დარბაზსო. ამ ალიაქოთში გაიღო კარები და დარბაზში ოთხი მამაკაცი შე-

მოვიდა. 3 მათგანი ავტომატით იყო შეიარაღებული. მათ თავისუფალი ადგილები დაიკავეს. თანამშრომლებმა ავტომატიანები ვერ იცნეს. მათთვის ნაცნობი მხოლოდ მეოთხე იყო, ყოფილი ლაბორანტი 40 წლის სოსო ცქიფურიშვილი. სოსო 3-ჯერ იყო ნასამართლევი, პირველად გაუპატიურებისთვის, მეორედ ყაჩაღობისთვის, ხოლო მესამედ ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღებისათვის.

ყველას ენა პირში ჩაუვარდა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ერთ-ერთი ავტომატიანი წამოდგა და ტრიბუნასთან მივიდა. ბატონებო და ქალბატონებო: დღეს საქართველოში ანარქიაა, არსად არ ხორციელდება კანონი, არც ერთი დაწესებულება არ მუშაობს. მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა გაათავისუფლოს პატიმრები და მიამაგროს ისინი დაწესებულებებზე. თქვენ გერგოთ დიდი პატივი, თქვენთან მოვლინებულია ყოფილი თქვენი თანამშრომელი სოსო ცქიფურიშვილი. მან უნდა უხელმძღვანელოს ფაკულტეტს. ბატონ სოსოს 15 წლიანი „აკადემია" აქვს დამთავრებული, ამ 15 წლიდან მას 7 წელი მაგადანის ციხეებში აქვს გატარებული. კაცს ყველაფერი აქვს ნანახი და ჩვენი აზრით ფაკულტეტი უკეთეს დეკანს ვერ იშოვის. კი ბატონო, რექტორატი წინააღმდეგი არ არის, უმალ წარმოთქვა პრორექტორმა. ინსტრუქციაში არსად არ წერია, რომ ყოფილ პატიმარს არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა დეკანის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში დაუმოწმა სწავლულმა მდივანმა. ამაზე კარგ შემცვლელს

სანთლით რომ ვეძებო, ვერ ვიპოვი სიმწრის სიცილით გამოსცრა დიდებაშვილმა.

არა ბატონებო, თქვენ არასწორად გამიგეთ, განაგრძო ავტომატიანმა, ჩვენი მთავრობა დემოკრატიულია, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი დიქტატურისა და ძალადობისა. მაშ როგორ მოვიქცეთ? შიშით იკითხა სწავლულმა მდივანმა. როგორ და როგორც ინსტრუქციაშია, უნდა ჩაატაროთ დემოკრატიული ფარული კენჭისყრა. ბიულეტენებში დიდებაშვილისა და ალფენიძის გვარების ქვემოთ ცქიფურიშვილიც მიაბეჭდეს. ერთი ავტომატიანი კარებთან გაჩერდა, მეორე საარჩევნო ყუთთან, მესამე დარბაზში, ხალხში ტრიალებდა და ამბობდა, ნურაფრის გეშინიათ, ჩვენ დემოკრატები ვართ, ვებრძვით დიქტატურასა და ძალადობას. საარჩევნო ყუთის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა – ცქიფურიშვილმა მიიღო ასი პროცენტი დადებითი ხმა, ხოლო დიდებაშვილმა და ალფენიძემ ასი პროცენტი უარყოფითი ხმები.

ტაშის გრიალში სოსო ცქიფურიშვილს მიულოცეს დეკანად არჩევა.

პროფესორი ნინო ინწკირველი მაინც ვერ მიმხვდარიყო რა იყო ქსივები და რატომ იყო ეს არჩევნები დამოკრატიული.

მარტი, 1992 წ.

ფაშუტია

ფაშუტია ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში დაიბადა. ბავშვობიდან მიეჩვია ინტენსიურ შრომას და ეს სიბერემდე გაჰყვა.მას ქალებიც უყვარდა, მაგრამ ახლობლებში ყოველთვის იფიცებოდა, ჩემისთანა პატიოსანი ქმარი მსოფლიოში არ არისო. ერთხელ მოსკოვში წავიდა ხანგრძლივი მივლინებით სადოქტორი დისერტაციის დასაწერად. მას ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში უნდა ეცხოვრა. ცოლ-შვილი კმაყოფილი იყო, თანუგრძნობდნენ რომ ფაშუტი ამ სიცივეში მეცნიერების გულისთვის რამხელა მსხვერპლს გადისო. მაგრამ ონავარ ქალებს რა გამოლევს. ერთ საღამოს ფაშუტის სახლში გაისმა ტელეფონის ზარი, უცნობი ქალბატონი ფაშუტიას კითხულობდა. ფაშუტიას მეუღლემ სიამაყით უთხრა: ფაშუტია მოსკოვშია, ლომონოსოვის უნივერსიტეტში ცხოვრობს და სადოქტორო დისერტაციას წერსო. უცნობ ქალბატონს ტელეფონში სიცილი წასკდა, მეუღლე შეცბა და იკითხა: ქალბატონო, რა არის აქ სასაცილოო. იმიტომ მეუბნებით, რომ თქვენი მეუღლე გატყუებთ,თქვენ გეუბნებათ,რომ ლომონოსოვის უნივერსიტეტშია, სინამდვილეში კი დომოდედოვოში თავის საყვარელ ანა პეტროვნასთან ცხოვრობს. რის ანა პეტროვნა, რა ანა პეტროვნა, რატომ აყენებთ ამხელა შეურაცხყოფას ჩემს მეუღლეს? გაცხარდა ფაშუტიას ცოლი. უცნობი არ ჩერდებოდა და კვლავ აგრძელებდა: იცით რა, მე მოგცემთ ანა პეტროვნას ტელეფონს და თქვენ თვითონ დარწმუნდითო. ფაშუტიას ცოლმა

ახლად მოპოვებული ტელეფონის ნომრით დაურეკა ფაშუტიას. ყურმილი ანა პეტროვნამ აიღო და ფაშუტიას ცოლის შეკითხვას უპასუხა: წუხელ მგზნებარე ღამე გვქონდა და ახლა ფაშუტიას ტკბილად სძინავსო.

დამთავრდა მივლინება, ფაშუტია თბილისში ჩამოვიდა, მეუღლემ უთხრა: შე უსირცხვილო, მე შენ ლენინის გორაზე ლომონოსოვის უნივერსიტეტში გაგაგზავნე და შენ კი დომოდედოვოში იყავი, როგორ მიყურებ თვალებშიო. აბა რა მექნა, უპასუხა ფაშუტიამ: ლომონოსოვის უნივერსიტეტში მაცივარი გამიფუჭდა და პროდუქტებს დომოდედოვოში ვინახავდიო.

ფაშუტიას ბრწყინვალე მეუღლე ჰყავდა. ქალბატონი მერი. ის ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო ფაშუატიას სამეცნიერო მუშაობისთვის და ხშირად თვითმფრინავით უგზავნიდა კახურ ღვინოს და მეგრულ პურ-მარილს. საკმაო წილს ამ პურმარილისას ფაშუტია რუს ქალბატონებთან ერთად მიირთმევდა. ერთხელ მეც შევესწარი ასეთ პურ-მარილის გამოგზავნას. ეს ლომონოსოვის უნივერსიტეტში ხდებოდა. ფაშუტიამ გაგვაფრთხილა: ამაღამ ჩემს ოთახში ვერ დავიძინებ, გვერდით პოლონელი დოცენტი ქალი ცხოვრობს და ღამე იმ ქალთან ერთად უნდა გავატაროო. მე და ჯემალ შაკაიამ გავიცინეთ, კი ფაშუტია, კარგი საქმეა, პოლონელ ქალს რა სჯობიაო. ქალი არც ჩემთვის და არც ჯემალისთვის უცხო ხილი არ იყო, მაგრამ ამის შემდეგ რაც მოხდა ორივე გაგვაოცა. ფაშუტიამ აიღო დიდი „პრავიზიონკა“, ჩადო შიგ ცივად მოხარშული დედალი, შებოლილი ღორის ხორცი, ჩადო შიგ

ქვაბით საცივი, მეგრული კუპატები, თითო თავი შებოლილი და შეუბოლავი სულგუნი, ჩურჩხელები, მანდარინი, კარალიოკის ჩირი, ერთი ბოთლი ჭაჭა. დახურა „პრავიზიონკა“, მეორე ხელი წაავლო ღვინით სავსე ბოცას და წავიდა პოლონელ ქალბატონთან. გაოცებულმა ჯემალ შაკაიამ მიაძახა: ფაშუტია შენ ქალთან ღამის გასათენებლად მიდიხარ თუ ფოსტაში ამ ქალის ქმარ-შვილისთვის ძღვენის გასაგზავნადო.

ფაშუტიამ მოსკოვში სიმპატიური ქალბატონი გაიცნო. სიყვარულში გამოუტყდა, მაგრამ დრო არ ეყო, ესტონელი ტალინში დაბრუნდა. ფაშუტია კი თბილისში. ფაშუტიამ მას ტალინში მგზნებარე წერილი მიწერა თან სპარსული პოეზიაც მოიშველია:

„მე რომ მქონოდა ათასი გული,
იმ ათასსავე შენ მოგიძვნიდი“.

„მე შენი ტრფობის კლიტეს ვერ გავტეხ
სანამ ეს ძვლები არ დამეფშვნება
მე შენთან შეყრის იმედს ვერ დავთმობ,
სანამ სხეული სულს გაჰყრია“.

„სიცოცხლეს მიჯობს სიყვარულის დამეცეს მეხი,
მეფობას მიჯობს, შენს წინაშე მოვდრიკო კეხი“.

ფაშუტია თავის წერილში სიყვარულის ცეცხლში იფერფლებოდა და ესტონელ ქალბატონს შეხვედრას სთავაზობდა საბჭოთა კავშირის ნებისმიერ წერტილში. თურმე ფაშუტიას სიცოცხლის მშვენიერება ამ ქალბატონმა აგრძნობინა. ამ მღელვარებაში ფაშუტიამ

ტალინის მისამართის ნაცვლად თბილისის მისამართი დაწერა. გარკვეული დროის შემდეგ ეს წერილი ფაშუტიას მეუღლემ მიიღო. ყველაფერი ნათელი იყო. ფაშუტიას მეუღლემ მას არ უთხრა, მაგრამ მის მეგობრებს წააკითხა. მოვიდა ფაშუტიას დაბადების დღე, შეიკრიბნენ ახლობლები. თამადამ (ფაშუტიას ახლო მეგობარმა) იუბილარის სადღეგრძელო ასე დაიწყო: ჩემო ფაშუტია, „მე რომ მქონოდა ათასი გული, იმ ათასსავე შენ მოგიძღვნიდი“. ფაშუტია ვერაფერს მიხვდა, მაგრამ მეუღლემ როცა უთხრა: „მე შენი ტრფობის კლიტეს ვერ გავტეხ, სანამ ეს ძვლები არ დამფშვენია“, ცოტათი ჩაფიქრდა. დააგვირგვინა ცოლის ძმამ, მან სადღეგრძელო ასე დაამთავრა: „სიცოცხლეს მიჯობს სიყვარულის დამეცეს მეხი, მეფობას მიჯობს, შენს წინაშე მოვდრიკო კეხი“.

ფაშუტიას ავტოინსპექტორმა მართვის უფლება ჩამოართვა 6 თვით. ეს საშინელება იყო. ის ხშირად დადიოდა თბილისიდან ზუგდიდში. ავქსენტი ჯღარკავამ თავის მართვის უფლება ათხოვა. ფაშუტია მაღალი სიჩქარით დადიოდა და ხშირად არღვევდა წესრიგს. ერთ-ერთი ასეთი დარღვევისას ხობთან ავტოინსპექტორებმა გააჩერეს. ბევრი იკამათეს, რომ ეს ფაშუტიას მოწმობა არ იყო. ბოლოს მორიგდნენ, ინსპექტორმა მოწმობა დაუბრუნა. ფაშუტიას გაუხარდა, დაავიწყდა, რომ სხვისი საბუთები ჰქონდა და გამომშვიდობებისას უთხრა: თუ თბილისში, კერძოდ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რამე დაგჭირდა ფაშუტია იკითხე და ყველაფერში დაგეხმარებითო. ინსპექტორებს თვალები გაუფართოვდათ მოულოდნელობისაგან, ერთ-ერთმა

უთხრა, მე მაშინვე გიცანი, ჩვენ მეორე კლასში ერთად ვსწავლობდით, მაგრამ რომ დაიჩემე აქვსენტი ჯღარკავა ვარო, მე საქმე აღარ გავამწვავეო.

მიუხედავად იმისა, რომ ფაშუტია პროფესორი და საკმაოდ კარგად ჩაცმული იყო, ზოგჯერ მანქანაში უბრალოდ იცვამდა. ერთხელ ის ზუგდიდან თბილისში მოდიოდა. ზაფხული იყო, მას მაიკა, შორტები და „შლოპანცები“ ეცვა. გვერდით კი საზაფხულო კოსტუმში გამოწყობილი, გალსტუკიანი სიძე ეჯდა. ფაშუტი ავტოინსპექტორმა გააჩერა და „პრავას უკაჩავებდა“. მანქანიდან სიძემ დაიწყო გადმოსვლა – ინსპექტორს ის ფაშუტიას „ხაზეინი“ ეგონა, სასწრაფოდ დაუბრუნა ფაშუტიას დოკუმენტები და სიძეს მოუბოდიშა: არ შეწუხდეთ ბატონოო.

ზუგდიდში მიმავალი ფაშუტია ავტოინსპექტორმა ქუთაისში გააჩერა და დააჯარიმა. მეორე დღეს უკვე იმავე ინსპექტორმა უკვე ზუგდიდან მომავალი გააჩერა. კაცო, მთელი დღედაღამე მე მელოდებოდიო? გაუკვირდა ფაშუტიას.

ჩვენმა ახლობელმა პროფესორმა ცოლი მოიყვანა და ქორწილი ხაშურთან ახლოს სოფელში გადაიხადა. მშვენიერი საღამო იყო, სასიამოვნო ნიავი ქროდა და ჩიტები ძილისპირულს მღეროდნენ. ქორწილი მხიარულობდა, ისე შემოგვაღამდა, რომ ვერც კი ვიგრძენით. შუა ღამისას ფაშუტია გარეთ გავიდა ისე, რომ არავის არ გაუგია. შემოსვლისას ის კარებში გაჩერდა და თამადას მიმართა: ბატონო თამადა, თემურ ჩალათაშვილს ბიძაშვილი კითხულობსო. ყველას გაუკვირდა, თემური სიძის მეჯვარე იყო, ის სპეციალურად კახ-

ეთიდან ქორწილისთვის ჩამოვიდა და რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ღამის სამ საათზე კახეთიდან ხაშურში ჩამოსულიყო. თამადამ ბრძანა: თუ მართალი ხარ მაშინ შენ და თემური დანაძლევდით 100 დოლარზე და ამბის სისწორე შევამოწმოთო. ფაშუტიამ და თემურიმ დადეს 100-100 დოლარი და გარკვეული ჯგუფი (მათთან ერთად მეც) გავედით გარეთ. დავიწყეთ თემურის ბიძაშვილის ძებნა, ფაშუტიამ ჩაიცინა და გვითხრა, კაცო რა შორს ეძებთ, ეგ კაცი აქა დგასო, ტყის პირას ვირი დაბეჯითებით ცოხნიდა ბალახს. ხალხი მიხვდა ხუმრობას და ხარხარი ატყდა.

მძიმე დრო იდგა. სამოქალაქო ომი მძვინვარებდა თბილისში პროდუქტები ჭირდა. მე და ფაშუტია და პროფესორი გრიგოლია ქალაქში პროდუქტებზე დავდიოდით. ვაგზლის მოედანზე ყველი ვიყიდეთ და შესანახად იქვე დიდ გასტრონომში მივაბარეთ. წავედით დიდუბეში და იქაც პროდუქტები შევიძინეთ. უკან ტროლეიბუსით ვბრუნდებოდით პროდუქტების გარდა ფულიც ჭირდა, ფულის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით მძღოლი მხოლოდ წინა კარებს აღებდა. უამრავ ხალხში ერთი სოფლელი ქალი ჩანდა. მან შემნიშნა და მითხრა. შენი მგზავრობის ფულს მე გადავიხდი, მინდა პატივი გცეო. არ მესიამოვნა, ჯერ-ერთი ქალს ვთხოვე არ შეწუხებულიყო. რატომ არ უნდა შევწუხდე, შენ ხომ თელაველი მედოლე გოგია ხარო, მიპასუხა ქალმა. ზოგიერთ მგზავრს სახეზე ღიმილმა გადაჰკრა, პროფესორ კაცს სულაც არ მაინტერესებდა მედოლედ დაწინაურება. ფაშუტია ჩემი ცოლისძმა იყო და მოეწონა ჩემი გაშაყირება,ის ლაპარაკში ჩაერთო: ქალბა-

ტონო, გოგიასნაირი მედოლე მთელ კახეთში არ არისო. შენ რა ვისზე ნაკლები ხარო, უპასუხა ქალმა: შენ ხომ თელაველი მედოლეების ხელმძღვანელი ხარო. ფაშუტიამ კრინტი ვეღარ დაძრა, ტროლეიბუსის მგზავრები გემრიელად იცინოდნენ. მაგრამ ყველაზე დიდი მოულოდნელობა წინ გველოდა. ტროლეიბუსში ყოფილა გასტრონომის დირექტორი: მაღაზიაში შესვლისთანავე მოგვაძახა: მოხვედით მედოლეებოო.

მარტი 2000წ.

მოდი, მოდი! ..... არა, ნუ მოხვალ! რითი არიან თაგვები და ხვლიკები ჩვენზე ნაკლები!

2002 წლის 24 ივლისს საქართველოს ტელევიზიამ გადმოსცა ინფორმაცია: მეცნიერებმა აღმოაჩინეს 2 კმ დიამეტრის ასტეროიდი, რომელიც 2019 წელს დედამიწას დაეცემა და დიდ ქაოსს გამოიწვევსო. ამ განცხადებამ შოკში ჩამაგდო. რა იქნება თუ დედამიწაზე სიცოცხლე აღარ იქნება? ხომ შეიძლება ეს მართლაც მოხდეს? დედამიწაზე ათიათასზე მეტი ბირთვული იარაღია, ათეულობით ატომური ელექტროსადგური. ხომ შეიძლება ასტეროიდი ზუსტად მათ დაეცეს? ნუთუ უკვალოდ გაქრება ადამიანი, მისი ისტორია? ნუთუ აზრს დაკარგავს იმ მძიმე შრომის შედეგები, რომელსაც მილიონი წლების განმავლობაში ეწეოდა ადამიანი? ნუთუ ფუჭად ჩაითვლება მილიონით ადამიანის ლოცვა? ნუთუ სულ ტყუილად ჩაივლის მცდელობა ამერიკელებისა დიდი საზოგადოების შექმნის შესახებ? ნუთუ კომუნისტების ოცნება კომუნიზმის აშენების შესახებ მოკვდება? რა აზრი ჰქონდა რუსეთის მცდელობას დნეპრისპირეთის, ყარაბახისა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემების შექმნისა? რისთვის ღვრიან ჩეჩნები სისხლს თუ ყველაფერი არარაობად იქცევა? რა აზრი ჰქონდა შევარდნაძის მიერ საქართველოს აწიოკებას? ვის დაუტოვებენ მოპარულ ფულს ჩხარტიშვილი, სიორიძე, რჩეულიშვილი და ძმანი მათნი? ნუთუ სამუდამოდ დაიკარგება ინფორმაცია იმის შესახებ რომ იყვნენ სოკრატე, არისტოტელე, მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, რუზველტი, სტალინი? ნუთუ სამუდამოდ

დაიკარგება პელეს, მარადონას და რონალდოს ოსტატობა? ნუთუ აღარავის დასჭირდება რუსთაველის, ხაიამის, ვაჟა-ფშაველას სიბრძნე? რიღასთვის იბრძვიან ებრაელები და პალესტინელები? ნუთუ მოკვდება ღმერთი? ღმერთის გახსენებისა არ იყოს, მაპატიონ მორწმუნეებმა მაგრამ თუ აღარ იქნებიან ადამიანები, აღარ იქნება ღმერთიც... ნუთუ ღმერთი თავის თავს მოკლავს? რა შესცოდეს ადამიანებმა ისეთი, რომ ღმერთი მათ ასე დასჯის? ნუთუ არ იქნება მეორედ მოსვლა? ნუთუ საბოლოოდ დასრულდება ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორს? ნუთუ ტყუილად იბრძვის დასავლეთი რომ ყოველგვარი ეროვნული დააკარგინონ ქართველებს და საქართველო ისე მოირგონ როგორც საკუთარი ქამარი? სად წავა სიყვარული და სიძულვილი? სად წავა ცოცხალ არსებებს შორის სანუკვარი სექსუალური ლტოლვა? რა სახის ენერგიად გარდაიქმნება დედამიწა?

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ დედამიწა ერთ დროს ზომით ყოფილა 10^{-12}სმ^3 კატასტროფის შემდეგ რა განზომილება ექნება დედამიწას?

რა ვუყოთ რუსთაველის უზენაეს სიტყვებს ღმერთისადმი;

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვითა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.

ნუთუ სამუდამო დავიწყებას მიეცემა ილია ეს სიტყვები:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჰჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის,
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

ნუთუ მართლები არიან ნარკომანები? რათ ებრძვის მთელი მსოფლიო მათ? ისინი ხომ ბედნიერები არიან კაეფში? კაეფში მყოფები ხომ ვერ კი გაიგებენ დედამიწის დაღუპვას? რატომ ვებრძვით პროსტიტუციას? ბოზი ქალები ხომ არავის არაფერს არ უშავებენ? რატომ ვუყურებთ მთვრალ ადამიანებს დაცინვით? ისინი ხომ ბედნიერები არიან იმ მომენტში და სულაც არ ადარდებთ დედამიწისა და ადამიანთა მოდგმის ყოფნა-არ ყოფნა?

ოი, საკვირველებავ! მე ვფიქრობდი 2019 წელზე და 2002 წლის აგვისტოში დიდი უბედურება დატრიალდა. მსოფლიოს ბევრ რეგიონში კატასტროფული წყალდიდობები მოხდა. დემოკრატიის ცენტრი, ძველი სამყარო, ევროპა კინაღამ წყალში ჩაიძირა. არც ამერიკასა და აზიას დაყრია ხეირი. რუსეთში კი წყალმა ნოვოროსიისკთან 300-ზე მეტი ადამიანი წაიღო. თვითმხილველები ჰყვებოდნენ: ვხედავდი, როგორ მიჰქონდა წყალს ბოძები, სამშენებლო კონსტრუქციები, დიდი ზომის მილები, ავტობუსები, ავტომობილები და თქვენ

წარმოიდგინეთ სახლებიც. ეს ყველაფერი მოსალოდნელი იყო. დედამიწაზე დათბა, კლიმატი უარყოფითად შეიცვალა. ეს ადამიანის მოქმედების შედეგია და რეზულტატსაც ადამინი იმკის. რამდენი ათას ტონას წვავენ ჰაერში თვითმფრინავები დღეში? თვითმფრინავი, რომელიც ხაბაროვსკიდან მოსკოვში მიფრინავს ხარჯავს დაახლოებით 80 ტონა ნავთს. დღეში დედამიწაზე ათასობით ავიარეისები ტარდება. და განა მარტო თვითმფრინავებშია პრობლემა?

რატომ ვართ ადამიანები ასეთი ამბიციურები? რატომ განვიცდით დედამიწის შესაძლო დაღუპვას ასე მწარედ? ჩვენს, გარდა ხომ დედამიწაზე ათასნაირი არსებები არიან? განა იმათ არ უყვართ ცხოვრება? მასხოვს, ერთხელ თაგვებთან ბრძოლას წელიწადზე მეტი დრო მოვანდომე. თაგვები ახალ-ახალ სვლებს აკეთებდნენ. ჩემი აგარაკის ეზოში ლითონის კასრში მცირე რაოდენობის წყალში თაგვი და ხვლიკი აღმოვაჩინე. თაგვი დამხვრჩალი, ხვლიკი კი ცოცხალ-მკვდარი ამოვიყვანე და მზეზე დავსვი, ალბათ გადარჩებოდა. განა მათ არ უყვართ სიცოცხლე? განა ისინი არ ტკბებოდნენ სამყაროს მშვენიერებით? განა ისინი ემუქრებიან დედამიწას დაღუპვით? ჩვენ, ადამიანები რატომ ვიღებთ ამ ინიციატივას? რატომ არ ვეტევით დედამიწაზე? განა ცუდია აქ ცხოვრება?

აგვისტო, 2002

ვარდების რევოლუცია ამერიკული რეჟისურით და ქართველი შემსრულებლებით

ვარდების რევოლუცია – „ნაურა“ პარლამენტში

დავიბადე და გავიზარდე საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში, თბილისში. ბავშვობაშისისტემატურად დავდევდი ბაბაიანცს და ისიც ყოველდღე ასრულებდა ოტელოს და დაუნდობლად ჰკლავდა დეზდემონას. ასევე თითქმის ყოველდღე აკეთებდა თავისი ლურჯი ტრიკოს დემონსტრირებას გიჟი მარგო. ფიქრის გორა ძირითადად ქართული უბანი იყო და აქაც ბატონობდა იმდროინდელი თბილისის დაუწერელი კანონები.

40-იანი წლების თბილისში ქალის კულტი იყო. მამაკაცი, რომელსაც თან ქალი ახლდა ყველგან და ყოველთვის ხელშეუხებელი და პატივსაცემი პერსონა იყო. არ შეიძლებოდა ჩხუბის დროს დანის ხმარება, არ შეიძლებოდა წაქცეული კაცის ცემა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანა გამდიდრდა, ფაქტიურად პურ-მარილებში შეჯიბრი იმართებოდა, ყველა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი სტუმრები ჰყოლოდა და კარგად დატვირთული სუფრა გაეშალა. დაიწყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა, კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების გახსნა და ა.შ. საბჭოთა კავშირში ქართველი, რუსების შემდეგ ნომერ პირველი ნაცია იყო. სომხებსა და აზერბაიჯანელებსაც კი ქართველებს ეძახდნენ. საოცრად გაიზარდა თბილისი, როგორც ტერიტორიულად, ასევე მოსახლეობითაც. თანდათან კვდებოდა

ძველი ტრადიციები და თბილისში იჭარბა პროვინციალიზმმა. გაბატონდა მექრთამეობა და პროტექციონიზმი. მოსახლეობა ამას ცეკას პირველ მდივანს მჟავანაძეს და მის მეუღლეს აბრალებდა. ამ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ყოფილი კომკავშირული მოღვაწე ედუარდ შევარდნაძე. მე პირადად მას არ ვიცნობდი, მაგრა კარგად ვიცნობდი მის დას ქალბატონ ვენერა შევარდნაძეს, რომელიც ვერაზე მე-7 ქალთა სკოლაში ბუღალტრად მუშაობდა, ამავე სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა დედაჩემი მარიამ ხიმშიაშვილი. ცხოვრებითაც შევარდნაძეების ოჯახი ფიქრის გორაზე ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. ვენერა შევარდნაძე ჩემს მეხსიერებაში დარჩა როგორც მოკრძალებული და პატიოსანი ადამიანი.

ყველაფერი შეფარდებითია და იმ ეპოქის ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ასეთი ცხოვრება გაუსაძლისი იყო. ახალმა მინისტრმა რამდენიმე მექრთამე და კომბინატორი დაიჭირა (დღეს ასეთ კომბინატორებს ბიზნესმენები ჰქვია), და ქვეყანაში პოპულარობა მოიპოვა.

1972 წლის ივნისის ბოლო დღეები იყო. გვითხრეს ჩვეთან სასაუბროდ შინაგან საქმეთა მინისტრი მოდისო შეხვედრას დავესწარი. ყველამ ვიცოდით, რომ შევარდნაძეს ყველაფერი ჰქონდა მომზადებული მჟავანაძის ჩამოსაგდებად მექანიზმი მარტივი იყო, შევარდნაძე საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის შჩოლოკოვის საშუალებით (იგი ბრეჟნევის მეგობარი იყო ახალგაზრდობიდან) ბრეჟნევს აწვდიდა ინფორმაციას მჟავანაძის დარღვევების შესახებ და ცხადია ყველა მოველოდით უახლოეს ხანში მის ჩამოგდებას

და გარკვეულ შემთხვევაში ამ ადგილზე შევარდნაძის დანიშვნას. ასეთ ინფორმაციას ფლობდა თბილისი. მოხსენება ერთის მხრივ, პირდაპირი და სამართლიანი იყო. გველაპარაკებოდა მართალი კაცი: მან ისიც კი გვითხრა თქვენ ტროლეიბუსში რას ლაპარაკობთ ისიც კი მოაქვთ ჩემთანო, სწორი იყო როდესაც თქვა პურის ქარხნის მუშას სამუშაოს დამთავრების შემდეგ სახლში 2-3 პური მიაქვს, მაგრამ მე მათ არ ვიჭერ, იმიტომ რომ პატარა ხელფასი აქვს. ძირითადად მოხსენებაში ფიგურირებდა გვარები: ლაზიშვილი, პაპუნაშვილი, ქავთარაძე...

მეორეს მხრივ ჩემს წინ იდგა რაფინირებული თაღლითი: მიუხედავად იმისა, რომ ის მჟავანაძის „გასაფუჭებლად“ იღწვოდა, მოხსენება დაიწყო მჟავანაძის ციტატით და დაამთავრა მჟავანაძის ციტატით: „ჩვენ ისე ვიმუშავებთ როგორც მოგვიწოდა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ ცეკას – პლენუმზე“.

შემოდგომაზე შევარდნაძე ცეკ-ას პირველი მდივანი გახდა. დაიწყო შევარდნაძის ეპოქა – ეპოქა ქართველი ხალხის წამებისა: შევარდნაძეს ყოველთვის შესანიშნავი ინტუიცია ჰქონდა. ყოველთვის პოულობდა კარგ სვლას. იმ დროისთვის ყველაზე მომგებიანი იყო რუსულენოვანი ხალხის წახალისება და ქართველების შევიწროება, რასაც ის შესანიშნავად აკეთებდა. ამავე დროს ის ხელს უწყობდა ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადებას (ღვინის, ჩაის და ა.შ.). ყველაფერი ეს მას შესანიშნავად დაუფასდა: გახდა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირი, პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამ თანამდებობაზე ებრაელ ხელმძღვანელობას რუსი არ

აწყობდათ და ამიტომ შევარდნაძე კარგი კანდიდატურა იყო. მსოფლიოს ებრაელობამ ამერიკის ფულით დაშალა საბჭოთა კავშირი (მიუხედავად ბევრი ნაკლისა ეს მართლაც ხალხებისთვის შექმნილი სახელმწიფო).

საქართველოში გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ქართველმა ხალხმა აირჩია თავისი პირველი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია. ამ დროს შევარდნაძე უმუშევარი იყო და მოსკოვში იმყოფებოდა, მას პირველად უმტყუნა ინტუიციამ, დეკემბერში გახდა იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც ერთი თვეც ვერ იარსება. ახლაც არ მავიწყდება მისი ბრწყინვალე ტაქტიკური სვლები. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა იყო. გორბაჩოვი აწარმოებდა მინისტრების დამტკიცებას. რამოდენიმე მინისტრი არ დაამტკიცეს. გორბაჩოვის „დემოკრატი დეპუტატები“ საშინელ დღეში აგდებდნენ მინისტრების კანდიდატებს. დადგა შევადნაძის ჯერიც. მოველოდით, რომ მას გააშავებდნენ. მაგრამ შევარდნაძემ ერთი წინადადებით მოატყუა ხუთასამდე დეპუტატი. ამხანაგებო, მიმართა მან დარბაზს: მე თქვენთვის მომზადებული მაქვს ვრცელი მოხსენება, რომელსაც წარმოგიდგენთ ერთი კვირის შემდეგ. ცხადია შეკითხვები აღარ იყო და პირდაპირ კენჭის ყრაზე გადავიდნენ: მოხდა სასწაული, არცერთი წინააღმდეგი არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, მისმა ზოგიერთმა უხეშმა შეცდომამ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი დაუპირ-

ისპირდა მას, ქვეყანა გაიყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახებიც კი გაიყო, ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად. გამსახურდია არ აწყობდა არც ამერიკას და არც რუსეთს. მათთვის შესანიშნავი კანდიდატურა იყო ედუარდ შევარდნაძე. ოპოზიციამ, რუსეთის ფინანსური და სამხედრო დახმარებით 1992 წლის 6 იანვარს ჩამოაგდო გამსახურდია და მარტში უკვე შევარდნაძე თბილისში იყო. შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა, რომ მის ოჯახსა და ახლობლებს ხელში ჩაეგდოთ ქვეყნის სიმდიდრე. შიმშილით იხოცებოდა პროფესურა, მოხუცები და ა.შ. დაახლოებით 1 მილიონი კაცი გაიქცა საქართველოდან. შევარდნაძემ ზვიადისტების გაჩერების მიზნით, რომლებიც ძალიან ძლიერნი იყვნენ აფხაზეთში ჯარი შეიყვანა. 1993 წლის ზაფხულში სოხუმიდან ქართული მოსახლეობა გამოსული იყო, შევარდნაძემ მოტყუებით, ცრუ შეპირებებით ქართველები უკან დააბრუნა, რასაც მოჰყვა ქართველების ამოჟლეტა და აფხაზეთის დაკარგვა. დაიკარგა ცხინვალიც. შევარდნაძემ 10 წელიწადში ქართველ ხალხს იმდენი უბედურება მოუტანა, რაც საქართველოში გარეშე მტრებმა ათასწლეულებშიც ვერ მოახერხეს. შევარდნაძე არაფრით არ აღიარებდა რუსეთის მონაწილეობას აფხაზეთის დაკარგვაში. ის ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ელცინმა ამის შესახებ არაფერი იცისო. შევარდნაძემ რუსეთის ჯარის დახმარებით (ადმირალი ბალტინის ჯარი) დაარბია სამეგრელო (სადაც ძირითადად ზვიადისტები იყვნენ). საქართველოში პარპაშობდა კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი. ქუჩაში აუპატიურებდნენ ქართველ ქალებს, მოსახლეობას ართმევდნენ მან-

ქანებს. დასავლეთის სახელმწიფოები იძლეოდნენ სესხებს, გრანტებს, რომლებიც არ ხმარდებოდა ხალხს. ისინი ძირითადად ედუარდ შევარდნაძის, მისი სანათესაოს და გარემოცვის ჯიბეებში ილექებოდა. ქვეყანა გაღატაკდა, ხალხი დაჩლუნგდა, ზნეობა გაქრა თუ ოფიციალურად საქართველოში მოსახლეობა 1991 წ. იყო 5.7 მილიონი კაცი 1993 წლისათვის ის შეადგენდა 4.2 მილიონ კაცს. ყველაფრის იმედი ამოიწურა. ამ დროს გამოჩნდა სააკაშვილი, რომელმაც ღია ბრძოლა გამოუცხადა შევარდნაძეს. ახალგაზრდა კაცი, რომელიც მრავალ კითხვას ბადებდა. მე ის პირველად ვნახე 1998 წელს საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც ის ესტუმრა პედაგოგიურ უნივერსიტეტს. ინსტიტუტის რექტორმა კრების დასაწყისში მიმართა სააკაშვილს: პირადად მე და ამ დარბაზში მყოფი ყველა ადამიანი ვართ შევარდნაძის მხურვალე მხარდამჭერებიო. სააკაშვილმა ეს მხურვალე სიამოვნებით მიიღო. პირველივე მოხერხებულ მომენტში მე დარბაზი დავტოვე. მეორე დღეს თანამშრომლებმა მითხრეს, სააკაშვილი შეგვპირდა, რომ არჩევნების დამთავრების შემდეგ ყველას ხელფასი გაიზრდება მინიმუმ 175 ლარამდეო. არჩევნები ერთ თვეში დამთავრდა და 175 ლარი არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს არ გახსენებიათ. სააკაშვილს ოპონენტები სულ გასძახიან, რომ ის არის შევარდნაძის გამოზრდილი და აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის დანგრევაში, რომ მან თავის შვილს ედუარდის პატივსაცემად ედუარდი დაარქვა. კი, ოპონენტების ეს არგუმენტები მართალია, მაგრამ ახალგაზრდა კაცი, რომელიც გარკვეულ პერიოდში არასწორ გზას ადგას

და შემდეგ ის მოინდომებდა სწორი გზით სიარულს, რა არა აქვს ამის უფლება? ის ამისათვის კი არ უნდა ვლანძღოთ, არამედ უნდა ვაქოთ და ხელი შევუწყოთ. მეორე არგუმენტია მისი მტრებისა, რომ ის არაქართული წარმოშობისაა. ყოველ ზაფხულს მე ვმკურნალობ თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში. ჩემს ყურადღებას იპყრობდა მაღალი გამხდარი კაცი, რომელიც მიმდინარე რემონტს ამოწმებდა. მე გარეგნობით ის სომეხი ან ქურთი რემონტიორი მეგონა. შემდეგში მითხრეს, რომ ეს კაცი კურორტის დირექტორი და სააკაშვილის მამა არისო. ლენინს რვა ეროვნების სისხლი ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო, რომელმაც რუსეთი მთელ მსოფლიოში გამოარჩია. დავუშვათ, რომ სააკაშვილს რაღაც პროცენტი არაქართული სისხლი აქვს, ამას რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს? მან უფრო მეტი ქართული საქმე გააკეთა, ვიდრე მილიონობით სხვა ქართველმა. მესამე არგუმენტი სააკაშვილის მტრებისა არის ის, რომ სააკაშვილი ფსიქიურად ავად არისო. პოეტმა რეზო ამაშუკელმა სახალხოდ განაცხადა სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტიც კი მიხვდა, რომ სააკაშვილი ფსიქიურად ავადმყოფია. ვინ არის მიხეილ სააკაშვილი? მიშა არ არის ფსიქიურად ავადმყოფი ის უბრალოდ ახალგაზრდა კაცია, რომელსაც თავისი ასაკის შესაბამისად ემოციები აქვს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, შექმნილი სიტუაცია ხელს უწყობს მის გაცილებით სწრაფ დაღვინებას, ვიდრე საშუალო ქართველი ახალგაზრდისას, ის რაც სააკაშვილმა გააკეთა 2003 წლის ნოემბერში

ეს იყო შესანიშნავი ფსიქოლოგიური და ადამიანური გათვლების შესანიშნავი შედეგი. მან ერთ მუშტად შეკრა მილიონობით ადამიანი, არ შეუშინდა აშკარა სიკვდილს, რომელიც მას აშკარად ემუქრებოდა. მან გამოამჟღავნა შესანიშნავი ინტუიცია, როდესაც რამოდენიმე დღით ადრე განაცხადა 23 ნოემბერს შევარდნაძეს გადავაგდებთო. შევარდნაძე მზად იყო დაეღვარა სისხლი, ოღონდ სკამი შეენარჩუნებინა. ის გაემგზავრა ბათუმში, სადაც მიიღო ასლან აბაშიძის სრული მხარდაჭერა. ასლან ბაბუმ თბილისში რამდენიმე ათასი კაცი გამოგზავნა, რომლებიც აღორძინებასთან ერთად შევარდნაძის მხარდამჭერ მიტინგს მართავდნენ. საქართველოდან სააკაშვილის მხარდამჭერთა კოლონა ავტომობილებითა და ავტობუსებით გამოემართნენ, მათთან ერთად მოდიოდნენ უცხო ქვეყნების მედიის წარმომადგენლები. საოცარი სანახაობა იყო თოვლჭყაპში მომავალი კილომეტრზე მეტი სიგრძის ავტოკოლონა შეძახილებით: „გადადექი", „გადადექი"... შევარდნაძის პასუხი ასეთი იყო: „მანამ გვერდები არ აგიდგებათ, არ გადავდგებიო" შევარდნაძის გარემოცვა სააკაშვილის, ბურჯანაძის და ჟვანიას დაჭერას მოითხოვდა. ჩემის აზრით ამის სანქცია რესპუბლიკის პროკურორს უკვე ხელთ ჰქონდა. ყველაფერი მიდიოდა დასწრებისკენ. ვინ დაასწრებდა, შევარდნაძე დანიშნული, ყალბი არჩევნების პარლამენტის ამუშავებას, თუ სააკაშვილი მის ჩამოგდებას. შევარდნაძე შესაძლოა საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას და უმრავლესობის მოპოვებას შეძლებდა. ჩვენს საარჩენო უბანში საკმაო რაოდენობით 1800 წელს დაბადებული ადამი-

ანები იყვნენ, სიაში ბევრი გარდაცვლილი იყო, მაგრამ სიაში არ იყვნენ ბევრი ცოცხლები. შევარდნაძემ შესძლო ტოტალური გაყალბება და რეალურ გამარჯვებულს ნაციონალურ მოძრაობას უმრავლესობა წაართვა. ამიტომ იყო სააკაშვილი გაცეცხლებული, ამიტომ არ აწყობდა მას ახალი პარლამენტის ამუშავება. შევარდნაძე კი საციცოხლოდ დაინტერესებული იყო პარლამენტის ამუშავებაში ვინაიდან აღორძინებასთან ერთად მას უმრავლესობა ჰყავდა. ამ არჩევნებში ისიც იქცევდა ყურადღებას, რომ აჭარაში აღმოჩნდა დაახლოებით 300 ათასი ამომრჩეველი, ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს აჭარაში ცხოვრობს დაახლოებით 430 ათასი ადამიანი, რაც მეტად საეჭვოა.

როდესაც სააკაშვილის ჯგუფი დაიძრა პარლამენტისკენ ცხადია მთავარი ის იყო გაისროდა ტყვიას თუ არა მთვარობა. მთავრობამ ეს ვერ გაბედა, ხალხი შევიდა პარლამენტში და გაოფლიანებულმა სააკაშვილმა მიმართა შევარდნაძეს (რომელიც სიტყვით გამოდიოდა), გადადექი! გადადექი! გადადექი! ჩვენდა გასაკვირად პარლამენტის სხდომა გაიხსნა მას შემდეგ, რაც იქ მივიდნენ ახალი მემარჯვენეები. ამ დღეებში გაირკვა რამდენიმე ლიდერის და მათი პარტიების ნამდვილი სახე. აღმოჩნდა რომ ახალ მემარჯვენეებს – ლიდერი გამყრელიძე და ლეიბორისტებს – ლიდერი ნათელაშვილი კარგად არ ესმით რა არის ხალხი და სახალხო ინტერესები. მათ ალბათ საბოლოდ შეირცხვინეს თავი.

შევარდნაძე გააქციეს კრწანისში. ძველი პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ თავის თავზე აიღო პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება.

პარლამენტის აღების ტექნოლოგიამ გამახსენა თბილისის „დინამოს“-ს სტადიონზე მოწყობილი „ნაურები“. 50-იან, 60-იან წლებში თბილისში ფეხბურთზე დასწრების ბუმი იყო. სტადიონი პატარა იყო საქართველოსთვის. პირველად მასზე 24 ათასი კაცი ეტეოდა, შემდეგ 40 ათასი და პრობლემა გადაიჭრა 1977 წელს, როდესაც რეკონსტრუქციის შედეგად ადგილების რაოდენობა 75 ათასამდე გაიზარდა. მე იმ დროს ვიხსენებ როცა სააკაშვილი არ იყო დაბადებული. მაშინ საქართველოში ტელევიზია არ იყო და ხალხი ფეხბურთის საყურებლად თბილისში საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ. ბილეთებს სამსახურებში ურიგებდნენ თანამდებობის დიდ პირებს. ღარიბ ხალხს არც ფული ჰქონდა, რომ შავ ბაზარზე ეყიდა ბილეთები. არადა ფეხბურთის ყველაზე დიდი ფანატიკოსები ღარიბები იყვნენ. ძირითადად „ნაურა“ ჩრდილოეთ ტრიბუნასთან ხდებოდა. ასეულობით ადამიანი ტალღებად აწვებოდა მილიციის კორდონს, ამით ამოწმებდა მის სიმტკიცეს ბოლოს გადამწყვეტი ტალღა იქმნებოდა და ასობით ბედნიერი გულშემატკივარი სტადიონზე შედიოდა. როგორც წესი „ნაურა“ ხდებოდა თამაშის დასაწყისში. დაახლოებით ასეთი ტექნოლოგია განხორციელდა 2003 წლის ნოემბერს პარლამენტის აღებისას.

23 ნოემბერს აქციის მშვიდობიანად ჩატარებას ხელი შეუწყო აშშ-ს ელჩმა მაილსმა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა (დედით ქართველმა).

2003 წ. დეკემბერი

შორია ტრაპიზონამდე

2003 წლის 10-17 აგვისტოს სტამბულში იმართებოდა მსოფლიოს ფილოსოფოსთა XXI კონგრესი. მე ორი მოხსენება მქონდა: ერთი სამართლის ფილოსოფიაში, რომელიც ეხებოდა ბუნებრივი კანონების უპირატესობას ნებელობით კანონებთან, სადაც კერძოდ, ვიხილავდი რუსეთის ძალისმიერ დაუსჯელ ქმედებებს საქართველოს მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ ამერიკის პოლიციურ მოქმედებებს მთელი მსოფლიოს მიმართ. მეორე მოხსენებაში განხილული მქონდა ფრიდრიხ ნიცშესა და ვაჟა ფშაველას შემოქმედება.

ამ პერიოდში საქართველოში მეცნიერება არავის ჭირდებოდა. ცნობილი მეცნიერები შიმშილით იხოცებოდნენ. ზოგიერთი პროფესორი უცხო საზოგადოებაში არ აჩენდა პროფესორობას, რომ მათში შეცოდების გრძნობა არ გამოეწვია. მე დაფინანსების თხოვნით მივმართე ერთ-ერთ ბიზნესმენს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. თურქეთის მთავრობა კონგრესის მონაწილეებს მგზავრობის ფასს უნახევრებდა, მაგრამ საქართველოს საჰაერო ფლოტმა შეწყვიტა ფრენა სტამბულში. მოკლედ ჩემი ხარჯით გავემგზავრე სტამბულისაკენ. ბათუმამდე სამარშრუტო ტაქსით გავემგზავრე ჩავჯექი მანქანაში, 1 საათის შემდეგ მითხრეს ეს მანქანა არ წავაო და გადაგვსხეს მეორე მანქანაში. მძღოლმა აკრიბა 16-16 ლარი მალე მოვიდა სხვა მამაკაცი და მძღოლს უთხრა 2-2 ლარი დაუბრუნე მგზავრებს, თორემ მეორედ აქ აღარ შემოგვიშვებენო. მძღოლმა მამაკაცებს 2 ლარი დაუბრუნა, ხოლო ქალებს არა. ერთი ქალიშვილი აყვირდა, თუ მგზავრობა 14 ლარი ღირს, შენ ჩემი 16 ლარი გაქვს და ჩემი 2 ლარი დამიბრუნე, მე ჩემს ფულს გთხოვ შენს ხომ არაო. რა კატეგორიის

„ლევი“ მანქანა იყო, ვერ მივხვდი, მაგრამ ერთი ნათლად ჩანდა, ვინც ავტოვაგზალ „დედაქალაქის“ თანამშრომლად გვაჩვენებდა თავს ყველა ბანდიტივით იქცეოდა. ჩვენ მძღოლს ცენტრალური გამოსასვლელიდან გამოსვლა არ უნდოდა, ეტყობა ვიღაცას ემალებოდა, ბოლოს როგორც იქნა მოახერხა არაოფიციალური გამოსასვლელიდან გამოსვლა. მოკლედ ჩავედი სარფში, საზღვარი გადავლახე და ტაქსით ჩავედი ხოფაში, იქიდან კი მერსედესის ავტობუსით ტრაპიზონამდე. ჩემი ყურადღება მიიპყრო ავტობუსის სისუფთავემ. მძღოლის ჩაცმულობამ, შავი ფეხსაცმელები, შავი პრიალა შარვალი, თეთრი საროჩკა და გალსტუკი. მუშაობდა კონდიციონერი. მთელ თურქეთში ასეთი სისტემა იყო (მე სოფლები არ მინახავს). ჩავედი ტრაპიზონში და ეს ქალაქი საკმაოდ მომეწონა გზაში მთებზე შეფენილი იყო ჩაის ბუჩქები, ხოლო სახლების სახურავები ძირითადად გადახურული იყო მეტალოკრამიტით. ტრაპიზონში საკმაოდ კარგი აეროდრომი დამხვდა, ხოლო სტამბულის აეროდრომმა საკმაოდ გამაკვირვა. ის ალბათ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა აეროდრომიდან ტაქსით გავემგზავრე სასტუმრო Bristol–ში, რომელიც რაიონ Taxim-ში მდებარეობს. ეს სტამბულის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია. რომ იტყვიან ჩემი ნომერი იაფი და თანაც იორღა იყო.

ვერ წარმომედგინა რომ სტამბული ასეთი ლამაზი იქნებოდა. სასტუმროში თავს როგორც საკუთარ ოჯახში ისე ვგრძნობდი. მოვინახულე გამოფენათა სასახლე, სადაც კონგრესი უნდა ჩატარებულიყო. 10 აგვისტოს კონგრესი გაიხსნა. გახსნას თურქეთის ელიტა დაესწრო. დარბაზში იყო ქალაქის მერი, მხარის გუბერნატორი, სახელმწიფო მინისტრი, თურქეთის პრეზიდენტი და სხვ. დღის ორ საათზე ჩემი ორი მოხსენება იყო, ვეძებდი იმ

დარბაზს, სადაც ჩემი პირველი მოხსენება იყო. კორპუსის ერთ-ერთ ახლგაზრდა თანამშრომელს მივმართე ამის შესახებ. ქართველი ხარ? მკითხა ქართულად მან. კისერზე მქოდნა ჩამოკიდებული კონგრესის მონაწილის ბარათი, სადაც ეწერა ჩემი გვარი და ქვეყანა. რომელიც მან წაიკითხა და იმიტომ მკითხა. რამდენიმე წინადადება კიდევ მითხრა სუფთა ქართულად და ჩვენი ნაცნობობა ამით დამთავრდა. მან მოუსმინა ჩემს მოხსენებას არაფერი არ უკითხავს, შემდეგ სამი დღე უსიტყვოდ ემსახურებოდა ჩვენ დარბაზს.

სტამბულში ერთი კვირა ვიყავი. გამაოცა სტამბულის მეჩეთმა, წმინდა სოფიას ტაძარმა და ბაზარმა. თურქებს ვაჭრობა სცოდნიათ და თქვენ წარმოიდგინეთ ქურდობაც. მოსკოველ პროფესორს სუვენირებით მოვაჭრემ 20$ მოპარა და პროფესორი გაოცებული იყო რა მოხერხებულად და ლამაზად გააკეთა ესო. ყველგან ინტენსიური შრომა იყო გაჩაღებული და ბევრ თანამედროვე საკითხებში სტამბული დასავლეთს არ ჩამოუვარდებოდა. ერთი დღე სტამბულს ვეცნობოდი და ამ დღეს საოცარი სითბო და ადამიანობა ვიგრძენით გიდისგან,წარმოშობით აფხაზის ლულუ აჩბასგან. სტამბულიდან ტრაპიზონამდე ბოინგით გამოვფრინდით. ჩემს გვერდით ახალგაზრდა კაცი იჯდა, გვარად ბაჯელიძე, ინჟინერ-მექანიკოსი. ქართულად გამარჯობის მეტი არაფერი ვიციო, და არავითარი ინტერესი საქართველოს მიმართ არ გამოუჩენია. ტრაპიზონიდან თბილისის ავტობუსს გამოვყევი. საშინელი სუნი, ჭუჭყი, აურზაური, უცენზურო სიტყვები ქალებისგან. საზღვარზე ოთხი საათი მიმდინარეობდა მგზავრებისგან

ფულის გამოქაჩვის პროცესი. საზღვარზე შემოვედი ღამის 22 საათზე, ქალები კაფეში გაიქცნენ. რომ დაბრუნდნენ არყისა და ნივრის სუნით ყარდნენ. ხაში და არაყი დავურტყითო ამბობდნენ. გამახსენდა ერთი ტრაპიზონელი ქართველის ნათქვამი: საზღვარი რომ გაიხსნა სიხარულისაგან ცხვარი დავკალითო, ოღონდ ეხლა საზღვარი დაკეტონ და ორ ცხვარს დავკლავო.

ჩამორჩენილი თურქეთი სწრაფი ტემპებით მიდის წინ, ხოლო საქართველო ასევე სწრაფი ტემპებით – უკან. სამწუხაროდ, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია – შორია ტრაპიზონამდე.

08/01/2004

ამირან გოგუას მოგონებები

ვდგავართ ურეკში ბირჟაზე და ვერთობით. მოვიდა შოფერი და მეუბნება: ძაღლი მყავს მეშოკში და მოდი რაიმე ოინი მოვიფიქროთო. მაშინვე გამახსენდა სასადილოს მზარეული კაკო რუხაძე. მივედი კაკოსთან და ვეუბნები: კარლო კვინტრაძეს თხა ჰყავს მეშოკში და ამბობს იაფად უნდა გავყიდოთო. მიდი მოილაპარაკეთ და იქნებ შეთანხმდეთ მეთქი. ვაჭრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, 25 მანეთზე მოილაპარაკეს. ამასობაში სასადილოს წინ საკმაო ხალხი შეიკრიბა. კაკომ ფული გადაიხადა სასადილოდან დიდი დანა გამოიტანა, პირი გაუხსნა მეშოკს და ყველას გასაკვირად იქიდან ძაღლი ამოხტა, ხალხი სიცილით დაიხოცა.

როგორც ყველა ვაჭრობის მუშაკს, კაკო რუხაძესაც ძალიან ეშინოდა მაკონტროლებელი ორგანოების. ამირან გოგუა მოელაპარაკა ერთ ახალგაზრდას: გაიკეთე გალსტუკი, დაიხურე შლაპა ხელში დაიჭირე „პაპკა“ და შედი სასადილოში ვითომ რევიზორი ხარ და სასადილო უდნა შეამოწმო. დანიშნული დროს ეს ახალგაზრდა შემოვიდა სასადილოში და იკითხა უფროსი. მაშინვე გამოცხადდა კაკო. ჯერ დოკუმენტებით დავიწყოთო ბრძანა ახალგაზრდამ, კაკოს ფერი აღარა ჰქონდა სახეზე. ამირანმა კაკო გარეთ გაიხმო და უთხრა: ერთი 5-6 კაცის პურ-მარილი იკისრე და მაგ ახალგაზრდას ჩვენ მოვუვლითო. კაკოს გაუხარდა ეს წინადადება. ამირანი მოწიწებით მივიდა ახალგაზრდასთან და უთხრა: ერთ საათში მობრძანდით ბატონო და ყველა დოკუმენტს მზად დაგახვედრებთო. ახალგაზრდა

დათანხმდა. ერთ საათში პურ-მარილი მზად იყო. ამირანმა ახალგაზრდა თამადად დააყენა. შუა ქეიფში სასადილოში რამდენიმე კაცი შემოვიდა საქეიფოდ. ერთმა მათგანმა გაკვირვებით შეათვალიერა ახალგაზრდა და ხმამაღლა თქვა: ეს ბეზდელნიკი ჩემი ყაზილარი თქვენთან როგორ მოხვდაო. ამირანმა და სხვა სუფრის წევრებმა სიცილ-ხარხარით მოახსენეს სიმართლე ახალგაზრდის მამას. კაკო რუხაძე ყველაფერს მიხვდა, მაგრამ უკვე გვიან იყო თითზე კბენანი.

კაკო რუხაძე გამწარდა და სასიკვდილოდ გადაეკიდა ამირან გოგუას. ამირანი ამის შემდეგ ბირჟაზე ვეღარ გადიოდა. ამირანს ძმაკაცებმა უთხრეს: კაკო რუხაძეს „ლისი პაკრიშკები“ აქვს და ახლების ყიდვა უნდაო. ავტომაღაზიის დირექტორი ამირანის ახლობელი იყო და მან იფიქრა შეიძლება კაკო რუხაძე შემოვირიგოთო. ამირანი მორიდებით შევიდა სასდილოში, კაკომ დაინახა თუ არა მაშინვე მიაძახა, ძამა რა ნამუსით შემოდიხარ ჩემს ზავედენიაშიო. ამირანმა უთხრა, კაკო გეყოფა გაბრაზება, რა შენ არასოდეს გიმასხარიაო. გავიგე რომ საბურავებს ეძებ და მინდა დაგეხმარო, ავტომაღაზიის დირექტორი რობიზონი ჩემი ძმაკაცია და საბურავებს გამოგატანინებთ. დამეკარგე თავიდან შენი არაფერი მინდაო, გაბრაზებული გაიძახოდა კაკო. ბოლოს დარწმუნდა, რომ ამირანს მართლა უნდოდა დახმარება და შეთანხმდნენ მეორე დღეს წასულიყვნენ მაღაზიაში. რობიზონს მართლა დიდი ხათრი ჰქონდა ამირანის, საბურავები საერთოდ დეფიციტში იყო და რობიზონმა არა მარტო მისცა ისინი კაკოს, არამედ ამირანის ხათრით კაპიკიც არ გამოურთმევია,

უხერხულად იგრძნო თავი კაკო რუხაძემ, დიდი მადლობა გადაუხადა რობიზონს და უთხრა ძალიან დამაფასებ თუ ამირანთან და შენს ოჯახთან ერთად სასადილოში მესტუმრებითო. შეთანხმდნენ რომ ეს სტუმრობა შაბათს შედგებოდა. შაბათს ორ საათზე ამირანი, რობიზონი და მისი ორი მუტრუკი 12 წლის ლადო და 11 წლის ბესო მიადგნენ კაკო რუხაძის სასადილოს. კაკომ კარგი სუფრა გაშალა: ხაჭაპურები, თევზი, ოსტრი, ჩაქაფული. კაცებმა 3-3 ბოთლი ღვინოც მიირთვეს და გადავიდნენ მწვადზე. კაკომ მწვადები გაიმეორა. კაცებმა ორ-ორ მწვადზე მეტი ვეღარ შეჭამეს, მაგრამ ბავშვები ვერ ძღებოდნენ. კაკოს ერიდებოდა რომ მოტანაზე უარი ეთქვა, მაგრამ როდესაც ბავშვებმა 6-6 მწვადი შეჭამეს და გაჩერებას არ აპირებდნენ, შევიდა საწყობში გამოიტანა საბურავები და გამწარებულმა შესძახა ამირანს: წაიღე უკან ეს ოხრები, რაც თქვენ ახლა დაგახარჯეთ, ამით 4-ს კი არა 10 საბურავს ვიყიდიდიო.

2007 წ. აგვისტო

მუცელა – ჩვენი ლიდერი

ბევრი საინტერესო ადამიანი შემხვდა ცხოვრებაში და მათ შორის ერთ-ერთი ადგილი უკავია ოთარ ფირცხალავას – ანუ მუცელას. ეს სახელი უბანმა შეარქვა. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც დიდი მჭამელი და მსმელი ყოფილიყო, მაგრამ სულ მეზობლების ცელოფანებში იყურებოდა და თუ რამეს დაინახავდა მოდი ვჭამოთო ამბობდა. სუფრასთან მოხვდებოდა თუ არა მაშინვე იწყებდა გამალებულ ჭამას, სულ იმის შიში ჰქონდა საჭმელი არ დამაკლდესო, ასევე იყო სმაშიც. სხვები თუ პატარა ჭიქებით სვამდა ის დიდ ჭიქებს ხმარობდა (სასმელი არ დამთავრდესო), როგორც კი ღვინით და პურით დანაყრდებოდა მაშინვე იპარებოდა სუფრიდან. ერთხელ კარდენახში ბიძაშვილს ღორის ქელეხი ჰქონდა. მე და მუცელა ვესტუმრეთ. სუფრასთან დაახლოებით ოცი კაცი იჯდა. ჩემ ბიძაშვილს ძალიან გაუკვირდა, როდესაც მუცელა ჩუმ-ჩუმად ხანდახან ზედმეტ ჭიქებს სვამდა. ოთარ! დამიძახა ბიძაშვილმა ეგ მუტრუკი ჩემთან გადმოსვი მინდა მაგასთან ერთად დავლიოო. მუცელა უკვე შეზარხოშებული იყო და უპასუხა, ბატონო უშანგი მე მუტრუკი კი არა მუცელა ვარ, თქვენთან იმ პირობით გადმოვჯდები თუ სმის გარდა ჭამაშიც შემეჯიბრებით.

მუცელას ძალიან უყვარდა თამადობა. თუ მოხდებოდა ისე, რომ მას თამადად არ დაასახელებდნენ გუნება უფუჭდებოდა ზოგჯერ სუფრასაც კი ტოვებდა. ერთერთ პურმარილის დროს მოვილაპარაკეთ რომ გამოგვეცადა, რამოდენიმე უარს იტყოდა თამადობაზე და

ბოლოს მას შევთავაზებდით, გვაინტერესებდა დაგვთანხმდებოდა თუ არა. სუფრას შემოვუსხედით თუ არა თამადობა ქათამაძეს შევთავაზეთ, მან სასტიკი უარი თქვა. შემდეგ წიკლაურს მისგანაც უარი მივიღეთ. უარი თქვეს გოგოლაურმა და გაგუამაც. მარტო მუცელაღა დარჩა. მეტს ვერავის ვეღარ შევთავაზებდით. ბატონო ოთარ იქნება... დამთავრებულიც არა გვქონდა მუცელა ფეხზე წამოდგა და ჩვენი შეხვედრისა შემოგვთავაზა.

ოთარ ფირცხალავა საბინაო კოოპერატივის თავმჯდომარე იყო, ამიტომ უბანში ბევრს იცნობდა და ბევრიც იცნობდა. თბილისში ყველა კოოპერატივი გაუქმდა, მათ შორის ოთარის კოოპერატივიც. მაგრამ ის იხტიბარს არ იტეხდა, მაინც განაგრძობდა მუშაობას. სულ გაიძახოდა ჩემი ცნობა ყველგან გადისო. შალვა ბედინეიშვილი რუსეთში მიდიოდა, თბილისიდან ვიზა კი ჰქონდა, მაგრამ ეშინოდა რუსეთში ვიზას არ მომცემენო. ოთარიმ უთხრა: იკისრე პურ-მარილი და მე აქედან ისეთ წერილს გაგატან, რომ ყველგან გაჭრისო. შალვამ პატარა პურ-მარილი იკისრა და წავიდა რუსეთში. ორი კვირის შემდეგ კი მუცელას ურეკავდა, თუ როდისმე საქართველოში მოვხვდი თვალით არ დამენახოთო.

მუცელა ხორცსა და თევზს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა. ჩვენი მეზობლის ქელეხში ვართ და უკვე ორი სახის ხორცის კერძი ჩამოარიგეს, მაგრამ მუცელა უხასიათოდაა. უგუნებობა შევამჩნიე და ვკითხე მიზეზი და მპასუხობს ამდენი ხანი ვზივართ და ხორცის კერძი არ მოუტანიათო.

სიდედრი მესტუმრა. შესანიშნავი მეგრელი ქალბატონია. სხვა საჭმელებთან ერთად მეგრულად შეკაზმული კუჭმაჭიც ჩამოიტანა. მუცელა მეუბნება: უკვე სამი თეფში გადავიღე და ვერა ვძღები შენს სიდედრს ეს რა კარგი სოკო გაუკეთებიაო.

მუცელა ნაციონალების სამსახურშია და ისინიც ამაგს საკმაოდ უფასებენ. 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთთან ომი დაიწყო. ყველანი შეშფოთებულები ვდგავართ კორპუსის წინ. გამოჩნდა მუცელა და სინანულით გვეუბნება: ხვალ დილას რუსები და იგორ გიორგაძე თბილისში იქნებიან. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის ამ სიხარულმა გამაოცა: კი მაგრამ მუცელ, შენ რომ დაგხვრიტონ? მე როგორ დამხვრეტენ, მე ხომ იგორ გიორგაძის პარტიის წევრი ვარ და სახლში მანდატიც კი მაქვსო, მიპასუხა მუცელამ.

2008 წლის ნოემბერი

რა გეშველება საქართველო, თუ საერთოდ არსებობ!

სამწუხაროდ მეც „ჩარეცხილი” პროფესორი გახლავართ, რომელსაც საპატიო პროფესორობა მომანიჭეს, 100 ლარი გადმომიგდეს და ქუჩაში გამომაგდეს. მთავრობა შეუდგა ახალი ქართველის შექმნას, რომელსაც თავისი წარსული არ ეცოდინებოდა, აღარ ექნებოდა უნიკალური ტრადიციები, არ ექნებოდა მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ა.შ. პარლამენტში „ნაურით” შევარდნილი ხალხი (მათი აზრით ვარდების რევოლუციის მთავრობა) ქმნის თაობას, რომელიც ადვილი სამართავი, პრიმიტიული და ძირითადად უცხოელების მომსახურე იქნება, ხოლო „ჩარეცხილები” ადრე თუ გვიან მოკვდებიან და ისინი პრობლემას ვეღარასოდეს ვერ შექმნიან.

მთავრობა მთავრობად, მაგრამ „ჩარეცხილებსაც” ხომ ჰყავთ ოჯახები, მათაც ხომ უნდათ არსებობა, ამიტომ მეც დავიწყე საათობრივი ანაზღაურებით მუშაობა რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელში. ერთ-ერთი ასეთი სასწავლებელი, რომელიც ჩემს მეზობლად მდებარეობდა ატარებდა დიდი ქართველი მეფის სახელს და ვფიქრობდი, რომ იქ პატრიოტული სული იტრიალებდა. რექტორი და დამფუძნებელი ბატონი ანზორ შალამბერიძე გახლდათ. ძალიან პატარა ანაზღაურება იყო. 1 საათში დოქტორისთვის 8 ლარი იყო გამოყოფილი. მაგრამ ჰოი საოცრებავ, აქაურ საათში 80 წუთი ყოფილა, ე.ი. ფაქტიურად 2 საბჭოთა სასწავლო საათი. ეს არაფერი, მთავრობისთვის მიცემულ ცნობებში ეს 80 წუთი 2 საათად ტარდებოდა (კრედიტების ნორმების შესასრულებლად). გაცდენების დროს სტუდენტებს

აჯარიმებდნენ და ამ 80 წუთის გაცდენას 2 საათად თვლიდნენ. მოკლედ როდესაც ადმინისტრაცია ფულს იღებდა 80 წუთი იყო 2 საათი, ხოლო როდესაც ადმინისტრაცია ფულს გასცემდა ეს 80 წუთი იყო 1 საათი.

ძნელი დასანახი არ იყო, რომ პედაგოგებად საკმაოდ იყვნენ ასაკოვანი ხალხი, მაგრამ მათ შორის ისინი, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი კვალიფიკაციით ტოვებდნენ ინსტიტუტს. ახალგაზრდები, როგორც კი გაიგებდნენ სიმართლეს, მაშინვე გარბოდნენ, არ უცდიდნენ სემესტრის დამთავრებას. მე ხშირად მილაპარაკია რექტორთან, რომ 80 წუთი ფიზიოლოგიურად ძნელი გადასატანია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ლექტორებისთვის, მაგრამ ის ჩემს ლაპარაკს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. საბჭოს სხდომა ფაქტიურად იყო მონოლოგი, მხოლოდ რექტორი ლაპარაკობდა და მისი ძირითადი თემა იყო, როგორ სწავლობდა ის სკოლაში, ხოლო შემდეგ უმაღლესში. ჩემი სტუდენტების ნაკლი ის იყო, რომ ძალიან ცუდად იცოდნენ საქართველო და მისი საერთაშორისო მდგომარეობა, რაშიც ხელს დიდად უწყობდნენ სამთავრობო ტელევიზიები. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს მათი უმრავლესობა საკმაოდ კარგად სწავლობდა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2-3 სტუდენტი იყო ტალანტი. იმიტომ, რომ ანაზღაურება ძალიან მცირე იყო მიხდებოდა არაერთი საგნის წაკითხვა. მოახლოვდა საგაზაფხულო სესიები. ცხადია სტუდენტები ჩემზე უკეთესად ამჩნევდნენ უნივერსიტეტში არსებულ არაჯანსაღ სიტუაციას და ჯგუფში სადაც სწავლობდა 45 კაცი უნივერსიტეტიდან წასვლა გადაწყვიტა მათმა ნახევარმა და შესაბამისი განცხადებით მიმართეს რექტორს. აღმოჩნდა, რომ რექტორს ამისი დიდი გამოცდილება ჰქონდა. ის წამსვლელებს გამოცდებზე აჭრევინებდა თავის

დამქაშებს და გარდა იმისა, რომ სტუდენტებს თავისთან იტოვებდა, განმეორებით გამოცდებზე თითო საგანში 300 ლარს ართმევდა. ჩემი და კათედრის გამგის იმედი ამ საქმეში არ ჰქონდა და გვითხრა, რომ თითო საგანს დავთმობდით და გამოცდას სხვა პედაგოგი მიიღებდა. ეს იმ დროს, როდესაც სესიის დამთავრებამდე 2-3 მეცადინეობა იყო დარჩენილი და რომ არ მწყენოდა გამაფრთხილეს ამ ახალგაზრდა ქალს გერმანიაში აქვს დამთავრებული, მაგრამ თქვენ მაინც დააკვირდითო. ამას დიდი დაკვირვება არ ჭირდებოდა ამ ქალბატონმა არც ლექციის წაკითხვა და არც საგანი არ იცოდა. როგორც შემდეგ მითხრეს ამ ქალბატონს გამოცდაზე სხვა დამხმარე მოუყვანია.

კათედრის გამგეს გამოცდაზე სხვა უნივერსიტეტის ლექტორები დაასწრეს და გამოცდა ჩაიშალა. რაც შეეხება ჩემს პირველ გამოცდას კათედრის გამგის გარდა დეკანი დამესწრო და აძლევდა შეკითხვებს. სტუდენტები გაოცებულები იყვნენ, რომ იურისტების გამოცდაზე მთავარი, ფილოლოგი გამომცდელი დეკანი იყო. გამოცდის წინ დეკანმა გადმომცა 21 კაცის სია, რომლებიც უნდა ჩამეჭრა. მან აგრეთვე მითხრა, ეს არის რექტორის დავალებაო, მე ამის წინააღმდეგი ვარ და სულ რომ მშიერი დავრჩე ამ უნივერსიტეტს დავტოვებო. მე არცერთი სტუდენტი არ ჩამიჭრია და რეაგირებაც ადეკვატური იყო. შემდეგ გამოცდებს ჩამომაცილეს.

ამ სტრიქონებს ვწერ და ჩემს თავს ვეკითხები, არსებობს საქართველო? ვინ ვართ ქართველები?

12 ივლისი, 2009 წელი.

სტუმრად ნაპოსთან! ჭუბურხინჯო! ჭუბურხინჯო!

როგორც კი მე და ჩემი მეუღლე ზუგდიდში მოვხვდებოდით ყოველთვის მიყვარდა გალში გადასვლა საბჭოთა დეფიციტის დროს გალის მაღაზიები საკმაოდ მიმზიდველი იყო. ერთხელაც მეუღლემ გამომიცხადა ჭუბურხინჯში ბიძაჩემი ნაპო ქიშმარია ჩვენს საპატივცემულოდ პურ-მარილს აწყობსო. პატარა დელეგაცია გავემგზავრეთ. ჭიშკართან ბატონი ნაპო შეგვეგება. ჭიშკრის შიგნით შუა ეზოში მსხლის ქვეშ მეგრული სუფრა იყო გაშლილი. ჩემთვის ახლა ძნელია ლაპარაკი,მაგრამ საქართველოს ამ უძველეს მიწა-წყალზე რანაირი სუფრა უნდა ყოფილიყო. გული მიკვდება, რომ დღეს არ შემიძლია ჭუბურხინჯში ჩავიდე და ჩემს ნაპოს მოვეფერო. ვტკბებოდი ულამაზესი ბუნებისა და მდიდარი სუფრის ყურებით. საბჭოთა პერიოდში კაცის პატივისცემა ის იყო, რომ ისე უნდა დაგეთრო, რომ მეორე დღეს ადგომა გასჭირვებოდა. ვუსმენდი ნაპოს ტკბილ საუბარს, ისიც გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი ძალიან მომწონდა და შესავალი საუბარი ასე დაამთავრა: წინა შაბათს გალის აღმასკომიდან 15 კაცი მყავდა სახლში მოპატიჟებულიო, ისეთი პატივი ვეცი, რომ ფეხზე ვერ იდგნენ, წასვლისას თხუთმეტივე ჩავსვი სამასვალში ისე გავისტუმრეო. რა ვიცოდი, რომ თვენს მონა-მორჩილს უარესი დღე ელოდება. სამოთხესავით ბუნებაში დაიწყო პურ-მარილი. სუფრაზე ღვინო შუშის გრაფინებით იყო მოტანილი. პირველი სადღეგრძელო ნაპომ წარმოთქვა, ჩაის ჭიქა (ჩემი თაობის ხალხი მალენკოვის ჭიქას ეძახდა) რომელიც 200

გრამი არყით გაავსო და თან კომენტარი გააკეთა: ბრწყინვალე ღვინო მაქვს, მაგრამ პირველი სადღეგრძელო არყით უნდა დავლიოთ (მისმა შვილმა გურამმა ჩამჩურჩულა: ფუთზე 4 კგ შაქარი აქვს მიცემულიო) და შესვა ჩვენი შეხვედრის სადღეგრძელო. რა თქმა უნდა, ყველამ ეს არაყი ბოლომდე დავლიეთ. შემდეგ ბატონმა ნაპომ სუფრის წევრებს ფეხზე ადგომა სთხოვა, ლუდის კათხა ბოლომდე შეავსო და ჩემი როგორც სიძის და ჩემი მეუღლის, მისი დისშვილის სადღეგრძელო შესვა. ყველამ ბოლომდე შესვა ლუდის კათხა. ამ მომენტამდე ვხედავდი დაბრაწულ გოჭს, აჩმას, ელარჯს, მეგრულ ხაჭაპურებს, გებჟალიას, მაგრამ ამის შემდეგ მხოლოდ სასმისებს ვხედავდი, მხოლოდ ერთი მომენტი დამამახსოვრდა, ძილის წინ ნაპომ ღვინით სავსე კათხით სუფრის დროებით დამთავრების სადღეგრძელო შესვა, შეავსო კათხა და ჩემთან გადმოვიდა, მე გავიწიე კათხის ასაღებად, მაგრამ შუაში ჩემი მეუღლე ჩადგა და ნაპოს ეხვეწებოდა მეტი არ დაელევინოო, იქით ნაპო იდგა, აქეთ მე, შუაში ჩემი მეუღლე. სიმართლე რომ გითხრათ დავლიე თუ არა ეს კათხა არ მახსოვს. კიდევ კარგი, რომ არსად არ მივდიოდით, თორემ ჩემს წაყვანას სამასვალი ნამდვილად დასჭირდებოდა.

მეორე დილას მაგარ პახმელიაზე ვიყავი. ნაპო ლოგინში მომესალმა და ხაში მზად არისო მითხრა. ავდექი, დიდებული ხაში გაეკეთებინათ მანამ ხაშს მივირთმევდით და ცოტა-ცოტა არაყს ვაყოლებდით მეზობლობა და ნათესაობა შემოგვიერთდა. სუფრა გაიშალა და დაიწყო ქეიფი. მე უკვე პახმელიაზე გა-

მოსული ვიყავი და ვხუმრობდი კიდეც. პირველი ჭიქა ღვინო დიდი სიამოვნებით დავლიე. მეორე სადღეგრძელოზე ჩემს პირდაპირ მჯდომმა ახალგაზრდამ თვითონაც 2 ჭიქა შეივსო და მეც 2 ჭიქა შემივსო. მივხვდი, რომ აპირებდა სმის ძველი მეგრული წესით გაგრძელებას: 1,2,4,6,8,10,12 ასეთი თანმიმდევრობით და ასეთი რაოდენობის ჭიქების დალევას. მეგობარო! მივმართე მას: შენ რამდენი ჭიქაც გინდა დალიე, მაგრამ მე მხოლოდ თითო ჭიქით დავლევ მეთქი. პატივცემულო, მე თვითონ არა ვარ მსმელი, სოხუმში მივდიოდი, მაგრამ ნაპომ არ გამიშვა, სიძე მესტუმრა და აბა შენ იცი, როგორ პატივსა სცემთ,მიპასუხა ახალგაზრდამ. თითო ჭიქით გავაგრძელეთ და ჩემი მეუღლეც საკმაოდ კმაყოფილი დარჩა, ოღონდ კი მისაყვედურა: გუშინ რამ გაგაგიჟაო.

დიდხანს იცოცხლე ჩემო ნაპო, იმ დროს მოგვასწრო, რომ ჯუბურხინჯში ისე ჩამოვიდეთ, როგორც ადრე და პირობას გაძლევ ღვინით სავსე ლუდის კათხას შენი სახლის ჭიშკართან კიდევ დავლევ.

17.02.2010 წ.

სერგო არძინბა! დიდი აფხაზი!

აფხაზებს ბევრს ვიცნობდი: ფეხბურთელები – ნიაზი ძიაბშიპა, ვიტალი დარასელია, კალათბურთელი ასტამურ არშბა და სხვები. მოსკოვში ასპირანტთა სახლში ცხოვრობდა სოხუმელი აფხაზი ჩიქობავას აპირანტი, მეტად სიმპატიური ახალგაზრდა, რომელიც ბრწყინვალე ქართულით ლაპარაკობდა. ამავე სახლში ცხოვრობდა მეტად უცნაური ახალგაზრდა – მისი ყველა სტუმარი ჩამოსული საქართველოდან ლაპარაკობდა ქართულად, თვითონ კი ყველას ელაპარაკებოდა მხოლოდ რუსულად. მე ის მაკვირვებდა, რომ მას მამა მიქაძე ჰყავდა, დედა კი ოდიშარია. მაგრამ არც ერთ აფხაზთან პური გატეხილი არა მქონდა, სუფრაზე მათთან არ მიქეიფია. და აი მოხდა ისე, რომ აფხაზის ქვისლი გავხდი. ჩემი ქვისლი დიდებული აფხაზი სერგო არძინბა, ახალი ათონის მთავარი ექიმი გახლდათ. ერთ ზაფხულს მე და ჩემი მეუღლე ალახაძეში ვისვენებდით, ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და სერგოს ახალ ათონში ვესტუმრეთ. მდგომარეობა უკვე არეული იყო. 1988 წლის ზაფხული იდგა. ავტობუსით წავედით. ადგილები არ იყო და მე და ჩემი მეუღლე სხვადასხვა რიგებში დავსხედით. მალე ადგილები გათავისუფლდა და ჩემი მეუღლის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა აფხაზს მოწიწებით მივმართე, რომ რომელიმე თავისუფალ ადგილას, თუნდაც ჩემს ადგილას გადმომჯდარიყო, რომ მე მეუღლის გვერდით დავმჯდარიყავი. ახალგაზრდამ რეაგირება ვერ მოასწრო, რომ საუბარში ჩაერია საშუალო ასაკის რუსი ქალბატონი

და საოცარი რაღაცეები მითხრა. თქვენ ქართველები ჩაგრავთ აფხაზებს და საშინელ დღეში ამყოფებთო. ეს ახალგაზრდა არსადაც არ გადაჯდებაო. ეს ქალბატონი უკვე დაპროგრამებული იყო და აფხაზეთის ამოგლეჯა საქართველოდან უკვე დიდი ხნის წინ იგეგმებოდა. როგორც იყო მივედით სერგო არძინბას სახლში.

ქვისლებმა ერთმანეთი პირველად ვნახეთ. გაიშალა ნამდვილი მეგრული სუფრა, ოღონდ ყველაფერს ერქვა აფხაზური, მაგალითად წიწილა აფხაზურად და ა.შ. სუფრა შევათვალიერე, რქაწითელისა და კონიაკის გარდა სუფრაზე ორი ბოთლი შამპანური იდგა. სერგომ, როგორც ყურადღებიანმა მასპინძელმა გვკითხა ვინ რას დალევდა. ზოგმა კონიაკი აირჩია, დანარჩენებმა რქაწითელი. მივხვდი, რომ მაგარი სმა წავიდოდა, ამიტომ ვიეშმაკე და სერგოს ვუთხარი: ცხოვრებაში შამპანურის გარდა არაფერი არ დამილევია მეთქი. ჩემი მარტივი გაანგარიშებით შამპანური იყო სუფრის გასალამაზებლად მოტანილი და ოჯახში დამატების საშუალება არ იქნებოდა, რაც ჩემთვის შესანიშნავი იქნებოდა. თურმე მწარედ ვცდებოდი. აღმოჩნდა, რომ სერგოს სარდაფში ასობით ბოთლი შამპანური ჰქონია. სერგომ მოატანინა ყანწი, გახსნა შამპანური და მთელი ბოთლი ყანწში ჩაასხა. სერგო ფეხზე წამოდგა და დაიწყო: მე მინდა ჩვენი სუფრა აფხაზური წესით წარვმართო: ყველამ ყურები ვცქვიტეთ: აფხაზურ სუფრაზე, როდესაც სიძე შემოდის ის ვალდებულია ყანწი დალიოს, მის გარდა ყანწის დალევის უფლება არავის არა აქვსო. რას ვიზავდი: წამოვდექი დავილოცე და

ერთი ბოთლი შამპანური ყანწით დავლიე. პურმარილის დროს ერთი ახალგაზრდა აფხაზი კარებში იდგა, ელოდებოდა სერგოს ბრძანებებს და უსიტყვოდ ასრულებდა. მთელი საღამო მისი სიმამრი ყურებში ჩამჩურჩულებდა სერგო მაგარი ბიჭი არისო. ღამის თორმეტ საათზე მოსკოვის მატარებელი უნდა ჩამომდგარიყო. ჩვენ ერთი კუპის ბილეთები გვქონდა. მე, ჩემი ცოლი და ცოლისძმა და მისი ცოლი მივდიოდით. ჩვენ ვუთხარით რომ გვაგვიანდებოდა. არადა კუპის ბილეთები საბჭოთა კავშირში კომფორტად ითვლებოდა. სერგომ კაცი გააგზავნა და რბილი ვაგონის ბილეთები მოატანინა. წასვლის დრო მოახლოვდა, სერგომ ბოლო სადღეგრძელო დალია. მე წამოვდექი და სერგოს ერთი სადღეგრძელო ვთხოვე, ის სიამოვნებით დამთანხმდა. ბატონო სერგო! მივმართე ქვისლს. კახეთში ასეთი წესი გვაქვს, როცა სუფრა თავდება მხოლოდ მასპიძელმა ყანწით საბოლოო სიტყვა უნდა თქვას და ამ ყანწის დალევა სხვას არავის არ შეუძლია მეთქი. ერთი ბოთლი შამპანური ყანწში ჩავცალე და სერგოს მივაწოდე. მთელი საღამოს მანძილზე სერგოს ნათესავები ჩუმად იყვნენ და სერგოს ერთი წვეთი ღვინოც არ დაულევია, უბრალოდ ის ჭიქით ხელში ილოცებოდა: სერგოს ნათესავებმა ისეთი ხმაური ატეხეს დედა ხელში შვილს არ აიყვანდა. ბოლოს დაწყნარდნენ და მე შემომაჩერდნენ რას ვიზავდი: მე კახელი კაცი ვარ, ღვინის ქვეყნიდან და ჩვენი ჩვეულება ასეთია მეთქი. მერე სერგოს ინფარქტი ახალი გადატანილი რომ აქვსო, მითხრა სერგოს ცოლისდამ: ქალბატონო, კახელებს ასეთი ტრადიცია გვაქვს, მე რომ შემოვედი ამ ოჯახში პატივი ვეცი

აფხაზურ ტრადიციებს და თუ სერგოც კახურ ტრადიციას პატივს სცემს კარგი იქნება მეთქი. უხმოდ, თავჩაღუნული ქალების თანდასწრებით სერგომ ნელ-ნელა დალია ყანწი. რა იცოდნენ აფხაზმა ქალბატონებმა, რომ კახეთში ასეთი ტრადიცია არ არსებობს, მე უბრალოდ სამაგიერო გადავუხადე სერგოს.

ღმერთმა გაცხონოს და სასუფეველი დაგიმკვიდროს კარგო ბიჭო, დიდო აფხაზო სერგო არძინბა.

17.02.2010 წ.

გვჭირდება საქართველოში რეპრესირებული განათლების აკადემია?

ახლა მოდაშია სტალინურ რეპრესიებზე ლაპარაკი. სადღაც რეპრესირებულ ხალხს ძეგლებსაც უდგამენ. როგორია რეალური ფაქტები? 1954 წლამდე საბჭოთა კავშირში რეპრესირებული იყო დაახლოებით 3 მილიონ 700 ათასი კაცი. აქედან დახვრეტილი იქნა დაახლოებით 650 ათასი კაცი, დანარჩენები სასჯელს სპეციალურ ბანაკებში (გულაგებში) გადიოდნენ. მე არ ვიცი სათანადო მონაცემები საქართველოს შესახებ, მაგრამ ეს მაინცდამაინც დიდი ციფრი არ იქნება. პრინციპში ერთი უდანაშაულო ადამიანის დახვრეტა, გადასახლებაც დიდი დანაშაულია და დიდი ტრაგედიაა. ეს ციფრები და რეპრესიები გამახსენა საქართველოს განათლების აკადემიის 2010 წლის 13 თებერვლის სხდომამ. სხდომის ერთადერთი საკითხი იყო შემდეგი: საქართველოს განათლების აკადემია არსებობს უკვე 15 წელია და საჭიროა თუ არა მისი არსებობის შენარჩუნება. მე ვუყურებდი ამ ასაკოვან ხალხს და მათ ყველას ემჩნეოდა, რომ ისინი მრავალჯერ რეპრესირებულნი იყვნენ და რომ მათი რეპრესია დღესაც გრძელდება. რითი ჰგავს სააკაშვილის რეპრესიები სტალინურ რეპრესიებს? ორივე დროს რეპრესიები ტარდებოდა მცოდნე და განათლებულ ხალხზე. რა სხვაობაა სტალინური რეპრესიებისა და სააკაშვილისეულ რეპრესიების შედეგებს შორის? სტალინური რეპრესიების შედეგად უზარმაზარი იმპერია (საბჭოთა კავშირი) კიდევ უფრო გაიზარდა, შეიქმნა სოციალისტური ბანაკი, განვითარდა მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, სპორტი და ა.შ. ხოლო სააკაშვილის რეპრესიების შედეგად მინი იმპერია (საქართველო) დაინგრა, მოკვდა ზნეობა, მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, სპორტი და ა.შ.

და აი ვხვდებით რამოდენიმე ათეული დათრგუნული, რეპრესირებული, აკადემიკოსი და ვეკითხებით ერთმანეთს ჭირდება განათლების აკადემია სააკაშვილის საქართველოს? მანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდით კიდევ ერთ ინფორმაციას ვისმენთ ჩვენი აკადემიის პრეზიდენტისაგან (საბჭოთა კავშირის პერიოდში ის საქართველოს განათლების მინისტრი იყო): „მივედი ერთხელ ვარდების რევოლუციის შემდეგ განათლების სამინისტროში და ვაი იმ მისვლას, დერეფანში ჩამოკიდებული იყო ახალი მინისტრების ლომაიას, კარტოზიას და ა.შ. დიდი პორტრეტები. იქვე შავ არშიებში ჩასმული იყო საბჭოთა მინისტრების გვარები: ორახელაშვილი, კუპრაძე, ჯიბლაძე, ვასაძე და ა.შ. რომ მოვმკვდარიყავი ის მერჩივნა ამის დანახვას".

რამოდენიმე აკადემიკოსმა მწუხარება გამოთქვა იმის შესახებ, რომ სამინისტროს თანამშრომლებს დაბალი კვალიფიკაციის გამო უჭირთ ჩაწვდნენ ისეთ საკითხებს როგორიცაა სახელმძღვანელოების შედგენის მეთოდიკა, ზნეობრივი პრინციპების მარადიულობა, ეროვნული ტრადიციები და ა.შ.

სიტყვა ჩამოვარდა ქართული ენის სწავლებაზე. მოიყვანეს მაგალითები, რომ იშვიათია მასწავლებლები (მხედველობაში არა მაქვს ქართული ენის მასწავლებლები) რომლებმაც იციან ქართული ენა და სამწუხაროდ ეს კანონდება ვინაიდან ქართული ტელევიზიების ჟურნალისტები ცდილობენ არ დაიცვან ქართული ენა და შესაძლებელია, ეს მათ მიერ ქართული ენის არ ცოდნითაა გამოწვეული.

ითქვა, რომ დღეს საქართველოში დედაენის 18 ვარიანტია, როდესაც ქალბატონმა ნათელა მაღლაკელიძემ დაიწყო იმის მტკიცება, რომ მაღლაკელიძის დედაენა საკმაოდ პოპულარულია. ერთ-ერთმა აკადემიკოსმა ვერ მოითმინა და რეპლიკა ესროლა: ვის რა უფლება აქვს თავის წიგნს დაარქვას დედაენა. ეს გოგებაშვილის საავტორო უფლებაა. თქვენ შეიძლება გოგებაშვილზე კარგი სახელმძღვანელო დაწეროთ, მაგრამ დედაენის დარქმევის უფლება არა გაქვთო. ამ რეპლიკამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველო ძალიან, ძალიან შორსაა სამართლებრივი სახელმწიფოსაგან.

აკადემიის პრეზიდენტმა მკითხა რას საქმიანობო, ამ კითხვამ დამაბნია, ვერაფერი ვერ ვუპასუხე, ძნელია დღევანდელი საქართველოს პირობებში იყო მეცნიერი, ყოველგვარ ინტერესს გაკარგვინებენ. ფილოსოფოსთა სეულის მსოფლიო კონგრესზე მინდოდა სამი მოხსენებით წავსულიყავი, ამის შესახებ მოვახსენე და ნაწილობრივი ფინანსური დახმარება ვთხოვე ხელმძღვანელებს, რატომღაც მომეჩვენა, რომ ისინი უფრო იმან გააღიზიანა, რომ ერთ-ერთი მოხსენება ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიურ შეხედულებებს ეხებოდა. როდესაც ხელისუფლებას ერის სულიერი მამები არ უნდა და ვიქტორ კუპრაძისა და გიორგი ჯიბლაძის გვარებს შავ ჩარჩოებში მოათავსებენ, ცხადია არც ერთ მეცნიერს საქართველოში გასაქანი არ ექნება.

საჭიროა თუ არა განათლების აკადემია ამის საპასუხოდ ორი-სამი თვე მოგვცეს, მანამდე კი მივწერეთ მინისტრ შაშკინს წერილი, რომ შეხვდეს ჩვენს აკადემიას, ერთმა აკადემიკოსმა კი შემოგვთავაზა, წერილს გვარს ნუ დავაწერთ, მანამ წერილი მივა შეიძლება მინისტრი შეცვლილი იყოსო.

14.02.2010 წ.

კარლო ბლაგოძე

კარლო ბლაგოძე ლამაზი ბიჭი იყო. 1945 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა გურიაში და თბილისში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად. მეორე დღეს პლეხანოვზე გავიდა სასეირნოდ. ფეხზე აზიაცკები ეცვა, გალიფე შარვალი და კასავაროტკა უმშვენებდა ტანს. მოკლედ იმ დროის თბილისისთვის მშვენივრად, მოდაზე გამოწყობილი იყო, მაგრამ მაინც ემჩნეოდა, რომ სოფლიდან ახალი ჩამოსული იყო. პლეხანოველ ბირჟავიკებს რას გამოაპარებდი. ერთი პლეხანოველი მიუახლოვდა და უთხრა შენ ახალსოფლელი არა ხარ ძმაო? არა, მამათიდან გახლავარ. მაშინვე გიცანი, რომ გურიდან იქნებოდი. ბავშვობაში მამათში დავდიოდი იქიდან მახსოვხარო. ბირჟაზე რამოდენიმე ბიჭი იდგა, ისინიც მოვიდნენ კარლოსთან და გაეცნენ ერთმანეთს. ძამა, ბესოია გვიმტკიცებს, რომ ამ ბიჭს მარცხენა ფეხზე ექვსი თითი აქვსო, მაგრამ ჩვენ მაგისი არ გვჯერა, ეშლება რაღაცა მაგას. კი, ექვსი თითი მახსოვს, ბავშვობაში მამათში რომ დავდიოდი იქედან მახსოვს. არადა მაზიანია, ძმაო, რესტორანზეა სანაძლეო და ნებისმიერ ვარიანტში შენც საქმეში გადიხარ. მარცხენა ფეხზე ხუთი თითი მაქვს, იმართლა თავი კარლომ, მაგრამ რაკი სანაძლეოა, გავიხდი ჩექმას და გაჩვენებთ ფეხს. კარლომ ჩექმა გაიხადა, ბიჭებმა გამოართვეს ჩექმა და ფეხზე დაუწყეს ყურება. კარლოს მართლა ხუთი თითი ჰქონდა მარცხენა ფეხზე. დიდუ, ამერია ფეხები, თავზე ხელი იტკიცა ბესოიამ, მარცხენა ფეხზე კი არა მარჯვენაზე აქვს ექვსი თითი. ისეთი ჟრიამუ-

ლი ატყდა, რომ კარლომ სასწრაფოდ გაიხადა მარჯვენა ჩექმაც. აუ, ბესოია წააგე რესტორანი იყვირეს ბიჭებმა, ვინაიდან კარლოს მარჯვენა ფეხზეც ხუთი თითი ჰქონდა. დაუბრუნეთ ამ კაცს ეს ჩექმები და წავიდეთ რესტორანში დაიძახა ბესოიამ. სადაა ამ კაცის ჩექმები? იკითხა ერთმა. ჟორას აქვს, აგერ გვერდით ეზოში შევიდა, მივიდეთ ახლადა მოვუტანოთ ამ პატიოსან კაცს თავისი აზიაცკები ჩაილაპარაკეს ბიჭებმა და ყველანი შევიდნენ გვერდით ეზოში. დიდხანს ელოდებოდა კარლო პლეხანოველ ბირჟავიკებს, მაგრამ არც პლეხანოველები და არც ჩექმები არსად ჩანდნენ.

კარლო ნელ-ნელა ეჩვეოდა თბილისს. მოეწყო უნივერსიტეტში და თავისუფალ დროს ის უნივერსიტეტის ბაღში ატარებდა. უნივერსიტეტის ბაღი იყო მისი აკადემია. რას არა ყვებოდნენ ბიჭები. ბიჭებმა კარლო დაარწმუნეს, რომ სასტუმრო თბილისში ქალი 5 მანეთი ღირდა. როგორც იყო გაუჩნდა ზედმეტი ფული და მიადგა სასტუმრო თბილისს, მაგრამ 5 მანეთად ქალთან არავინ მიუშვა, რუსმა ქალბატონმა კარლო უკან გამოუშვა, გაძვირდა ხორცი ბიჩოო უთხრა.

დრო გადიოდა, კარლო დაღვინდა. დაოჯახდა. ჯერ მამა, ხოლო შემდეგ ბაბუა გახდა. პარალელურად დაიცვა სადოქტორო დისერტაციაც და პროფესორობა მისცეს ბუნებით კეთილი კარლო ბლაგოძე თბილისის ერთ-ერთი საყვარელი პიროვნება გახდა.

თქვენმა მონა-მორჩილმა კერძო უმაღლესი სასწავლებელი გახსნა და ერთ-ერთი პირველი ვინც მიიწვია პროფესორი კარლო ბლაგოძე იყო. კარლო ტკბილად მოსაუბრე იყო. საპროფესოროში ყოველდღე რაღაცას

ყვებოდა. ისე გამოდიოდა, რომ ყოველ საღამოს სასიყვარულო თავგადასავლები ჰქონდა. არადა ბატონი კარლო 80-ს უკაკუნებდა. ემჩნევა ზოგიერთ ქალბატონს სჯეროდა, რომ კარლო სექსგიგანტი იყო. ერთ მშვენიერ დღეს როდესაც ჯგუფების დასწრებას ვამოწმებდი დერეფანში აღელვებული კარლო შემომეფეთა, ტუჩები უკანკალებდა, სახეზე ფერი არა ჰქონდა. შენ, შენ რაღაცას მეუბნებოდა. გავჩერდი და ყურადღებით მივაჩერდი. შენ, შენ ხომ ხარ ინსტიტუტის რექტორი. კი ბატონო კარლო, მაშინვე დავუმოწმე. მაშინ უთხარი შენს ლაბორანტ ქალბატონს, რომ მეორედ აღარ გააკეთოს ეს, როგორც კარლოს ლაპარაკიდან გამოდიოდა ეს ქალბატონი ლილი ასანიძე გახლდათ. ცხადია რა მოხდა ამის გასაგებად მე ქალბატონ ლილის არ დავლაპარაკებივარ. ამის გაგება სხვების საშუალებითაც შეიძლებოდა. აღმოჩნდა რომ ქალბატონი ლილი იქვე ცხოვრობდა და შეუთავაზებია ბატონ კარლოსთვის ჩემთან ახლა სახლში არავინაა, ავიდეთ ჩემთან და ერთმანეთს ვასიამოვნოთო. ემჩნევა ბატონ კარლოს თავგადასავლები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, საშინლად შეშინებულა სიმართლე არ გაირკვესო და ამიტომ მთხოვა, მაგ ქალმა ასეთი რამე აღარ გამიბედოსო. ამ დღის შემდეგ ბატონმა კარლომ ქალებზე ლაპარაკი შეწყვიტა.

22.02.2010 წ.

რა უნდა ვახუშტის ბიძაჩემების სასაფლაოზე!

2010 წლის აპრილში მიჭირს იმის თქმა, არსებობს თუ არა დღეს საქართველო. ახალგაზრდა საქართველოს მთავრობა (ხელისუფლება) დღედაღამ იმის მცდელობაშია, რომ გამოზარდოს ისეთი ქართველები, რომლებსაც არც თავიანთი წარსული, არც თავიანთი ტრადიციები და არც თავიანთი მომავალი არ ექნებათ. რაც შეეხება ასაკოვან ხალხს მათი დიდი ნაწილი შუა საუკუნეების დონეზე აზროვნებს – ღრეობა, ღრეობა და არაფერი სხვა. შედეგი ერთია – ფაქტიურად საქართველო აღარ არსებობს. მე პირადად ამ სიტუაციაში მიჭირს. ძალიან მიჭირს, რომ თანამედროვე ქართველს შავი და თეთრი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია, ტერიტორიების დაკარგვა გამარჯვებად მიაჩნიათ.

ამ შესავლის მოტანა იმისთვის დამჭირდა, რომ ყოველდღიურად ვხვდები გაუგებრობებს, რომელიც თანამედროვე ქართველისთვის ცხოვრების წესია. კარდენახელმა ბიძაშვილმა დამირეკა, თბილისში ვარ ქავთარაძის ქუჩაზე, საავადმყოფოსთან და თუ შეგიძლია მნახეო. დათქმულ დროს მივედი. ბიძაშვილთან ჩემი ცოლისძმა და მისი მეგობარი ვახუშტი დამხვდნენ. რამოდენიმე წელი არ ვყოფილვარ ჩემი ბიძების და მათი მეუღლეების სასაფლაოზე (ერთ-ერთი ბიძა ჩემი ბიძაშვილის უშანგის მამაა). გამომშვიდობებისას უშანგის ვუთხარი ერთ-ერთი დღე გამოითავისუფლე ჩამოვალ კარდენახში, შენი მშობლების და სხვა ბიძების სასაფლაოებიც მოვინახულოთ მეთქი. ვერ გავითვალ-

ისწინე, რომ იქ ვახუშტიც იდგა, ანდა რად უნდა გამეთვალისწინებინა. თუ კარდენახში მიდიხარ, მაშინ ერთი ბატკანი იკისრეო. ეს ჩემთვის ისეთი მოულოდნელი და არანორმალური იყო, რომ გავშრი, მე ჩემი ახლობლების სასაფლაოზე იმიტომ მივდივარ, რომ საფლავებს მოვეფერე და არა იმიტომ, რომ ღრეობა მოვაწყო. ვახუშტიმ ჩემი ნათესაური გრძნობა, რომელიც მათი სულების პატივისცემითაა გამსჭვალული ბატკნის ყიდვის ვაჭრობაში და ღრეობის მოწყობაში გადაიყვანა. ნუთუ ამისთვის გვცალია დღეს ქართველებს? ძალაუნებურად მახსენდება ერთი შემთხვევა. ახლობლის დასაფლავებაზე ვიყავი ბორჯომის ხეობაში, სოფელ კიმოთეს უბანში. ქელეხი უმაღლეს დონეზე იყო მოწყობილი. რაც თვალში მომხვდა სუფრა სავსე იყო შემწვარი და მოხარშული თევზით. მუდმივად ხდებოდა საჭმლის დამატება და მუდმივად ხდებოდა თევზის დამატება, შეიძლება ითქვას, რომ თევზი დახვავებული იყო. გარემო მეტად თბილი იყო, ჭირისუფლები თვალებში შემოგვყურებდნენ. ვხედავდი, რომ სუფრის რამოდენიმე წევრი ცქმუტავდა, მერე მეც შემომითვალეს ჩვენ ცოტა ადრე გვინდა წავიდეთ და შენც წამოდი ჩვენთან ერთადო. მეტი რა გზა მქონდა მეც ადრე დავტოვე სუფრა (ე.ი. გამოვიპარე, ვინაიდან საერთო ტრანსპორტი გვქონდა და მერე ვერაფრით წამოვიდოდი). ჩემმა თანამგზავრებმა მანქანა ახალდაბაში რესტორანთან გააჩერეს. ორი პროფესორი და ერთი ასპირანტი ვიყავით. შეუკვეთეს სუფრა. სუფრა რომ გაიწყო გამეცინა, ქელეხის ასლი იყო. იგივე საუზმე, იგივე ქათმები, იგივე თევზი და იგივე ღვინო. განსხვავება ის იყო, ჩვენს

გარშემო აღარ იყო თბილი ხალხი და პროდუქტების სიუხვე. აქ ბევრი მხოლოდ გადასახადი ფული იყო. ვუყურებდი ამ ასაკოვან ხალხს, რომელთა ხელში იყო მომავალი თაობის აღზრდა (სიმართლე რომ ითქვას, ყველა მათგანს დიდ პატივს ვცემდი და ბრძენ ხალხად მიმაჩნდა) და ვერაფერს ვერ ვხვდებოდი, რატომ გაცვალა ამ ხალხმა სიყვარულით და სიუხვით სავსე უფასო სუფრა მოკრძალებულ და ძვირად ღირებულ სუფრაზე? სიმართლე გითხრათ დღესაც ვერა ვხვდები ამას. რამოდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში შემხვდა ერთერთი პროფესორი, რომელმაც მითხრა: გავიგე, რომ ქელეხის შემდეგ თქვენ რესტორანში წასულხართო. ნუთუ ამისთვის სცალიათ ქართველებს.

8 აპრილი 2010 წ.

თავში ქვა გიხლიათ და მუცელში სამართებელი!

2010 წლის 15 მაისია. დღის 12 საათზე განათლების აკადემიის სხდომაა დანიშნული. მანამდე ფილარმონიასთან არსებულ ბანკს მივაკითხე, რომ ჩემი კუთვნილი სტიპენდია ამეღო. მეცნიერებათა დოქტორს,პროფესორს ჭიტლაყი ამომკრეს და სხვა საბჭოთა პროფესორ-მაწავლებლებთან ერთად ქუჩაში გამომაგდეს. მაგრამ სხვა პენსიონერი არ გეგონოთ, ჩვენ იმათგან გამოგვარჩიეს ახალგაზრდებად ჩაგვთვალეს და პენსიის ნაცვლად სტიპენდია დაგვინიშნეს და ჩვეულებრივი პენსიონერებიდან იმით გამოგვარჩიეს, რომ ჩვენ რამოდენიმე ლარით მეტი დაგვინიშნეს, მაგრამ არავითარი შეღავათი, არც ტრანსპორტზე და არც სხვაგან. ბანკთან დიდი რიგი იდგა, რიგში რამოდენიმე პროფესორი შევნიშნე, მათ შორის ერთი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან. მან შემომჩივლა, რომ დედა უნივერსიტეტიდან ყველა გაყარეს ვისაც კი ჭკუა მოეკითხებოდაო. ბანკომატში სტიპენდია ავიღე (ესეც ჩვენი უპირატესობაა პენსიონერებთან შედარებით) და გავწიე განათლების აკადემიისკენ. დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა განათლების მინისტრის პასუხი ჩვენი აკადემიის წერილზე. საინტერესო ხალხი ვართ ქართველები, როგორ შეიძლება შენი განათლება, შენი დედა ენის სწავლება არაქართველებს, ებრაელს ჩააბარო. რისი ბრალია, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების უმრავლესობა სომხურ-ებრაული კლანების წარმომადგენლები არიან? მიუხედავად იმისა, რომ აკადემიის წერილი მეტად მოკრძალებული

იყო, პასუხი არაადეკვატური, დაახლოებით ისეთი იყო, როგორც ჩვენი ჩანახატის სათაური, თანაც ხელს მინისტრი კი არა, მისი მოადგილე აწერდა. პასუხმა აკადემიის წევრებზე ცივი შხაპივით იმოქმედა. რას თხოულობდა აკადემია ისეთს, რაც მთავრობისთვის მიუღებელი იყო? არაფერს. აკადემია აღნიშნავდა, რომ განათლების რეფორმა მიმდინარეობს სერიოზული ხარვეზებით და სთავაზობდა სამეცნიერო-მეთოდურ დახმარებას რეფორმის გატარებაში. პრეზიდენტმა იკითხა აკადემიის წევრთა აზრი: აღნიშნულ არასასიამოვნო და შეურაცხმყოფელ სიტუაციაში მოხდეს აკადემიის ლიკვიდაცია, თუ გაგრძელდეს მუშაობა. ყველამ მუშაობის გაგრძელებას დაუჭირა მხარი. პრეზიდენტმა კამათი გახსნა. ვერავინ გაბედა კამათის დაწყება. მაშინ მე მოვითხოვე სიტყვა. მე მივმართე აკადემიის წევრებს, რომ რეფორმის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ სკოლაში მოისპო შრომითი სწავლება. დღეს საქართველოში რაც გვინდა პირველ რიგში ესაა შრომა, მაგრამ რეფორმამ უარყო შრომითი სწავლება, მაშინ როდესაც ეს საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლება აშშ-ში, ინგლისში, გერმანიაში, იაპონიაში და სხვა მოწინავე ქვეყნებში, რომელთა მიბაძვასაც ცდილობს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება. ჩემი წინადადება ასეთი იყო, რომ სახელმწიფოს უნდა შევთავაზოთ ჩვენი ალტერნატიული პროგრამები, ყველა მიმართულებით. სიტყვა დავამთავრე თუ არა უკანა რიგიდან ვიღაცამ ხელი მომითათუნა. მივიხედე უკან და ჩემი მოგვარე პროფესორი თამარი დავინახე. რატომ არ ესწრება დღევანდელ სხდომას რეზო კალაძე? ვკითხე

თამარს. ერთი ოცი დღე იქნება, რაც ბატონი რეზო გარდაიცვალაო, მიპასუხა თამარმა. ერთი წლის წინ ბატონი რეზო შემხვდა ქუჩაში და მითხრა: ერთი თვეა ქუჩაში არ გამოვსულვარ, ტრანსპორტის ფული არა მაქვსო. საჭმელს შვილიშვილთან ვჭამო. როგორც თამარმა მითხრა შვილიშვილი ფანჯრიდან გადმომხტარა, ხოლო საკუთარ ცოლს თავი ჩამოუხრჩვია. ეს მინდოდა ამ დრამატიზმით სავსე კრებაზე? კრება თანდათან ცხარდებოდა, პირველად ყველა ამბობდა ხელისუფლებას ოპოზიციაში ხომ არ ჩავუდგებითო, მაგრამ ხელისუფლების კრიტიკა ძლიერდებოდა მთავრობას ბრალს სდებდნენ ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლაში, გოგებაშვილის უგულებელყოფაში და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ ყველაფერში თავისუფლების ინსტიტუტი დაადანაშაულეს.

ცოტაც რომ გაგრძელებულიყო, საქართველოს პრეზიდენტამდე და დალესამდე მივიდოდნენ, მაგრამ სხდომა დამთავრდა. ვერც ერთმა აკადემიკოსმა ისეთი რეცეპტი ვერ შემოგვთავაზა, რითაც ხელისუფლების ყურადღებას მივიპყრობდით. მოვდიოდი და ვფიქრობდი, რომ იქნებ მშვიდობიანი აქცია მოეწყო აკადემიას რუსთაველის მოედნიდან პარლამენტამდე, მაგრამ წარმოვიდგინე შედეგი: ტელევიზია რუსთავი-2 აჩვენებს: გადაბერებულმა აკადემიკოსებმა საკუთარ სახლებს ვერ მიაგნეს და ხელისუფლებას პატრულის გამოძახება დასჭირდა.

16 მაისი 2010 წ.

მიეცით ომში მონაწილეთა პენსია ძუგა ჯანაშიას!

ძუგა ჯანაშია ჩემი სიდედრის მეზობელია სოფელ რუხში. ახალგაზრდობაში საკმაოდ მორიდებული და უწყინარი ყოფილა. დაოჯახების შემდეგ შვილების გაზრდამ და საერთოდ ოჯახის რჩენამ დიდი შრომა მოითხოვა და ეს კანფეტივით ბიჭი ცოტა ჯაჯღანა გახდა. ვუყურებ ამ 84 წლის კაცს და არ მჯერა. წელში გამართული, შრომის მოყვარე დაახლოებით 55 წლის მამაკაცივით გამოიყურება. დიდი ნაკვეთი აქვს ენგურის პირას, დილიდან საღამომდე იქ მუშაობს, მშვენიერი წყაროს წყალი აქვს, დღეში 1 ლიტრა არაყს სვამს, გზას აქეთ-იქეთ ფეხით გადის სუფთა ჰაერზე და კია ვარდივით, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს. საღამოობით ძუგას უყვარს ლაპარაკი ჩემთან. მაგრამ ახლა ემჩნევა ჩემზე ნაწყენი იქნება. მისმა შვილმა ტოლიკმა მითხრა მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში ერთად ვუყუროთო, მხედველობაში ჰქონდა ინგლისი-გერმანიის მატჩი. თამაშის დაწყებისას გავაფრთხილე ახლა აღარ ილაპარაკო მეთქი და ნაწყენი დარჩენილა, ჩემ სახლში არ მალაპარაკაო. წლების განმავლობაში ძუგა მიყვებოდა, როგორ აშენებდა ფორტიფიკაციებს ენგურის სანაპიროზე მეორე მსოფლიო ომის დროს. როგორ დაიჭირა ორი გერმანელი ჯაშუში და ა.შ. ის ომის დროს წარუდგენიათ ორდენით დაჯილდოებაზე, მაგრამ ეს ორდენი არ მიუღია, ან არ დაუმტკიცეს მოსკოვში ან დაუმტკიცეს და ეს დოკუმენტი დაიკარგა.

დიდი ქვეყნის დანგრევის შემდეგ ძუგამ სიმართლის დადგენა პატარა საქართველოში სცადა. მითუმეტეს, რომ ტელევიზია დილიდან საღამომდე გაჰკიოდა პატარა საქართველო დიდი დემოკრატიის ქვეყანააო, საქართველოში ჰყვავის სიმართლე, სამართლიანობა და ყველაფერი ხალხის სასარგებლოდ კეთდებაო. თუმცა ძუგა ამჩნევდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სულ არ ეპიტნავებოდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები და არც იმის დანახვა უნდოდა, რომ საბჭოთა კავშირმა მსოფლიო იხსნა ფაშიზმისაგან. ძუგამ დაიწყო ზუგდიდით. რაიონის ხელმძღვანელებთან ცხადია ძუგა ვერ მივიდოდა, ვინაიდან ქართული დემოკრატია კრძალავს წვრილფეხობის უფროსებთან მოხვედრას. როგორც იქნა ძუგას მისცეს ცნობა, რომ ის ნამდვილად იყო წარდგენილი ორდენით დასაჯილდოებლად ქვეყნის დასაცავად გაწეული შრომისათვის. ძუგამ ჩაიცვა რკინის ქალამანი და წავიდა დედაქალაქში სიმართლის დასადგენად, თბილისში ბევრი ინსტანცია შემოიარა, მაგრამ როგორც წესი უფროსებთან მას არ უშვებდნენ. დაიქირავა ადვოკატი, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა. ამას რამოდენიმე წელი დაჭირდა. ძუგას მოხუცებულობის პენსია ძირითადად თბილისში წასვლა-წამოსვლას ხმარდებოდა. ბოლოს ვიღაცამ ურჩია პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელთან მიდიო. ესეც ცადა ძუგამ, მაგრამ პრემიერს რაში აინტერესებდა ძუგა და მისნაირები ან მათი წარსული და მომავალი. რა ქნას ძუგამ ან მისნაირებმა? მათ ხომ დაიჯერეს რომ საქართველო დამოუკიდებელია? რომ საქართველო არც დასავლეთზეა დამოკიდებული და არც აღმოსავლეთზე?

მხოლოდ მათ ერთი რამე ვერ გაუგიათ, რატომ იწყება საქართველო 2003 წლიდან? ხელისუფალო, მოგმართავ, მიეცი ომში მონაწილეთა პენსია ძუგა ჯანაშიას, ის თავდაცვის ზღუდეებს ხომ საქართველოს ტერიტორიაზე აშენებდა, ხომ ნამდვილად იყო წარდგენილი ჯილდოზე, ის დიდი ქვეყანა აღარ არის, მაგრამ ხომ არის ჯერჯერობით საქართველო? განა საქართველოში რამდენი დარჩა ძუგა ჯანაშიასნაირი? ამით ხომ სიმართლეც გაიმარჯვებს და მაგალითი იქნება ყველასთვის, რომ შეგვიძლია სამართლიანი და დემოკრატიული საქართველოს აშენება.

2.VII.2010 წ.

ენგურის იქით და ენგურის აქეთ

თბილისის გაუსაძლის სიცხეებს თავი გავარიდე და სამეგრელოში სოფელ რუხში წავედი. ჩემი სამეგრელოში ყოფნა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს დაემთხვა. აქაც იგივე სურათი დამხვდა, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. უამრავი პროგნოზი და ტოტალიზატორში თამაში. შედარებითი სიწყნარე სოფელში იყო. აქ ძირითადად ჯანსაღი გულშემატკივრობა იყო. ტელევიზორით გავიგე სამტრედიაში შვიდი „მაზავშიკი" დაიჭირესო. ვერ მივხვდი, რომელი უფრო დიდი დანაშაული იყო ტელევიზიით ტოტალიზატორით და მესიჯით მთელი საქართველოს გაყვლეფა თუ „მაზავშიკების" მიერ შედარებით უფრო პატიოსნური თამაშის წესები, სადაც ფულს ან მთლიანად აგებდი ან იგებდი. ოფიციალურ ფულის ძირითად ნაწილს ორგანიზატორები იღებენ, ოღონდ ეს ძარცვის პროცესი კანონიერად არის გამოცხადებული და ეს ძარცვა „ღია" და „გამჭვირვალეა". რამოდენიმე კვირის განმავლობაში ფეხბურთის მატჩებს ჩემს ძველ მეგობრებთან ტოლიკ ჯანაშიასთან და ანზორ ნანავასთან ერთად ვუყურებდი. ძირითადად თამაშის ყურებისას ვსვამდით ლუდს და ღვინოს და სახლში შუა ღამისას ვბრუნდებოდი. რუხში ტელევიზორი აფხაზეთის ტელევიზიას მშვენივრად აჩვენებდა. იქ ყოფნაში მე არც ერთი სპორტული გადაცემა არ მინახავს, მაგრამ ეტყობოდა, რომ დღესაც აფხაზი ხალხი ომის მოგონებებით ცხოვრობს. მე გამაკვირვა იმან, რომ რუსი ოფიცერი ისე ყვებოდა თავის საომარ მოგონებებს

თითქოს ეს რუსეთის სამამულო ომი იყო და არც კი ცდილობდა შეენიღბა რუსეთის სამხედრო ფორმირებების მონაწილეობა აფხაზეთის ომში. თბილისელები ფაქტობრივად რეზერვაციაში ვიმყოფებით. ინფორმაციის მხოლოდ ერთადერთი სახელმწიფო ტელევიზიები გვაქვს და ეკონომიკური სიდუხჭირე არ აძლევს მოსახლეობის უმრავლესობას გაემგზავროს და თავისი თვალით ნახოს საზღვარგარეთი. ეს საქართველოში რამოდენიმე ათასი კაცის პრეროგატივაა. ვუყურებდი აფხაზეთის ტელევიზიას და გაკვირვებული ვიყავი. 70-80%-ს ქართული გვარები და სახელები ჰქონდა. რუს ოფიცერთან ერთად ტელევიზიით გამოდიოდა მერაბ ქიშმარია – აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი. ვუყურებდი ბატონ მერაბ ქიშმარიას და თვალწინ დამიდგა გურამ ქიშმარია ჩემი მეუღლის ბიძაშვილი სოფელ ჭუბურხინჯიდან. საოცარი გარეგნული მსგავსება იყო მათ შორის. გამოდის, რომ ქიშმარია ხან აფხაზია და ხან ქართველია. ჩემმა სიდედრმა მითხრა, რომ ქიშმარიები წარმოშობით არიან ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკადან და ისინი ყველანი ერთნი არიან. ენგურის აქეთ ქიშმარია ქართველია, ხოლო ენგურის იქით კი აფხაზი. საშინელებაა, რომ საზღვარმა გაყო არა მარტო მოძმე ერები, არამედ ერთი ერიც და ერთი ოჯახიც. ძნელია იმის დაჯერება, რომ აფხაზეთი დღეს აღარ არის საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ დღეს პირველ რიგში ჩვენ გვინდა სულიერი გაერთიანება და ამისთვის საჭიროა აფხაზეთის და რუსეთის ტელეგადაცემები მიიღოს მთელმა საქართველომ, ინფორმაციის დაბლოკვას არც ერთი ქვეყნისთვის სარგებლობა არ მოუტანია. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ ინფორმაციის დამალვამ დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დაშლაში და დღესაც დიდ როლს თამაშობს საქართველოს უბედურებაში. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ცუდიც და კარგიც რაც კი ხდება მსოფლიოში. არავინ რუსეთს არ ამოშლის ჩვენი მეზობლების სიიდან, ჩვენ მარტო ის არ უნდა ვიცოდეთ რაც ცუდი ხდება აფხაზეთში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ის დადებითიც რაც ხდება აფხაზეთში. ვერავინ ვერ დამაჯერებს და ვერავინ ვერ დაიჯერებს იმას, რომ აფხაზეთში მხოლოდ ცუდი ხდება. რაც უფრო ინფორმირებული იქნება საქართველოს მოსახლეობა მით უფრო ძლიერები ვიქნებით. კი ბატონო, რეალურად აფხაზეთი დღეს საქართველო არაა, მაგრამ აფხაზეთი დედამიწაა, ენგურს იქითაც და ენგურს აქეთაც დედამიწაა და დედამიწა არც ისე დიდია, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

ს. რუხი.
4.VII.2010 წ.

XXI საუკუნის საქართველოს მედიცინა

ხშირად მესმის, განა ეს შეიძლება მოხდეს XXI საუკუნეში? ამას ისეთი ტონით ამბობენ, რომ თითქოს XXI საუკუნეში სხვა ადამიანია ვიდრე ადრე იყო. თითქოს ადამიანის ძირითადი თვისებები ასე ადვილად იცვლება. თითქოს ქართულ ხასიათს საუკუნეები ცვლიან. ასაკში ვარ და სისტემატურად მჭირდება ექიმების კონსულტაცია და დახმარება. ჩემი ცხოვრების მანძილზე უდიდესი სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციები ხდება. ასევე უდიდესი რევოლუცია ხდება სამედიცინო საქმეში. მაგრამ ქართული ხასიათის ზოგიერთი უარყოფითი მხარე აქაც თავის დაღს ასვამს. მორიგი გამოკვლევები უნდა გამეკეთებინა. გეგმით ეს უნდა გამეკეთებინა წელიწადნახევრის წინ, მაგრამ ვინაიდან ჩემი შემოსავალი და სამედიცინო მომსახურების ფასები, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან მხოლოდ ახლა მივაკითხე ექიმს და თანაც იმიტომ, რომ შემაშფოთებელი სიგნალი მივიღე. ექოსკოპიაზე ერთი საათით ადრე მივედი და რიგში პირველი აღმოვჩნდი. სამწუხაროდ, ექიმმა საკმაო ხნით დაიგვიანა. შარდის ბუშტი სავსე უნდა იყოსო და იქვე ორი ბოთლი ნაბეღლავი დავლიე. არ გეგონოთ, რომ საბაზრო ფასით ვიყიდე. ავადმყოფისათვის მისი ფასი უფრო მეტია. ექოსკოპია საკმაოდ ძვირია და ნუთუ ავადმყოფი ღირსი არ არის რომ მას წყალი უფასოდ ორგანიზებულად დაალევინონ? როგორც იქნა მოვიდა ექიმი. ჩემი ძირითადი ფიქრები იქითკენაა მიმართული, რომ კიბოს ნიშნები

არ მქონდეს და საკმაოდ დაძაბული ვწევარ. ექიმი ათვალიერებს ჩემს საშარდე ბუშტს, თირკმელებს, მაგრამ მას ეს ნაკლებად აინტერესებს. ის გატაცებით უყვება თავის ასისტენტს ერთ-ერთ ავარიას, რომელსაც ის შეესწრო და მისთვის მე და ჩემი ორგანოები მეორეხარისხოვანი იყვნენ. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ექიმმა ექოსკოპიის დროს შეიძლება ინგლისური ისწავლოს, ან რაიმე მათემატიკური ამოცანა გადაწყვიტოს. ამის შემდეგ უნდა მომეშარდა და ექიმს დიაგრამა აეგო. მივედი კაბინეტთან – ზედ წარწერაა – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ასაკი ჩემი აზრით ორმოცს გადაცილებული იქნებოდა. ექიმმა დამარიგა ამ ვედროში უნდა მოშარდო, აუცილებლად შუაში ფსკერში. შემდეგ დაიბანე ხელები და გადი კაბინეტიდანო. ძვირფასო მკითხველო ამ ორმა ბოთლმა ნაბეღლავმა თავისი გააკეთა, თქვენთან დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვღუნე და შარდის მთელი ნაკადი ფსკერს კი არა კედლებს ესხმებოდა. რომ დავამთავრე ექიმთან მივედი, ვუთხარი რაც დამემართა და ვთხოვე გაგვემეორებინა, მაგრამ მითხრა არ არის საჭიროო? მეცნიერებიდან შორს არა ვარ, დღევანდელი გაგებით ორგზის დოქტორი ვარ თანაც ერთერთია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი. ნუთუ პირდაპირ დაცემული სითხე და კედლებიდან ჩამოდენილი სითხე ერთი და იგივე წნევას განავითარებს? მაგრამ ემჩნევა რომ ჩემ ექიმ პროფესორს ახალი დროის შესაბამისად უნარ-ჩვევების გამოცდა აქვს ჩაბარებული და თანაც უმაღლეს დონეზე. მის წინაა 70 წელს გადაცილებული კაცი და რა მნიშვნელობა აქვს სად

მოშარდავს, როგორ მოშარდავს და რამდენს მოშარდავს. მსოფლიოში ამ ასაკის ნებისმიერ მამაკაცს მეტნაკლები მკურნალობა სჭირდება. როდესაც მომცა ჩემი მოშარდვის შედეგად აგებული დიაგრამა, მაინც ვკითხე, როგორი შედეგია მეთქი. მკურნალობა არის საჭიროო. ღმერთო ჩემო, ამას არც 20 ლარის გადახდა სჭირდებოდა, არც მოშარდვა და არც დიაგრამის აგება. გაკვირვებული მოვდიოდი სამედიცინო ცენტრიდან. მხოლოდ ის მამშვიდებდა, რომ ასეთი შემთხვევა ჩემს მეუღლესაც ჰქონდა. მთხოვა თირკმელები მაწუხებს და ექოსკოპიაზე წავიდეთო. კარგი სპეციალისტი გვეგულებოდა და იმასთან წავედით. ჩვენდა სამწუხაროდ ის არ დაგვხვდა. კაბინეტში ორი ქალბატონი დაგვხვდა. ცხადია სალაროში ჩვენთვის არც თუ პატარა თანხა გადავიხადეთ. ბევრი ეძებეს აქ ქალბატონებმა ჩემს მეუღლეში თირკმელები, მაგრამ ვერ იპოვეს. მე კი დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჩემს მეუღლეს ორი თირკმელი ჰქონდა და მათი რამოდენიმე სურათი მქონდა სახლში. გამწარებულმა მაშინვე მივახალე ექიმებს, ბოლოს ქალბატონები შეტევაზე გადმოვიდნენ და ჩემს ცოლს ჩხუბი დაუწყეს: თქვენ გაზითა ხართ გაბერილი იმიტომ თირკმელებს ვერ ვპოულობთო. არ ვიცი ეს ყველაფერი რითი დამთავრდებოდა, რომ ჩვენი ნაცნობი ექიმი არ გამოჩენილიყო. ყველაფერი თავის ადგილას დადგა. ცხადია დიდი ძვრები ხდება მედიცინაში, მაგრამ რატომ არ ხდება დიდი დადებითი ძვრები ქართველი კაცის ფსიქიკაში? თქვენ გგონიათ მე რომელიმე პატარა ქალაქის ან სოფლის საავადმყოფოში ვიყავი? არა ბატონო, ეს ყველაფერი მოხდა ჩვენი ქვეყ-

ნის წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში ჩემი ფორმულირება, რომ განვამტკიცო გადავალ XX საუკუნეში. ჩემმა მეუღლემ მთხოვა გინეკოლოგთან გავყოლოდი. ეჭვი ჰქონდა ფეხმძიმობაზე. ცნობილმა გინეკოლოგმა გვითხრა რომ საჭირო იყო ექოსკოპია და გვითხრა იმ კაცის სახელი და გვარი და თან დაამატა მხოლოდ მას ვენდობიო. ცხადია ჩვენც იმ კაცს მივადექით. რის ფეხმძიმობა, რა ფეხმძიმობაო, გვითხრა ექიმმა. ექოსკოპიის შემდეგ ნაცნობმა მითხრა ჟორდანიაში მიდით იქ ბაყაყზე სინჯავენ და ბაყაყი არ ცდებაო. ჩემი მეუღლე მართლა ფეხმძიმე აღმოჩნდა. გაოცებული დავრჩი რაც ექოსკოპიამ ვერ შეამჩნია, როგორ შეამჩნია ბაყაყმა. ექიმი, რომელმაც ფეხმძიმობა ვერ გამოიცნო მალე ქალაქის მერად დანიშნეს. ხშირად ტელევიზორში აჩვენებდნენ კარგი ცეკვა იცისო, თანაც კარგი თამადა არისო. მე როდესაც ექიმთან მივდივარ მე ექიმი მინდა და არა მოცეკვავე. როდესაც ექიმი მსინჯავს და როდესაც საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს არ მინდა რომ ექიმი ვიღაცასთან ჭორიკანობდეს და პაუზების დროს მე მსინჯავდეს. მსოფლიო ვითარდება, მაგრამ ქართველებში კიდევ რჩება ის დიდი ნაკლი რისი თქმაც არ მინდა, მაგრამ მაინც სათქმელია – სიბრიყვე.

25.XII.2010 წ.

ვინ უფრო ბედნიერია, კატის კნუტი, ბოჩოლა თუ მე?

თბილისში ჩამოცხა. ჩემი ქალიშვილი დედულეთში – სამეგრელოში წავიყვანე. ჩემდა გასახარად რუხში თბილისთან შედარებით საკმაოდ გრილოდა. ზუგდიდი გალამაზებული დამხვდა. განსაკუთრებით მომეწონა განახლებული ბაზარი, სადაც პროდუქტები ბლომად იყო და ფასები დიდად არ განსხვავდებოდა თბილისური ფასებისაგან. რამდენიმე დღეში დამთავრდა აკლიმატიზაციის პერიოდი და ცხოვრების ჩვეულებრივ რეჟიმს დავუბრუნდი. ერთ დილას საუზმის შემდეგ ეზოში ჩამოვჯექი. ჩემს გვერდით პატარა ხბო იდგა და თავისი დიდი თვალებით მათვალიერებდა და შემყურებდა. ინტუიციით ვგრძნობდი რომ მისი ერთადერთი ფიქრი ის იყო, რომ რას შეჭამდა უახლოეს პერიოდში. ცოტა მოშორებით რამოდენიმე თვის კნუტი ნებივრობდა, მზეზე თბებოდა, კოტრიალებდა, იზმორებოდა და ა.შ. ერთი სიტყვით ბედნიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. მას არც საჭმელი და არც სასმელი აწუხებდა. ძალაუნებურად ვადარებდი ჩემს თავს ამ ცხოველებს და ყველაზე დაჩაგრული და დატანჯული ჩემი თავი მეგონა. არც ხბოს და არც კატის კნუტს იმდენი მტერი არ ჰყავს ვიდრე ადამიანს. კატის კნუტს მხოლოდ ეფერებიან და კვებავენ, ხოლო ბოჩოლას, თანაც დედალს ვინ რას შეჰკადრებს? გაიზრდება თუ არა რძის მოცემას დაიწყებს და ძროხა გახდება. ძროხა ყველას გაძლიერებულ კვებაზე ჰყავს და დასაკლავად მას ნორმალური ადამიანი არ გაიმეტებს. ჩემ თავს

ვეკითხები: ვარ თუ არა ბედნიერი? რა თქმა უნდა ბედნიერი ვარ. რატომ? ვსვამ კითხვას. იმიტომ, რომ ჯანმრთელი კაცი ვარ, იმიტომ რომ პატიოსანი და მშრომელი მშობლები მყავდა, იმიტომ რომ კარგი ნათესავები მყავს, იმიტომ რომ კარგი დედმამიშვილები მყავს, იმიტომ რომ კარგი მეგობრები მყავს, იმიტომ რომ განათლებული კაცი ვარ, იმიტომ რომ შრომა მიყვარს, იმიტომ რომ ადამიანი მიყვარს, იმიტომ რომ ყველა ერს თავისებურად პატივს ვცემ, იმიტომ რომ სპორტი მიყვარს, იმიტომ რომ ხელოვნება მიყვარს, იმიტომ რომ სიკეთე მიყვარს და ბოროტება მეჯავრება, იმიტომ რომ სიმართლე მიყვარს და სიცრუე მეჯავრება, იმიტომ რომ მედროვე არა ვარ, იმიტომ რომ წინაპრებს პატივს ვცემ, იმიტომ რომ საქართველო მიყვარს, მაგრამ რატომ მშურს კატის კნუტის, რატომ ვფიქრობ რომ კატის კნუტი ჩემზე ბედნიერია? რატომ მგონია რომ ბედნიერი კი არა უბედური ვარ? იმიტომ რომ საქართველოს კლავენ, იმიტომ რომ საქართველოში შრომა მოკლეს, იმიტომ რომ საქართველოში სიბრძნე მოკლეს, იმიტომ რომ საქართველოში სიმართლე მოკლეს, იმიტომ რომ დღეს საქართველოში მართლმადიდებლობას კლავენ, იმიტომ რომ დღეს საქართველოში ჭკვიანი არც ცოცხალი უნდათ და არც მკვდარი, იმიტომ რომ დღეს საქართველოში ეროვნულ ტრადიციებს კლავენ, იმიტომ რომ დღეს არ უნდათ რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, სააკაძე, ერეკლე მეორე და ა.შ. იმიტომ რომ დღეს უნდათ: რომ საქართველომ დაივიწყოს ბრწყინვალე კავკასიური ტრადიციები და ევროპულ ტრადიციებზე გადავიდნენ. იმიტომ, რომ დღეს მისაბაძ ქალად ითვ-

ლება ის ვისაც რამოდენიმე ქმარი ჰყავს გამოცვლილი, ჰყავს საყვარელი და სამსახურში სექსს ეწევა. იმიტომ რომ დღეს პირველი მამაკაცი ის არის ვინც ცისფერია. იმიტომ რომ დღეს პირველი ქართველი ის არის, რომელიც თეთრსა და შავს ვერ არჩევს. იმიტომ რომ დღეს პირველი ქართველი ის არის, რომელიც წაგებას და მოგებას ვერ არჩევს. იმიტომ რომ დღეს პირველი ქართველი ის არის ვინც დალესის, სოროსის და მასონური მოძრაობის მითითებებს ასრულებს.

ივლისი 2010 წ.

მე და ჩემი სტუმრები

კვირა დღე იყო. მოსაღამოვდა, ზარი დაირეკა, კარი გავაღე და ორი ახლობელი დავინახე ჩემს კარებთან, ჩემი ცოლის ძმისშვილი ლაშა და მისი სიმამრი ბორისი. ურთიერთ მოკითხვის შემდეგ ჩემმა მეუღლემ სუფრის გაშლა დაიწყო. ღვინო თუ არაყი შევეკითხე სტუმრებს. ბორისმა ლაშას დაასწრო და უმალ მითხრა შენ კახური ღვინო გაქვს და იმას დავლევო. ბორისი ადრე ზუგდიდის ღვინის ქარხნის დირექტორი იყო და იცოდა კახური ღვინის გემო. საბჭოთა კავშირის სიკვდილთან ერთად მოკვდა საქართველოში ყველა ქარხანა, მათ შორის რა თქმა უნდა ზუგდიდის ღვინის ქარხანაც. ბორისი ჩვენთან ქარხნის დოკუმენტაციით მოვიდა უნდოდა კონსულტაციის გავლა ჩემს მეუღლესთან, როგორც ფინანსისტთან. კაცო, სულ იმას ჩავჩიჩინებ ჩემს სიმამრს, რომ ოფიციალურად დახუროს ეს ქარხანა, ის ვალების მეტს არაფერს არ იძლევაო, ჩამჩურჩულა ლაშამ. მეც,რაც ბიზნესი მაქვს ყველაფერი უნდა დავხურო, მიჭირს ამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაო, დასძინა მან.

საღამო ტკბილად მიდიოდა. ღვინის ჭიქებით მივირთმევდით ლალისფერ კახურ ღვინოს ვისვენებდით და ვადღეგრძელებდით ჩვენს ახლობლებს, როგორც მკვდრებს, ასევე ცოცხლებს, მაგრამ ვერავითარ ცხოვრებისეულ პერსპექტივას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ხედავდა. გამახსენდა 1943 წელი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდი. თბილისში ფიქრის გორაზე ვცხოვრობდით, კერძოდ, ანანურის ქუჩაზე. გაისმა საჰაერო განგაშის

ხმა და ყველანი თავშესაფარში ჩავედით, შემდეგში ამ ადგილას მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ სახლი აიშენა. მაშინ მე 5 წლის ვიყავი კარგად მახსოვს ვინ ისხდნენ ჩემთან ახლოს. იმ უმძიმეს დროს, როცა გერმანიის არმია კავკასიასთან იდგა და გერმანელთა ცალკეული თვითმფრინავები ცდილობდნენ თბილისში შემოჭრას, არ იყო თბილისში ადამიანი, რომელსაც ომში გამარჯვების და ნათელი მომავლის არ სჯეროდა. ახლა კი 67 წლის შემდეგ ვზივართ ,,თავისუფალ" საქართველოში და არაფერი ნიშანი არ არის იმისა, რომ ჩვენ ნორმალური მომავალი გვექნება. ჩვენ იმის გარანტიაც კი არა გვაქვს, რომ ჩვენი შვილები საშუალო სკოლის ატესტატებს მიიღებენ. გაუთავებელმა ექსპერიმენტებმა, რომელთაც ყოვლად უცოდინარი განათლების ხელმძღვანელები ატარებენ მოსპო საგანმანათლებლო სისტემა. ფაქტობრივად რამოდენიმე საგანი სკოლაში არ ისწავლება. არეულია სწავლებაც, სახელმძღვანელოების შინაარსი. მაგალითად ჩემმა ქალიშვილმა ჯერ გეოგრაფია ისწავლა, ხოლო შემდეგ სასწავლო წელს ახალი საგანი „შესავალი გეოგრაფიაში". რა ქნას ბავშვმა, რომელსაც რეალურად სკოლაში ქიმია არ უსწავლია და არ იცის რა არის ფორმულა, როგორ დაწეროს წყლის ფორმულა? ადრე არსებობდა საშემოდგომო გამოცდები ჩამორჩენილი მოსწავლეებისთვის და თუ ბავშვი საშემოდგომო გამოცდასაც ვერ ჩააბარებდა ის კლასში რჩებოდა. მაგალითად ჩემს კლასში სწავლობდა გამოჩენილი ქართველი მსახიობის ძმა, რომელიც კლასში დარჩა. ახლა მე-12 კლასელებმა გამოთქვეს მოკრძალებული პროტესტი საატესტაციო გამოცდების მიმართ და პრეზიდენტმა მას „ოროსნების" პროტესტი უწოდა. ცხადია ბავშვის ცოდნა უნდა შემოწმდეს, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ მას ასწავლო.

ისეა, თუ ასეა შევსვით ჩვენი მომავლის, ჩვენი შვილების სადღეგრძელო მე და ჩემმა სტუმრებმა საკმაო სითბო და სიყვარული ვაჩუქეთ ერთმანეთს, მაგრამ ყველას დაგვრჩა ნათელი მომავლის უკმარობის გრძნობა.

5.12.2010 წ.

რეფორმირებული ქართული სასამართლო

საქართველო რეფორმების სახელმწიფოა. განათლების რეფორმა, სამედიცინო რეფორმა, სასამართლო რეფორმა და ა.შ. მე როგორც განათლების მუშაკს საფუძვლიანად შემეხო განათლების რეფორმა. რა იყო განათლების რეფორმა? ეს იყო მეცნიერების მოსპობა, განათლებული ადამიანების გაყრა სასწავლებლებიდან. უფასო სწავლების ძვირად ღირებულ სწავლებაზე გადაყვანა. დღეისათვის 3000 საშუალო სკოლიდან დატოვეს მხოლოდ 2000 სკოლა. დამოუკიდებელი საქართველოს 20 წლის თავზე მე შემიძლია ასეთი დასკვნა გავაკეთო: საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისას შესრულებული სადიპლომო ნაშრომი უფრო მაღალი სამეცნიერო დონის იყო ვიდრე დღევანდელი სადოქტორო სამუშაო.

ასევე ჩაიარა ჯანმრთელობის დაცვის ანუ სამედიცინო საქმის რეფორმამაც. ფაქტობრივად რიგითი მოქალაქისათვის სამედიცინო დახმარება მოისპო. მოვიყვან ერთ მაგალითს. ამ სტრიქონების წერის პერიოდში მივაკითხე ბალნეოლოგიურ კურორტს. მარილებმა შემაწუხა და 3-4 თვე კოჭლობით დავდიოდი. იმ წლებში, როდესაც აქ გოგირდოვანი წყლისა და ტალახის აბაზანებს ვიკეთებდი ზამთარში მშვენივრად ვგრძნობდი თავს. მივაკითხე, მაგრამ რა რეალობა დავინახე: სანამ ამ კურორტის დირექტორი და მფლობელი მიხეილ სააკაშვილის მამა გახდებოდა 1 აბაზანა, როგორც წყლის ასევე ტალახის 1 ლარი ღირდა. ახლა კი 14 ლარი გამხდარა. თუ ადრე მკურნალობა 33 ლარი

მიჯდებოდა ახლა 450 ლარამდე ასულა. ამავე დროს არავითარი შეღავათი პენსიონერებს. ე.ი. ჩემისთანა ადამიანებისთვის ეს კურორტი მოკვდა. ე.ი. ან უნდა მოვკვდე ან როგორც ერთი ოპოზიციონერი ამბობდა უნდა ჩავძაღლდე, ან თუ შევძლებ უნდა გავიქცე საქართველოდან, მაგრამ ვინ მიიღებს თავისთან გაქცეულ პენსიონერს?

ასეთი რეფორმების პერიოდში მეხის გავარდნასავით იყო იმის გაგება, რომ ჩემი ახლობელი დაუჭერიათ. ხალხისგან მესმოდა, რომ საქართველოში სასამართლოს რეფორმამ ფაქტიურად მოსპო სასამართლო. საბჭოთა საქართველოში მთავრობა სასამართლოს საქმეებში ერეოდა მაშინ, თუ ეს სახელმწიფოს პოლიტიკას ეხებოდა, ხოლო რაც შეეხება თავისუფალი საქართველოს შესახებ ამბობენ, რომ აქ მხოლოდ ერთი სუბიექტია: ხელისუფლება. ხელისუფლება არის პროკურორი, მოსამართლე და ადვოკატი. პრაქტიკული შეხება მე რეფორმირებულ სასამართლოსთან არ მქონია. ჩემს აზროვნებაში ჩაბეჭდილი იყო ერთი რამ, რომ სასამართლოში გამეფებული უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპი.

გავიგე თუ არა ჩემი ახლობლის დაჭერის ამბავი მე და ჩემი მეუღლე მაშინვე მივედით დაკავების ადგილას. მასზე ვერაფერი ინფორმაცია ვერ მივიღე. მოვიშველიე კანონი, რომ დაპატიმრებულს აქვს უფლება არ მისცეს ჩვენება ადვოკატის გარეშე, მაგრამ ვინ მიაქცია ამ კანონს ყურადღება. რამოდენიმე დღის შემდეგ დაინიშნა სასამართლო. ბრალდებულები იყვნენ ორნი: ჩემი ახლობელი ქალბატონი მანანა და მისი

ბავშვობის მეგობარი ბატონი შალვა. მათ ფირმას უცხოეთიდან შემოჰქონდათ სამშენებლო მასალები. მანანამ მხოლოდ პროკურატურაში გაიგო, რომ ბატონი შალვა მანანას უჩუმრად თაღლითობდა. თაღლითობის სქემა შემდეგნაირი იყო: ის მასალებს ყიდულობდა გარკვეულ ფასად, შემდეგ ამ ფასებს აორმაგებდა (აყალბებდა) და ისე ყიდდა საქართველოში. შალვა შეკრული იყო სატენდერო კომისიებთან და სისტემატურად იგებდა ტენდერებს. ცხადია ამ სიყალბეებს შალვა თავის თანადამფუძნებელს მანანას არ ეუბნებოდა.

მე პირველად ვიყავი საქალაქო სასამართლოში. მომხიბლა სასამართლოს გარეგნულმა მხარემ. შიგნიდან კიდევ უფრო ლამაზი და თანამედროვე იყო. შესვლისას შეგვამოწმეს თანამედროვე ტექნიკით. მშვენიერი დერეფნები და სიმპატიური სასამართლო ოთახები იყო. ტანწერწეტა თანამშრომლები, როგორც მამაკაცები ასევე ქალბატონები (ძირითადად ახალგაზრდები). თანამედროვე საინფორმაციო ტექნიკა და ტექნოლოგია და ა.შ. ერთი შეხედვით გარეგნულად ყველაფერი ბრწყინვალე იყო. სოლიდურად იყო ჩაცმული მოსამართლეც. საინტერესო იყო ის, რომ ქალბატონმა მანანამ პროკურორს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ გააგებინა ბატონი შალვას თაღლითური სქემის შესახებ. ქალბატონი მანანას უდანაშაულობა ამ საქმეში დაადასტურა თვით ბატონმა შალვამაც. არავითარი საბუთი ქალბატონი მანანას დანაშაულის შესახებ ფიზიკურად არ არსებობდა. მაგრამ ჰოი საოცრებავ, პროკურორმა ორივესთვის 30-30 წლიანი პატიმრობა მოითხოვა. ორივეს წინასწარი ორთვიანი

პატიმრობა შეუფარდეს. რამოდენიმე დღის შემდეგ შევხვდი ადვოკატს. მან მითხრა, რომ ყველასთვის ნათელია, რომ ქალბატონი მანანა უდანაშაულოა, მაგრამ საქმის წარმატებით დამთავრებისთვის საჭიროა, რომ მან თავი დამნაშავედ ცნოს. 10 დღის შემდეგ შედგა განმეორებითი სასამართლო. პროცესი 5 წუთი გაგრძელდა. გააფორმეს საპროცესო გარიგება, ბრალდებულებმა 2 მილიონი ლარი გადაიხადეს და ორივე სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. მსოფლიოში არ იქნება ასეთი სასამართლო. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ბატონი შალვა თაღლითი იყო, ხოლო ქალბატონი მანანა უდანაშაულო. მთავარი ის იყო, რომ სახელმწიფომ ორი მილიონი მიიღო. პროკურორი, მოსამართლე და ადვოკატი კმაყოფილები დარჩნენ. მაგრამ რა ქნას ქალბატონმა მანანამ, რომელსაც სახელმწიფომ და მეგობარმა უღალატეს, რომელმაც უმძიმესი მატერიალური და სულიერი ზარალი მიიღო.

15 აპრილი 2011 წ.

ქართული ფაშიზმი

მოვახდინოთ ციტირება ენციკლოპედიებიდან: ფაშიზმი არის ღია ტერორისტული დიქტატურა. მისი ძირითადი მახასიათებელია უმკაცრესი ძალადობა. რამ მიმიყვანა ამის დასაწერად? ჩვენ მიერ „არჩეული" პრეზიდენტის გამონათქვამებმა და ქმედებებმა: ნულოვანი ტოლერანტობა, ჩაცხრილეთ ქუჩაში, ტრაქტორისტებო თუ წინ ვინმე დაგიდგებათ გადაუარეთ და ა.შ. შეიძლება ბევრი შემედავოს და თქვას სააკაშვილი რა ქართველია, ის სომეხი არისო. მაგრამ ეს იქნება თავის მოტყუება. ის რაც მოხდა 2011 წლის 25 მაისს თბილისში პარლამენტის წინ საქართველოს მოქალაქეების ამოწყვეტა, დასახიჩრება და გატაცება ფაშიზმის ზუსტი გამოხატულება იყო. საკმარისია გაიხსენოთ წვიმაში, ხელფეხგაკოჭილი ადამიანები როგორ დაყარეს ასფალტზე და როგორ სცემდნენ, მიუხედავად სქესისა და ასაკისა. მე განსაკუთრებით შემზარა ერთმა ეპიზოდმა: ახალგაზრდა კაცი მიდიოდა თავისთვის, მას ცემა დაუწყო სამმა შეიარაღებულმა, მას მიემატა მე-4 და დააგდეს ასფალტზე, შემდეგ ამ ოთხეულს მიემატა მე-5, მე-6 ... და 15-20 შეიარაღებული ახალგაზრდა სპეცრაზმელი ხელკეტებს ურტყამდა 1 წაქცეულ ადამიანს, ეს აგრესია ჰიტლერსაც კი შეშურდებოდა. მეორე ფაქტი, ხელფეხშეკრული მკვდარი ადამიანები მეორე დღეს აღმოჩნდნენ მაღაზიის სახურავზე და თითქოს მათთვის დენს დაურტყია და ისე მომკვდარან. რა მოხდა ქართველებში? საიდან მოვიდა ეს აგრესია? საუკუნეების განმავლობაში საქართველოს გარკვეული ტერ-

იტორიები სხვადასხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომები ანუ პროვინციები იყვნენ. ეს სახელმწიფოები იყო თურქეთი, ირანი, არაბეთი, მონღოლეთი, რუსეთი... ქართველს საშუალება არ ჰქონდა ეს ბოღმა ამ ერებზე ან თვით ქართველებზე ამოენთხია. ყველაფერს დამპყრობლები აკონტროლებდნენ და წარმართავდნენ. და აი, საუკუნეების შემდეგ საქართველომ ნაწილობრივ მოიცილა დამპყრობელი და მიეცა საშუალება ქართველ ხახლს ბოღმა ერთმანეთზე ამოენთხია. დაიწყო სამოქალაქო ომი, ქართული არმია, სამხედრო შენაერთები ჯაბა იოსელიანის, თენგიზ კიტოვანის დაერია საქართველოს, მკვლელობები, გაუპატიურებები, ყაჩაღობები და ძარცვა-გლეჯა, რაც ამ სამხედრო ფორმირებებმა მოუტანა ქართველ ხალხს. მთავრობა აყაჩაღებდა ბანკებს, ბიზნესმენებს და ისინი აყაჩაღებდნენ და აყაჩაღებენ ხალხს. ყველაზე დაზარალებული უბრალო ადამიანი გამოდიოდა ვინაიდან მას ჩივილიც კი არ შეუძლია ბანკების და ბიზნესმენის წინააღმდეგ ვინაიდან მთავრობა ბანკების და ბიზნესმენების მხარეზეა, ვინაიდან მათ ფულს ართმევს, მაგრამ ეს ფული წართმეულია რიგითი ადამიანებისთვის. ერთ მაგალითს მოვიყვან ფირმა „ცენტრპოინტი", რომელმაც ათეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე დააყაჩაღა, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერია. 25-26 მაისს ვის არბევდა სააკაშვილის ხელისუფლება? ნონა გაფრინდაშვილს, რეზო ესაძეს, გია ბურჯანაძეს, გოგი ქავთარაძეს და სხვებს. ამავე დროს მიდიოდა ლანძღვა-გინება რობერტ სტურუასი და მას პენისს ადარებდნენ. დარბევის საბოლოო შედეგები, ჯერ ცნო-

ბილი არ არის, მაგრამ უკვე დადგენილია რომ გარდაიცვალა 4 ადამიანი და ერთმა თვალი დაჰკარგა. როგორ შეიძლება, რომ იმ ხალხს, რომელსაც უნდა რომ საქართველოში არ იყოს ძალადობა, თაღლითობა და ბოროტება ესროლო ტყვიები, გაუშვა ცრემლდენი გაზი და მიუშვა ისეთი წნევის წყალი, რომ ადამიანი წააქციოს.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. მე მოველოდი, რომ 27 მაისი გლოვის დღედ გამოცხადდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. 26 მაისს როდესაც რუსთაველზე, პარლამენტის წინ, სადაც ჯერ კიდევ ემჩნეოდა სისხლის ლაქები საზეიმო აღლუმი გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად. ფაქტიურად ეს იყო აღლუმი ქართული ფაშიზმის სადიდებლად. სისხლიანი ნაკვალევზე იდგნენ მხატვრები, პოეტები და პრეზიდენტის სხვა რჩეულნი და აღნიშნავდნენ თავიანთ ბედნიერებას ქართული გენის უბედურების ხარჯზე.

27 მაისი 2011 წ.

რა გინდათ მიხეილ სააკაშვილისგან, ბედოვლათო ქართველებო?

არის თუ არა დღეს საქართველო? ასეთ კითხვას ვუსვამ ჩემ თავს ყოველდღე. პასუხი უცნაური მაქვს, თან არის, თანაც არ არის. 2011 წლამდე დამოუკიდებელმა საქართველომ 3 პრეზიდენტი გამოიცვალა. ერთი მოვკალით, მეორე გადავაგდეთ, მესამე ხოცავს და აპატიმრებს ქართველებს, არიგებს მიწებს და ურცხვად აცხადებს, ნეტა რათ უნდათ რუსებს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, იქ ხომ ქვების გარდა არაფერიაო. ვინ შექმნა სააკაშვილი? ზოგი იტყვის რომ სააკაშვილი ამერიკის პროექტია, ზოგი რუსებისო, ზოგი სომხებისო და ა.შ. ეს ყველაფერი სიცრუეა, სააკაშვილი არც ამერიკელებს შეუქმნიათ, არც რუსებს და არც სომხებს. სააკაშვილი ჩვენ ქართველებმა შევქმენით. დავიწყოთ ჩემით, რომ ვინმემ არ იფიქროს ჩვენ რა შუაში ვართო. პირველივე არჩევნებში მე ხმა სააკაშვილს მივეცი. რატომ? იმიტომ, რომ ბედოვლათი ქართველი ვარ. არც მისი ბიოგრაფია მიკითხია, არც მისი მსოფლმხედველობა, ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ მან შევარდნაძე ჩამოაგდო. ამას დაემატა ისიც, რომ მან ასლან აბაშიძე გააგდო საქართველოდან. დედაჩემის წინაპრები ხიმშიაშვილები აჭარიდან გამოიქცნენ 1605 წელს, როდესაც თურქეთმა აჭარა დაიპყრო. ვცდილობდი რამენაირად მომეკიდა ფეხი აჭარაში, მაგრამ ასლანმა აჭარაში არ შემიშვა მხოლოდ იმიტომ, რომ მე თბილისელი ვიყავი. ორჯერ ვიყავი ქობულეთის მერთან და ორჯერვე ისეთი მთვრალი იყო, რომ ვერ დაველაპარაკე, დამამახს-

ოვრდა ის,რომ ტარიელი იყო,ორჯერვე მარტო ლოზუნგი მესროლა: პრეზიდენტი ასლან აბაშიძე იქნებაო. ერთხელ ადგილობრივი ბიზნესმენი შემესწრო, იმანაც ვერ შეძლო დალაპარაკება და ჩაილაპარაკა: ეს უბედური როგორ დამთვრალაო. სააკაშვილის სასარგებლოდ ის დამამახსოვრდა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე (შეიძლება სხვა სხდომა ან შეკრებაც კი იყო), როდესაც მათი სახლები აჩვენა და უთხრა ქურდები ხართო, თემურ მირიანაშვილმა უთხრა, შენ ცნობილი გიჟი ხარო. აი, რა ვიცოდი სააკაშვილის შესახებ. როცა პრეზიდენტს ირჩევ ნუთუ არ ვიყავი ვალდებული შემესწავლა კანდიდატურების ბიოგრაფია? მისი გენეტიკური მონაცემები? რატომ მივეცი მას ხმა პრეზიდენტობაზე? ან რატომ მისცეს ხმები სხვებმა, მან ხომ ხმების 90%-ზე მეტი ნამდვილად მიიღო? იმიტომ რომ ქართველები ბედოვლათები ვართ (ბედოვლათი სპარსულ-არაბულად უყაირათოს ნიშნავს). სააკაშვილმა ყველა გაგვაცურა და ახლა მთელ მსოფლიოს ატყუებს. მან ყველა და ყველაფერი გააკეთა მიზნის მისაღწევად. ჯერ იყო და მის დეპუტატობაზე საარჩევნო შტაბის უფროსი ლევან გაჩეჩილაძე იყო. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა ფაქტიურად მას „დაუთმო” შალვა ნათელაშვილმა. მისი მთავარი დასაყრდენი ზურაბ ჟვანია გაუგებარ სიტუაციაში მოკვდა, ასევე მისი ერთ-ერთი დასაყრდენი ნინო ბურჯანაძე ახლა სააკაშვილს ეომება. ყველა თავისი ძირითადი პოლიტიკური მხარდამჭერები მან მოიცილა. ახლა საქართველოში აბსოლუტიზმია – ყველა საკითხს წყვეტს მხოლოდ ერთი კაცი – მიხეილ სააკაშვილი.

ემჩნევა სვლებს მშვენივრად ითვლის. ჯერ მთელი ქვეყანა მოატყუა. თბილისიდან კიევში პრეზიდენტის რანგში სარეისო თვითმფრინავით გაფრინდა. პრეზიდენტს პირადი თვითმფრინავი რაში ჭირდებაო. დაიქირავა ოროთახიანი ბინა – ამაზე მეტი პრეზიდენტს რად უნდაო. ჩვენს საქართველოს მოსახლეობა გაოცებული ვიყავით – რა მორიდებული და პატიოსანი პრეზიდენტი გვყავსო. მაგრამ გაიმაგრა რა პოზიციები მილიარდიანი სასახლე აიშენა და საკმაოდ ძვირი თვითმფრინავებიც შეიძინა. ესეც შენი მოკრძალებული პრეზიდენტი. ამავე დროს მოხდა ადეკვატური ცვლილებები. ჯერ ასაკოვანი ხალხი ყვიროდა მიშა, მიშას! ასაკოვნები, რომ მიხვდნენ მატყუარა პრეზიდენტი ყავდათ, შემდეგ უკვე სტუდენტებს აყვირებდნენ მიშა, მიშას. მალე სტუდენტები მოსწავლეებმა შეცვალეს და დღეს მიშა-მიშას მხოლოდ საბავშვო ბაღის ბავშვები ყვირიან და ისიც მხოლოდ მათი პედაგოგების ძალდატანებითი მცდელობის შედეგად.

ამიტომ მოგმართავთ ბედოვლათო ქართველებო, რომ სააკაშვილს ნუ ლანძღავთ, გასალანძღი ჩვენ თვითონ ვართ.

18 ივნისი 2011 წ.

რის კანონი, რა კანონი, ხოში მაქვს და ვაკეთებ

ამ დღეებში საქართველოში საინტერესო ამბები ხდება. ხელისუფლებამ 26 მაისს უმოწყალოდ დაარბია მომიტინგეები (დღესაც არავინ იცის რამდენი მოკვდა და რამდენი დასახიჩრდა). ჩემმა ყოფილმა თანამშრომელმა მითხრა, გაზეთებში რომ გაკოჭილი ადამიანი ასფალტზე გდია, ეს მე ვარო, დავაკვირდი და მართლა ავთო შევიცანი. ავთოს არატრადიციული მედიცინა ეხერხება და მიტინგზე სპეციალურად მისულა 12 საათზე, რომ დარბევის შემთხვევაში ხალხს სამედიცინო დახმარებას აღმოვუჩენო, მაგრამ სპეცრაზმმა არ აცალა, გამოვიდა თუ არა მეტროდან ეს სამოცდაათი წლის კაცი, სცემეს, 18 ტყვია ესროლეს და ხელფეხშეკრული წვიმაში ასფალტზე დააგდეს.

ასეთი სისასტიკის შემდეგ ხელისუფლება დარწმუნდა თავის დაუსჯელობაში და აღარც ადამიანებს და აღარც კანონებს ანგარიშს აღარ უწევს.

ხელისუფლება ვეღარ ძღება. თბილისელთა დაახლოებით 80% უმუშევარია ან ნახევრადუმუშევარია. ყველაფერს აკეთებს მერია გიგი უგულავას ხელმძღვანელობით ქალაქის ღატაკი მოსახლეობა რომ მათხოვრებად აქციოს. თბილისელის პენსია 100 ლარია, რომელიც გადასახადებს არ ყოფნის. საარსებო მინიმუმი კი ხელისუფლების მონაცემებით 135,3-147,4 ლარია. ე.ი. პენსიონერი გამეტებულია სასიკვდილოდ საკრებულოს წევრებს ხელფასი დაახლოებით 3000 ლარი აქვთ. ე.ი. დაახლოებით 30 პენსიონერის პენსია. ესენი სულ საბჭოთა კავშირს აგინებენ. იქ კი მინისტრის

ხელფასი 4-5 პენსია იყო. თანაც უზარმაზარ პრემიებს იღებენ, როცა წამოიჭრა საკითხი პრემიების შესახებ, საკრებულოს წევრებმა ჩხუბი ატეხეს ჩვენ ვმუშაობთ და პრემიებს იმიტომ ვიღებთო. მაშინ რა ქნან იმ უმუშევრებმა, რომელთაც მათზე არა ნაკლები განათლება და ცოდნა აქვთ და ერთი თეთრი შემოსავალი არა აქვთ?

მე წინ მიდევს ოფიციალური მონაცემები საარსებო მინიმუმის შესახებ. 2011 წლის მაისის თვისთვის. სამსულიანი ოჯახისათვის საარსებო მინიმუმია 265.3 ლარი. როგორ უნდა იცხოვროს ოჯახმა სადაც მშობლები არ მუშაობენ, არც პენსიას იღებენ და მოზარდი ჰყავთ ოჯახში? რა ჭამონ, რა ჩაიცვან და რით გადაიხადონ გადასახადები? ორსულიანი ოჯახისთვის ამავე დროს საარსებო მინიმუმი არის 235.8 ლარი? როგორ იარსებონ უმუშევრებმა ან პენსიონერებმა? საჯარო სამსახურში მყოფები იღებენ ხელფასებს (ზოგ შემთხვევაში ფანტასტიკურს) და აქეთ ედავებიან უმუშევრებს ჩვენ ვმუშაობთ და დიდი პრემიებიც გვეკუთვნისო რა სხვებს არ უნდა მუშაობა? არ შეუძლიათ მუშაობა? რამდენი ახალგაზრდაა განვითარებულ ქვეყნებში ნასწავლი და საქართველოში უმუშევრები დადიან.

და აი ასეთ ფონზე მერიამ გადაწყვიტა ნაგვის გატანის გადასახადი გაადიდოს და პირდაპირ პროპორციული გახადოს დენის გადასახადის. მე კორპუსში ვცხოვრობ, სადაც 100 ოჯახია და ყველა მათგანს დაახლოებით ორჯერ ეზრდება ნაგვის გადასახადი. მერია კი გაყვირის ეს გაიაფება არისო. ნაგვის გატანის გადასახადის მიბმა დენის გადასახადზე მაგონებს

გამოთქმას: სად ერეკლე, სად ჩემი ცოლი თეკლეო. არსებობს უარესი გამოთქმაც. მმართველმა პარტიამ შემოიტანა წინადადება პარლამენტარების რაოდენობის 40 ერთეულით გაზრდისა. ე.ი. ზრდიან მუქთა მჭამელთა რაოდენობას. მაგრამ ეს იმიტომ უნდათ, რომ ჰყავდეთ საკონსტიტუციო უმრავლესობა და როგორც უნდათ ისე შეცვალონ კონსტიტუცია. ჩვენი ქვეყნის პრობლემა ისაა, რომ არაფრით უკეთესი ოპოზიცია ხელისუფლებასთან შედარებით არა გვყავს. ოპოზიცია პირველივე შემოთავაზებაზე იყიდება. ასე, რომ 2012 საპარლამენტო და 2013 საპრეზიდენტო არჩევნები ძველი სცენარით წარიმართება.

2 ივლისი 2011 წ.

რა ვქნა, სად ვიშოვო სამშობლო

ადამიანები ეძებენ სამსახურს, ფულს ან სოფელსა და ქალაქს, სადაც იცხოვრებენ, მაგრამ თუ სამშობლო საძებნი იქნებოდა ამას ვერ წარმოვიდგენდი. ასე გამალებით, რომ ვნატრობდი საბჭოთა კავშირის დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობას ეს მოხდა, მაგრამ დავკარგე სამშობლო.

მე მილიონობით ადამიანებთან ერთად არაფერი არა ვარ. ხელისუფლებას მხოლოდ ერთი ფიქრი აქვს რა გზით გაატყავოს ხალხი. ორი წლის წინ მე თვითონ უარი ვთქვი ჩემს საკუთარ უნივერსიტეტზე ვინაიდან ხელისუფლებასთან საქმიანი ლაპარაკი შეუძლებელი იყო. მათ კანონი არ აინტერესებდათ. კანონი იყო ის, რასაც თვითონ იტყოდნენ. ბოლო წვეთი იყო შემდეგი შემთხვევა საგადასახადოდან მოვიდა ორი ადამიანი და მითხრა, ჩვენ ვიცით რომ თქვენ პატიოსნად მუშაობთ, ამიტომ ჯარიმას ვერ გამოგიწერთო. მაგრამ ბიუჯეტს ძალიან უჭირს და თუ შეგიძლიათ ბიუჯეტში თანხა ჩარიცხეთო (ეს თანხა თვითონ დამისახელეს), ამასთან გამაფრთხილეს ჩვენ პატივისცემა არ გვინდაო. თანხა, რომელიც მათ დამისახელეს მე შევიტანე ბიუჯეტში და რამოდენიმე დღე კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩემს ქვეყანას გამოვადექი. მაგრამ ეს კმაყოფილება დიდხანს არ გაგრძელებულა, სამი დღის შემდეგ მოვიდნენ და მითხრეს ქრთამი მოგვეციო. მე მათ ვუთხარი კი მაგრამ მე ხომ რაც მთხოვეთ უკვე გავაკეთე და ბიუჯეტში ფული შევიტანე. ბიუჯეტის დედა მოვტყანო მიპასუხა ერთ-ერთმა, მე ჩემი მინდაო. პირველად ვიფიქრე, არაფერსაც არ მოგცემთო, მაგრამ მივხვდი რომ ჩემს ასეთ მოქცევას საკმაოდ მძიმე შედეგები მოყვებოდა. ძვირფასო მკითხველო, როგორ

ფიქრობთ უყვართ ამ ხალხს საქართველო და ქართველი ხალხი? აქვთ ამ ხალხს იმის შეგრძნება თუ რა არის სამშობლო?

სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამომაგდეს, რეალურად კონკურსი არ ჩაუტარებიათ, კერძო უნივერსიტეტი დამახურინეს და არსებობის შენარჩუნების მიზნით გადავწყვიტე „ცენტრპოინტის" ფირმის დახმარებით ერთი პატარა ოთახი, ქალაქის განაპირას სავაჭრო ცენტრში 16 კვმ ამეშენებინა (ქალაქის ცენტრში ამ ფულით მხოლოდ 1 კვმ აშენდებოდა, მაგრამ ეს იყო ჩემი ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობის მაქსიმუმი). შესატანი თანხა მთლიანად გადახდილი მქონდა 2008 წლის თებერვალში. ჩემი პატარა მაღაზია „ცენტრპოინტს" ჩემთვის უნდა ჩაებარებინა 2008 წელს ასე იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებით. 2011 წელს გამომიცხადეს აღარ აშენდებაო. ყოველგვარი გზა ჩივილისა ჩემთვის დახურული იყო. ასევე არავითარი გზა არ იყო ფულის დაბრუნების მით უმეტეს „ცენტრპოინტისთვის" ჯარიმის გადახდევინებისა და იცით რატომ? ცენტრპოინტის ერთ-ერთი მფლობელი და დამფუძნებელი რუსუდან კერვალიშვილი (პარლამენტის ვიცე-სპიკერი) იყო. ძვირფასო მკითხველო ალბათ იფიქრებთ, რატომ არ იჩივლეთო. სად ვიჩივლო? მანამ ვიჩივლებდი სასამართლოში (ან აქვს აზრი ჩივილს) მივმართე წერილობით და ვთხოვდი ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას. არავითარი წერილობითი პასუხი არ მიმიღია. ჩვენ ასეთი წესი არა გვაქვსო. აი, დაჯექით ჩვენთან და ზეპირად გიპასუხებთო. კი მაგრამ, მე მინდა გიჩივლოთ სასამართლოში და თქვენი ზეპირი ლაპარაკი სასამართლოში მტკიცებულებად როგორ მივიტანო მეთქი, მაგრამ მათ ეს სულაც არ ადარდებთ. ერთი გზა დამრჩა თუ სადმე შემხვდა

რუსუდან კერვალიშვილი ხმამაღლა უნდა დავუძახო სატანაა...

დიდი ხანია ხელისფლებამ ქართული კინო მოკლა. ახლა თეატრს კლავენ. რუსთაველის თეატრიდან რეჟისორი რობერტ სტურუა გააგდეს. მიზეზი ის იყო, რატომ ამბობ რომ ჩვენი პრეზიდენტი სომეხიაო. მათი ძირითადი მიზანი სტურუას გაგდება კი არ იყო, არამედ რუსთაველის თეატრის მოკვლა.

ამ დღეებმა დიდი სპორტული ღონისძიება ჩატარდა – ევროპის პირველობა კალათბურთში მამაკაცებს შორის. ეს მართლა დიდებული სანახაობა იყო. ჩვენდა გასახარად საქართველოს ნაკრები 1-12 საუკეთესოთა შორის შევიდა. მაგრამ საქართველოს მთავრობამ მოახდინა ამ ჩემპიონატის პოლიტიზება. ლიტვაში ჩავიდა პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და თითქმის ყველა მინისტრი. საოცარი სანახაობა იყო ჩვენი მინისტრები სასტვენებით. ჩვენ გუნდს თან ჩაჰყვა 2000 კაცი, ძირითადად ის ხალხი ვინც იულია ტიმოშენკოს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებში ეხმარებოდა. თითქოს შიგნით რაღაც ჩამწყდა, როცა ამის შესახებ წავიკითხე, ყოფილი ბრწყინვალე უკრაინელი კალათბურთელის ვოლკოვის ინტერვიუ. ამჟამად ვოლკოვი უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. ის ამბობდა, რომ საქართველოს ყველა თამაშზე მსაჯები მოსყიდული ჰყავდა და ამის შესახებ ის აწარმოებს კერძო გამოძიებას.

რამდენი მაგალითი მოვიყვანო. ადამიანის გული და ფსიქიკა ამდენ უარყოფით ემოციებს ვეღარ იტანს. მიჭირს, მაგრამ ვეძებ ქვეყანას (საქართველოდან რაც შეიძლება შორს), სადაც გავიქცევი და რომელიც შეიძლება ჩემი სამშობლო გახდეს.

24 სექტემბერი 2011 წ.

მე, რიგითმა მოქალაქემ, როგორ შევიყვარო შევარდნაძე, სააკაშვილი ან ივანიშვილი

ახლა, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას ძალაუნებურად გონებაში ვაანალიზებ ჩვენი პრეზიდენტების მოღვაწეობას და მომავალი პირველი პირის საქციელის (მოქმედებების) პერსპექტივას. ალბათ ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები იქნება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო არჩევნები. ფალსიფიცირებული და დანაშაულებრივი იყო ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის არჩევნები. როგორი სიხარულით შევხვდი სააკაშვილის არჩევას. კაცმა განაცხადა: მე ოროთახიან ბინაზე მეტი არ მინდაო და დაიქირავა ოროთახიანი ბინა. კიევში გაფრინდა რიგითი მგზავრივით სარეისო თვითმფრინავით. რამდენჯერმე იმგზავრა მეტროთი და ა.შ. და ჰოი საოცრებავ, შემდეგ დაიწყო ძვირადღირებული თვითმფრინავების შეძენა, ღრეობები, გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა, რასაც მოჰყვა დამალული და დაუმალავი მკვლელობები და ა.შ. დაკარგა ტერიტორიის 20% და ეს აღიარა, როგორც დიდი გამარჯვება. მისი ერთი მხარდამჭერი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი ნატრობდა, ნეტავ რუსეთმა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაო და ეს ნატვრა ნაციონალურ მოძრაობას (სააკაშვილის პარტიას) ძალიან სწრაფად აუხდა. მე თითქმის ორი წელი ვიყავი მიშიკოს ფანი, ზოგჯერ ღამეებიც არ მეძინა, რომ ეს ახალგაზრდა დემოკრატი არ მოეკლათ. მაგრამ გავიდა წლები და რა შედეგები მივიღეთ. ოფიციალურად დაკარგული ტერიტორიები, დაუნდობელი ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ, განადგურებული მეცნიერება, განადგურებული სკოლები, განადგურებული უმაღლესი სასწავლებლები, განად-

გურებული მრეწველობა, განადგურებული სოფლის მეურნეობა და განადგურებული ადამიანი. როგორ დავუჭირო მხარი სააკაშვილს? მისი მხარდაჭერა ხომ იქნება ქართული გენის მოსპობის მხარდაჭერა? ჰოი საკვირველებავ, ჰორიზონტზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, კაცი, რომელმაც რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ერთი მილიარდ ორასი მილიონი ლარი აჩუქა. მან ააშენა სამების ბრწყინვალე ეკლესია, გაარემონტა რუსთაველის, მარჯანიშვილის და სხვა თეატრები, სკოლები და ა.შ. თავის მშობლიურ რაიონში გახსნა უფასო საავადმყოფო, ხალხს აუშენა სახლები და ა.შ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე რატომ უნდა მივცე ხმა ივანიშვილს? კი ბატონო, ოთარ გოგილაშვილი ხედავს ყოველივე ამას, მაგრამ მას აქვს არანაკლები პრეტენზიები ივანიშვილის მიმართ. როდესაც ის ამ სიკეთეს აკეთებდა ხელისუფლება მას საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა და ბიუჯეტს თავის ხოშზე ხარჯავდა. ბიუჯეტით ის ყიდულობდა ამომრჩეველს, ბიუჯეტიდან ხელფასს უნიშნავდა და უნიშნავს თავის მომხრეებს (კოორდინატორებს და სხვ.) და ბიუჯეტით ხელისუფლება ხალისობდა ძვირფასი კონცერტებით დაწყებული და მეძავე ქალებით დამთავრებული. დიახ, ამის საშუალებას მას ივანიშვილის დახმარება აძლევდა. გამოქვეყნდა სია იმ ხალხისა, ვისაც ივანიშვილი ფინანსურად ეხმარება და ამ სიიდან ნახევარზე მეტს დახმარება კი არ ჭირდება, პირიქით ისინი უნდა ეხმარებოდნენ სხვას. საქართველოში მილიონობით გაჭირვებულია და ბატონ ბიძინას ამ ხალხისთვის დახმარებას ვერ მოვუწონებ. მან უბრალოდ შეიძლება თქვას: ჩემი ფულია და ვისაც მინდა იმას მივცემო, მაგრამ მე ამას გამართლებად ვერ მივიჩნევ.

ადამიანი უცნაური არსებაა, ის შეიძლება ბევრ რამეს ამჩნევდეს, მაგრამ აქტიური ხდება მაშინ, როდესაც ეს პირადად მას ეხება (არც არის გასაკვირი, რომ ეს სხვისგან გაგებული ან წაკითხული კი არ არის,

არამედ პირადად შენ შეგხებია). 2008 წელს ქ. სეულში (კორეა) ტარდებოდა ფილოსოფოსთა მსოფლიო კონგრესი.

მე ვმონაწილეობდი წინა კონგრესებში. ქ. ბოსტონი (აშშ) 1998 წელს და ქალაქ სტამბულში (თურქეთი) 2003 წ. წასაღებად მომზადებული მქონდა სამი მოხსენება: 1. ვაჟა-ფშაველას ფილოსოფია, 2. რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება 3. აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილების პრობლემა. ბოლო საკითხზე მომზადებული მყავდა სტუდენტი (ლტოლვილი აფხაზეთიდან), რომელიც უნდა გამოსულიყო სტუდენტთა სექციაზე. მე ვთვლი, რომ ყველა ამ თემას საქართველოსთვის ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და ბატონ პაატა ზაქარეიშვილს გარკვეული მასალების მოწოდებასთან დაკავშირებით.

ორჯერ მივმართე ჯგუფ ქართუს განცხადებით, რომ ნაწილობრივ მაინც დავეფინანსებინეთ, მაგრამ პასუხისც კი არ მოუციათ. რუსეთსა და საქართველოს დამოკიდებულების შესახებ ჩემი მოხსენება სტამბულის კონგრესზე იმდენად აქტიურად ჩათვალეს თურქებმა, რომ მოხსენება გადათარგმნეს და გამოაქვეყნეს თავიანთ იურიდიულ ჟურნალში. მებადება კითხვა, ბატონი ბიძინა, რომელიც ბევრ შეძლებულ ქართველს ეხმარებოდა კომფორტის შესაქმნელად, რატომ არ უნდა დახმარებოდა პროფესორს და სტუდენტს, რომ მათ საერთაშორისო დონეზე დაეცვათ საქართველოს ინტერესები? ისევ იმ საწყის წერტილში მივედი. მე, საქართველოს რიგითმა მოქალაქემ სააკაშვილს მხარი დავუჭირე იმიტომ, რომ მოეცილებინა შევარდნაძე – და ახლა ივანიშვილს უნდა დავუჭირო მხარი, რომ მოგვაცილოს სააკაშვილი, როდემდე?

19 ნოემბერი 2011 წ.

ვინ ვადღეგრძელო, ან რა ვადღეგრძელო, წარმოდგენა არა მაქვს

ძალიან ინტენსიური ცხოვრება მქონდა ახალგაზრდობაში: მჩქეფარე სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა და მხიარული სანათესაო და საძმაკაცო პურმარილები. დრო გავიდა და მეც ასაკში შევედი. როგორც მეცნიერი ფილოსოფიაში გადავედი, აქვე დავძენ, რომ ფილოსოფიაში მე არავითარი პრეტენზიები არა მაქვს, მაგრამ ვთვლი რომ ყველა ადამიანი განათლებულიც და გაუნათლებელიც ფილოსოფოსია. პურმარილებიდან ბევრი სუფრა მახსენდება, მათ შორის ისეთებიც რომ სმაში ზოგიერთები დამიჩაგრია და სუფრაც კი დაუტოვებიათ. ფილოსოფიიდან კი ის მახსენდება, რომ მსოფლიო კონგრესებზე სამი მოხსენება მაქვს წაკითხული და ზოგიერთი მათგანი ისე მოსწონებიათ, რომ თავიანთ ენაზე უთარგმნიათ და თავიანთ ჟურნალში გამოუქვეყნებიათ. ეს წარსულში, მაგრამ დღეს? სადა ვარ და ვინა ვარ? სადა ვცხოვრობ? ამას სახელმწიფო ჰქვია თუ ერთი ტინკიცას აბსურდული წარმოდგენა? კითხვები ბევრი მაქვს, მაგრამ პასუხი არა.

სამეცნიერო მუშაობის საკმაოდ დიდი ენერგია მაქვს, მაგრამ ვის სჭირდება ეს? საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად არა. არავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ მოვხვდები საერთაშორისო კონფერენციებზე და მათ შორის მსოფლიოს კონგრესებზე და ისეთი საკითხები, როგორიცაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი და ა.შ. განიხილება, მაგრამ ასეთი საკითხები საქართველოს ხელისუფლებას არ აინტერესებს და უბრალოდ არ დამაფინანსებს. დაახლოებით ასევე იყო საბჭოთა კავშირში. მსოფლიოს კონგრესზე

ფილოსოფიაში ვერ წახვიდოდი, თუ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ს ნებართვა არ იყო. ეს ერთი მხარე, როგორია მეორე მხარე პურმარილების საკითხი. ჩემი ძმაკაცების უმრავლესობა ან მკვდარია ან მძიმედ არიან ავად. როგორა ვარ მე თვითონ? დღეისათვის ჩემი ნორმაა 700-800 გრ. ღვინო ან 100 გრ. არაყი. თუ მეტს დავლევ ეს უკვე ჯანმრთელობაზე აისახება.

ერთ 20 ლიტრიან ჭურჭელში 10 წლის ღვინო მქონდა და პროფილაქტიკის მიზნით სხვა ჭურჭელში გადასხმა დავიწყე. მე ღვინის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ეს ღვინო ახალ ღვინოსთან შედარებით უფრო უკეთესი იყო. სიმართლე გითხრათ მე ამის მექანიზმი არ ვიცი. აორთქლებით წყალთან შედარებით სპირტი უფრო ადრე ორთქლდება და ჩემი აზრით ღვინის სიმაგრე უნდა დაკლებოდა. ალბათ თვისებებს ის ქიმიური რეაქციები ცვლის, რომლებიც ღვინოში მიმდინარეობს. ასეა თუ ისეა, ძველი ღვინო უფრო მომეწონა. თანაც გადაღების შემდეგ დამრჩა დაახლოებით ერთი ლიტრი და ყველაზე ოპტიმალური იყო მისი დალევა, თორემ დამიმჟავდებაო და, რაც არაერთხელ დამმართვია. რამდენი წელია მარტო მე ღვინო არ დამილევია. ოჯახს უკვე ეძინა. პირველი სადღეგრძელო დავლიე ჩემი ოჯახის და მისი წევრების. მეორე სადღეგრძელო ცოლის ნათესავების და სხვა ახლობლების. მესამე სადღეგრძელო ჩემი ნათესავების და ახლობლების. მეოთხე სადღეგრძელო წასულების, მეხუთე სადღეგრძელო საქართველოსი, ხოლო მეექვსე მინდოდა დამელია ღმერთის ან სამყაროს სადღეგრძელო. ამ მომენტისთვის ღვინო უკვე ზევით თავში იყო ასული. გამახსენდა რუსთაველის სიტყვები: რომელმან შექმნა სამყარო და წავედი ფიქრებში. რა არის სამყარო? სად არის მოთავსებული სამყარო? ვთქვათ

სამყარო მოთავსებულია X მოცულობაში, მაშინ სადაა მოთავსებული X მოცულობა? და ა.შ. და ა.შ. მოკლედ ეს ამოცანა ვერ ამოვხსენი. ღვინო ბევრი აღარ მქონდა დარჩენილი, მაგრამ თუ ჩემს კითხვებზე პასუხი მექნებოდა ღვინოს ბოციდან გადმოვასხავდი, ასე რომ ღვინის პრობლემა არა მქონდა. წინ კი სავსე ჭიქა მედგა. ღვინო კი აგრძელებდა მუშაობას და ჩემს ტვინში მუშაობდა. კი ბატონო სამყაროს საზღვრები ვერ დავადგინე ან კი აქვს საზღვრები? იქნებ სამყარო უსასრულობაა? მაშინ რა არის უსასრულობა? შეიძლება, რომ ფიზიკურ სხეულებს ზომები არ ჰქონდეს? ეს კითხვა ჩემთვის პასუხგაუცემელი დარჩა. ჩემს ტვინში ღვინო კი მუშაობდა და მუშაობდა. ჩემი გონება მიუბრუნდა მეორე კითხვას ვინ არის ან რა არის ღმერთი? 1 ლიტრი კახური ღვინო ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა. გონება ამერია, ბევრი რამე გამახსენდა. გამახსენდა ნიცშეს მსჯელობა, ღმერთის შესახებ. მე იმას ვერ ვიკადრებ, ღმერთზე რაც ნიცშემ იკადრა, მაგრამ რომელი მეტია კაცობრიობის ისტორიისთვის მე და მილიარდობით ჩემისთანა თუ ნიცშე? რა თქმა უნდა ნიცშე. ბევრი რამე გამახსენდა, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე ერთ-ერთი ბერძენი ფილოსოფოსის გამონათქვამი: ცხენმა ხატვა რომ იცოდეს და უთხრა: ღმერთი დამიხატეო ის ცხენს დახატავსო, ხარმა ხატვა რომ იცოდეს და უთხრა ღმერთი დამიხატეო ის ხარს დახატავდა. ბევრი, ძალიან ბევრი რამე გამახსენდა ადამიანთა ისტორიიდან, ალკოჰოლი მეძალებოდა, უკვე შუაღამე იყო და ფიქრი შევწყვიტე ერთ რუსულ გამოთქმაზე ადამიანის შესახებ: დურაკომ რადილსა, დურაკომ პომრიოშ. დავლიე ბოლო ჭიქა და დავიძინე.

9 დეკემბერი 2011 წ.

დალესის დოქტრინა! ანუ, დალესი მაგარია!

ასაკოვან ადამიანებს კარგად ახსოვთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელი დალესი, რომელსაც დამუშავებული ჰქონდა მსოფლიოს დამორჩილების მარტივი სქემა. უნდა დაყრდნობოდი ადგილობრივი მოსახლეობის არასრულყოფილ ნაწილს, გაგეღარიბებინა მოსახლეობა, უარი უნდა გეთქმევინებინა ეროვნულ ფასეულობებზე, შეგექმნა ღარიბი და გაუნათლებელი მასა, რომლის მართვაც ადვილი იქნებოდა.

ამ გეგმამ შესანიშნავად იმუშავა საქართველოში. შენდება სასტუმროები და მასთან მისაყვანი გზები. მიდის ბრძოლა ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ. ყველაზე საჭირო პროფესიებია: პოლიციელი, ავტომობილის მძღოლი, მზარეული, მიმტანი და კახპა.

ამ დღეებში მოვინდომე პირადობის მოწმობის აღება. „ბრწყინვალედ" ჩატარებული თანამედროვე რეფორმის შედეგად ეს მოწმობა 5 ლარის ნაცვლად ღირს 31 ლარი + 3 ლარი ფოტო – 2 ლარი მიდი-მოდი. მოკლედ სულ მცირე 36 ლარი, ხოლო თუ გეჩქარება ძალიან 70 ლარი. აი ეს წარმატებული რეფორმა რა ტვირთად აწვება საქართველოს მოსახლეობას.

დილის ცხრა საათზე ბუდაპეშტის ქუჩაზე სააგენტოში ვიყავი. რამოდენიმე წუთში შევავსე ბლანკი და მივედი ფულის გადასახდელად, მაგრამ ნურას უკაცრავად „ლიბერთი ბანკის" ფანჯარა 9^{30} საათზე იღება. ოცი წუთი ვიჯექი და „ვტკბებოდი" რეფორმის მიღწევებით. სურათის გადასაღებად რიგია, უმრავლესობა ვერ ერკვევა გადაღების მექანიზმში და სთხოვს თანამშრომლებს დახმარებას, მაგრამ კიდევ ნურას უკაცრავად, რატომ უნდა აგიხსნან როგორ უნდა გადაიღო სურათი, აპარატს ხომ ყველაფერი აწერია და საბ-

ოლოოდ შეიგნე, რომ რეფორმა განხორციელდა და სააგენტოს თანამშრომლებმა რად უნდა გიკარნახონ. ერთმა კლიენტმა ავტომატს ვერ გაუგო და ავტომატმა თვალების ქვევით გადაუღო. ემჩნევა მას აღარ ჰქონდა 3 ლარი რომ კიდევ ეცადა გადაღება და მხიარულად მითხრა ამ სურათს სიდედრს წავუღებ და გავახარებ თავმოჭრილს რომ დამინახავსო. ვერა და ვერ გახდა ათის ნახევარი – ხალხი კი ემატება და ემატება. ჩემს გვერდით 3 ტალახიანი სკამი იდგა. ხალხი ზედ ვერა ჯდებოდა და ხმასაც ვერ იღებდა. კი მაგრამ სალხში ასეთი ტალახიანი სკამები გაქვთ? შეჰკივლა ერთმა ქალბატონმა. არავითარი რეაქცია თანამშრომლების მხრიდან. ქალბატონო, ბოლოში უფროსის კაბინეტია და იქ მიბრძანდით, უთხრა მანდატურმა. ქალი წავიდა უფროსთან და დაბრუნდა დამლაგებელთან ერთად. დამლაგებელმა ფორმალურად მშრალი ჩვარი გადაუსვა და მყისვე წავიდა. ტალახი ისევ სკამებზე დარჩა, ხალხი ისევ ვერა ჯდებოდა ტალახიან სკამებზე, ხოლო გაწბილებულმა ქალბატონმა რაღაც მწარე სიტყვები დაილაპარაკა და მოცილდა იქაურობას.

ამასობაში ათის ნახევარი გახდა და მივედი ფანჯრასთან, სადაც ლამაზი მშობლიური წარწერაა: „ლიბერთი ბანკი", უნდა გადამეხადა 31 ლარი, მე ამად მივაწოდე 100 ლარიანი (წინა დღეს აღებული პენსიიდან) და ამის გარდა კაპიკი არ მქონდა. მე მაგის ხურდა არა მაქვს მითხრა ოპერატორმა და მანამ აზრზე მოვიდოდი უკვე შემდეგი მივიდა ფანჯარასთან. მოკლედ უნდა მომეცადა, მანამ მსოფლიოში ერთერთი წარმატებული და მდიდარი „ლიბერთი ბანკი" 100 ლარის ხურდას არ შემიგროვებდა. საბოლოოდ დავრწმუნდი,რომ ჩვენი ლოზუნგი „მიშა მაგარია" უნდა შევცვალოთ ლოზუნგით „დალესი მაგარია".

2 მაისი 2012 წ.

მიშა – სიკვდილი, თუ ბიძინა – სიცოცხლე?!

სათაური ძალიან დამთრგუნველია და ეს კითხვა ისმის მრავალრიცხოვანი ქართველისგან მნიშვნელობა არა აქვს თუ ისინი რამდენი პროცენტი არიან – მოკლედ ქართველთა უმრავლესობისგან. არჩევნებამდე ერთი თვე დარჩა და შეშფოთებული ვარ – ვინ გაიმარჯვებს? მიშა თუ ბიძინა? რატომ ვსვამ ასეთ კითხვას? რამ მაიძულა, რომ ეს ვიფიქრო? 2003 წლის ნოემბრიდან დაიწყო საქართველოს ნგრევა, სულიერი და ფიზიკური და განვლილი 8 წლის განმავლობაში საქართველოში ფაქტიურად მოკვდა ადამიანი. შენ არ არსებობ და თუ ეს არ გჯერა, შეიძლება მოგცენ დაბეჭდილი ცნობა, რომ შენისთანა ადამიანი საქართველოში არ არსებობს. ვერსად ვერ იჩივლებ, იმიტომ რომ სასამართლო არ არსებობს, საქართველოში არის ერთი კანონი – მიშა. მიშას არაადეკვატურობას კი საზღვარი არა აქვს. ლოპოტას ტრაგედია დღესაც ჩემთვის აუხსნელია. მრავალი მძიმე ფაქტი გახმაურდა. თუ ვინმეს არ შეხებია ამ რეჟიმის კლანჭები შეიძლება არც დაიჯეროს, მაგრამ თუ შენ ერთი ფაქტი მაინც შეგეხო ამაში ღრმად დარწმუნდები. მახსენდება არკადი რაიკინი, მე მინდა ცნობა, რომ შენ გინდა ცნობა, მას უნდა ცნობა, რომ შენ გინდა ცნობა და ა.შ. საბოლოოდ შენ ცნობას ვერ მიიღებ. ამ რვა წლის განმავლობაში მიშას რეჟიმმა დამიხურა უმაღლესი სასწავლებელი და ერთი საშუალო სკოლა. როდესაც უმაღლეს სასწავლებელს მიხურავდნენ გამომიგზავნეს კომისია, რომელთა წევრების ასაკი არ აღემატებოდა 25 წელს. თანაც მათ დამთავრებული ჰქონდათ კერძო სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებები. 25

წლის გაუნათლებელ გოგოებს უნდა შეემოწმებინათ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლების მომზადების დონე. გათვლა იყო მარტივი და პრაგმატული: ეს გოგოები დაწერდნენ იმას, რაც უნდოდათ სამინისტროში და რაც იყო მთავარი. ჩვენი სამინისტროს იურისტების ჯგუფის უფროსი იყო ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი. როდესაც ეჭვი შემეპარა მის ადეკვატურობაში ვკითხე ძველ მეგობრებს განათლების სამინისტროში ეს გოგო ვინ მოიყვანა მეთქი და როდესაც მითხრეს მიშამო, ყველაფერი გასაგები გახდა.

ხოდა ძვირფასო ჩემო მკითხველო თავი რომ არ მოგაბეზროთ ძველი ისტორიებით მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რაც მე დღეს მაღელვებს. 2005 წელს დავდე ხელშეკრულება „ცენტრპოინთან" სავაჭრო ცენტრში 16.3 მ² ფართის აშენების შესახებ. მოსკოვის პროსპექტი ტრასაა და იქ სავაჭრო ცენტრი არ იყო. ამიტომ მიშას „დემოკრატიული" ხელისუფლების ამდენი დაყაჩაღების შემდეგ ეს საშუალო ზომის ოთახის შემოსავალი მეყოფოდა ჩემი მცირერიცხოვანი ოჯახის შესანახად. ვიყავი უაღრესად წესიერი გადამხდელი და მთელი თანხა ზუსტად გადავიხადე. ჩემთვის ეს ფართობი უნდა ჩაებარებინათ 2008 წელს. მაგრამ ამ დროისთვის მშენებლობა დაწყებულიც კი არ იყო. თითქოს პრეტენზიები ჩვენ უნდა გაგვჩენოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. კოოპერატივის თავმჯდომარე ჩვენსკენ საჩხუბრად იწევდა, ხოლო გაყიდვების უფროსი ქალბატონი უშვერი სიტყვებით მოგვიხსენიებდა. სასამართლოსთვის მიმართვას აზრი არ ჰქონდა. ერთმა მოიგო სასამართლო, მაგრამ განაჩენში ეწერა გადახდილი თანხა აუნაზღაურდეს 10 წლის განმავლობაშიო. ამ დროს გვითხრეს, რომ „ცენტრპოინტი" ჩაანაცვლა „დექსუსმა". ფაქტიურად ყველაფერი დაკარგული მქონდა და

მეგობრებმა მირჩიეს თუ რამეს შეგპირდა „დექსუსი” დათანხმდიო. „დექსუსმა” შემოგვთავაზა ადრე დაწყებული „ხერხის” შენობა ელიავას ბაზრობაზე, მაგრამ შემომთავაზეს 16.3 მ²-ის ნაცვლად 9 მ², იმიტომ რომ ელიავას ბაზრობა ჯობიაო, მაგრამ ჩემის აზრით მოსკოვის პროსპექტი სჯობდა. მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 10 თვეში. გავიდა 10 თვე და მშენებლობა არ დამთავრდა. და ჰოი საოცრებავ – გამომიცხადეს, რომ ჩვენ „ცენტრპოინტთან” არავითარი კავშირი არა გვაქვსო. ხოლო ხელშეკრულების დადებისას გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ „ცენტრპოინტის” სამართალმემკვიდრეები ვართო. კი ბატონო ვუთხარი მე, ვთქვათ „ცენტრპოინტთან” კავშირი არა გაქვთ მაგრამ თქვენთან დადებული ხელშეკრულების თანახმად მეკუთვნის პირგასამტეხლო 3% და ეს გადამიხადეთ მეთქი. არფერსაც არ გადაგიხდითო. შემდეგ, მივაკითხე და დავუტოვე განცხადება, რომ ეპასუხნათ კითხვებზე ვინაიდან ვაპირებდი სასამართლოში ჩივილს. არავითარი პასუხი მათ არ მოუციათ.

სქემა მარტივია: „ცენტრპოინტის” დამფუძნებელი რუსუდან კერვალიშვილი პარლამენტის ვიცე-სპიკერია. სააკაშვილს ემჩნევა, რომ საკმაო თანხა აქვს წაღებული „ცენტრპოინტიდან” და იცავს კერვალიშვილს. სანამ ამ ხელისუფლებაში ეს ორი პიროვნებაა „ცენტრპოინტი” და „დექსუსი” შეუვალები იქნებიან.

დავუბრუნდები სათაურს: თუ 1 ოქტომბერს მიშას მივცემთ ხმას, ეს იქნება პირადად ჩვენი პიროვნების და ქვეყნის სიკვდილი, თუ ხმას მივცემთ ბიძინა ივანიშვილს ეს იქნება ჩვენი პიროვნების და ქვეყნის სიცოცხლისთვის ხმის მიცემა.

1 სექტემბერი 2012 წ.

ნუთუ გვეშველა?

2011 წლის 7 ოქტომბერს ქართველმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა მოვდივარ პოლიტიკაშიო. ამ დროისთვის ბიძინას ცოტა თუ იცნობდა საქართველოში. უბრალოდ, ხალხმა იცოდა, რომ ბიძინამ ააშენა სამების ტაძარი, გაარემონტა სკოლები, ეკლესიები, თეატრები და ა.შ. მაგრამ არ იცოდა, რომ მთავრობა იღებდა ბიძინას ფულს ხელფასად, პატრუღი და პოლიცია აღჭურვა და დააფინანსა ბიძინამ, რომ საქართველოში რაგბის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა მან. სააკაშვილი ბაირამობდა ბიძინას ხარჯზე. რათ უნდა ბიძინას პოლიტიკაში მოსვლა? აი, რა კითხვა დაიბადა საქართველოს მოსახლეობაში. რით უპასუხა პრეზიდენტმა ბიძინას ამ განცხადებას? ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა. წლების განმავლობაში ქვიშის ფრენბურთში საქართველოს სახელით გამოდიან ბრაზილიელი ფრენბურთელები, რომელთაც თუ არ ვცდები საქართველო არც უნახავთ ისე მიანიჭა სააკაშვილმა მოქალაქეობა. ზოგიერთ უცხოელს არც კი უთხოვია მოქალაქეობა ისე მიანიჭა ეს სააკაშვილმა.

კონტროლის პალატაში შექმნეს აუდიტის სამსახური და დაიწყეს ბიძინას დევნა. უკანონოდ დააყაჩაღეს ბანკი „ქართუ”, ასეულ მილიონობით ლარით უკანონოდ დააჯარიმეს ბიძინა, მას მიაყოლეს კახი კალაძეც, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებები, რომლებიც ბიძინასთან თანამშრომლობდნენ. მთელი სახელმწიფო მანქანა, მათ შორის მედია საშუალებებიც ომობდნენ ბიძინას წინააღმდეგ. ბიძინას და მის მომხრეებს მიაკერეს პუტინის და რუსეთის აგენტების

იარლიყები. კაცს, რომელმაც მილიარდზე მეტი დაახარჯა თავის სამშობლოს ესროდნენ ქვებს, უყვიროდნენ წადი-წადიო. როდესაც რუსეთის აგენტობამ ველარ გაჭრა ბიძინას და მის მომხრეებს აბრალებდნენ კანონიერ ქურდებთან კავშირს. მთელი წლის განმავლობაში პრეზიდენტი ყოველდღე იგონებდა ნაირნაირ მიზეზებს და დადიოდა სხვადასხვა რაიონში და შეხვედრებს აწყობდა მოსახლეობასთან. ხშირად ისმოდა მიშა! მიშა! ეს ყველაფერი გადაიცემოდა ტელევიზიით და მიშა ამაყად აცხადებდა: მე არსად წავალ, მე და ჩემი გუნდი დიდხანს უნდა დავრჩეთ ხელისუფლებაშიო. ის თხოულობდა ხან 5 წელს, ხან 15-ს და ა.შ. საინტერესო იყო სააკაშვილის მხარდამჭერები: ისინი ყვითელი ავტობუსებით გადაჰყავდათ ერთი ქალაქიდან მეორეში. სულ იმას ვფიქრობდი, რომ ამით სააკაშვილი ატყუებდა თავის თავს, ეს ხომ თავს იჩენდა არჩევნებზე. მაგრამ, ამან თავი იჩინა არჩევნებამდე. 28 სექტემბერს, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისში მოაწყო შემაჯამებელი მიტინგი პრეზიდენტმა ვერ შეაგროვა 56000 ადამიანი, თანაც მობილიზებული იყო მთელი საქართველო. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ის, რომ ხალხი სტადიონს ტოვებდა იმ დროს, როდესაც სააკაშვილი ტრიბუნასთან იდგა და ხალხს მიმართავდა. საოცარი გამოდგა 29 სექტემბერი. „ქართული ოცნების" მიტინგზე თბილისის ქუჩებში დაახლოებით 300 ათასი კაცი გამოვიდა ამდენი ხალხი და ამდენი სითბო ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. 1 ოქტომბერს მიუხედავად არჩევნების არნახული გაყალბებისა გაიმარჯვა ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ „ქართული ოცნება" საოცრად ბევრი დარღვევები იყო არჩევნებზე, ხაშურში სპეცრაზმმა გაუშვა მხუთავი გაზი, ისროლა რეზინის ტყვიები და მოიტაცა საარჩევნო ყუთი. საშინელება იყო ზუგდიდში, სადაც გაყალბების სპეციალური შტაბი იყო შექმნილი. იუმორის მომგვრელი

იყო მცხეთის ერთ-ერთი საარჩევნო უბანი. გამგეობის წევრმა გახვრიტა საარჩევნო კაბინის ჭერი და იქიდან აკვირდებოდა თუ ვინ რას შემოხაზავდა. როდესაც ის დაინახავდა, რომ მოქალაქემ „5" – ნაციონალური მოძრაობა არ შემოხაზა, ჩამოდიოდა დაბლა და ეჩხუბებოდა.

ძვირფასო მკითხველო, ბევრ რამეს გავიგებთ გაყალბებებზე, მაგრამ გეტყვით ჩემი ოჯახის შესახებ. ჩემი მეუღლე, მუშაობს საჯარო სამსახურში და ის დაავალდებულეს შეეტანა 5 კაცის სია, რომელიც ხმას მისცემდა ნაციონალურ მოძრაობას. ის იძულებული გახდა ამ სიაში მთელი ოჯახი შეეყვანა. ნუთუ ეს არ არის დანაშაული ადამიანის, საქართველოს მიმართ? ჩემი ქალიშვილი ახლახან გახდა 18 წლის და პირველად მონაწილეობდა არჩევნებში. ნუთუ საქართველოს მომავალი უნდა აღზარდო სიყალბეში და ძალადობაში? არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის შენობამდე კოორდინატორებმა მოგვთხოვეს გარანტია, რომ მართლა ვაძლევდით ნაციონალურ მოძრაობას ხმას. გამოსვლისას ჩვენს მთავარ კოორდინატორს ბატონ ოთარს ეჭვი შეეპარა იმაში, მართლა მივეცი თუ არა ხმა ნაციონალურ მოძრაობას და მთელი სიმკაცრით მითხრა: ერთი კვირის შემდეგ შევამოწმებთ თითების ანაბეჭდებს ბიულეტენებზე და გავიგებთ ვის მიეცი ხმაო. ღმერთმა შეგინდოს ბატონო ოთარ.

7 ოქტომბერი 2012 წ.

რატომ არ მეკითხებიან ან მოსვლას ან წასვლას?

გვიანი შემოდგომაა, მაგრამ მზიანი დარია თბილისში. დღეს ჩვენი მეგობრის ანზორ რეხვიაშვილის ორმოცია. ახლო მეგობრები საბურთალოს სასაფლაოზე გავედით. სასაფლაოს ეს მონაკვეთი მდინარე ვერეს ხეობას გადაჰყურებს ძალიან არასასიამოვნოა სასაფლაოს ეს ადგილი, ჩაბეტონებული მიცვალებულები. აქვე მოჩანს გასაყიდად წინასწარ მომზადებული სასაფლაოები, სადაც ალპინისტები თუ ჩავლენ უსაფრთხოდ. მდინარე ვერეს ხეობა საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. საოცარი კონტრასტია – დაბლა ცოცხალი მჩქეფარე ბუნება, აქ კი უსახო ფონი – ჩაბეტონებული მიცვალებულები. განა ეს სამართალია? ვფიქრობ მე. ანზორს ძალიან უყვარდა ბუნება. მშენებელმა კაცმა ვერეს პირას წისქვილი ააშენა და ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდა ხალხს. ვინ არ ქეიფობდა მის წისქვილთან გივი ბერიკაშვილი, თენგიზ არჩვაძე და სხვა ცნობილი ადამიანები.

ადამიანი იბადება თუ არა იწყება მისი აღზრდა: ზნეობრივი, რელიგიური, პროფესიული, პატრიოტული და ა.შ. მაგრამ მას რაც მთავარია არავინ არ ეკითხება. უნდა თუ არა ამ ქვეყანაზე მოსვლა? ან წასვლა – ჩვენს შემთხვევაში წასვლა ბეტონის კედლებში? რა დააშავა ადამიანმა? რა ისეთი ვაშლი შეჭამა ადამმა, რომ მილიონობით წლების განმავლობაში მილიარდობით ადამიანი იტანჯება? არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ერთი ადამიანი მაინც თავის სურვილით მოსულიყო ამ ქვეყანაზე? რელიგიები ქადაგებენ, რომ

იმ ქვეყანას არის სამოთხე და ჯოჯოხეთი. იქნებ რომელიმე ადამიანს არც სამოთხე უნდა და არც ჯოჯოხეთი? და საერთოდ წასვლა არ უნდა ამ ქვეყნიდან.

გუშინ დავასაფლავეთ ჩვენი მეზობელი ნიკო გლურჯიძე: ერთი თვის წინ დიდხანს ვისაუბრეთ. ის ოპტიმისტურად იყო განწყობილი და რამოდენიმე საინტერესო ახლა რომ იტყვიან „პროექტი” შემომთავაზა. ნიკოს არსად წასვლა არ უნდოდა, აქაც მშვენივრად გრძნობდა თავს. რატომ არ კითხა ნიკოს მიქელ-გაბრიელმა უნდოდა თუ არა ამ ქვეყნიდან წასვლა? ვინა ვართ ჩვენ ადამიანები? მშიშარა მატყუარები? რატომ ვიგონებთ ამდენ სიცრუეს? ღმერთის ცნება ხომ ჩვენ თვითონ შევქმენით, ბიბლია და ყურანიც ხომ ჩვენი დაწერილია? ყოველთვის მახსოვს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ნათქვამი: ცხენმა რომ ხატვა იცოდეს და უთხრა ღმერთი დამიხატეო, ის ცხენს დაგიხატავდა, ხოლო ხარი, ხარს დაგიხატავდაო.

31.XII.2012 წ.

სარჩევი

წინასიტყვაობა ... 2
ტაგუ ხუნტუა ... 4
ტრიბუნის ბიჭები ... 9
გაუმარჯოს საბაზრო ეკონომიკას ... 12
ნაურა ... 20
იმპერიის ბოლო იმედი ... 25
თათბირზე ... 29
თეთრი ლობიო დავთესე ... 33
ლამფა ... 37
უკაცრავად, მე რექტორი მინდოდა ... 41
დაზი ... 47
შაღანა ... 51
რადიონი ... 56
ცაცა ... 59
რეპორტაჟი „ბუდკენგრადიდან“ ... 62
ვაჟა კირკიტაძე ... 68
ღმერთმა გაცხონოს ბატონო რადიონ! ... 73
ქსივები ... 78
ფაშუტია ... 85
მოდი, მოდი! ..... არა, ნუ მოხვალ! რითი არიან თაგვები და ხვლიკები ჩვენზე ნაკლები! ... 92
ვარდების რევოლუცია „ნაურა“ პარლამენტში ... 96
შორია ტრაპიზონამდე ... 106
ამირან გოგუას მოგონებები ... 110
მუცელა – ჩვენი ლიდერი ... 113
რა გეშველება საქართველო, თუ საერთოდ არსებობ! ... 116
სტუმრად ნაპოსთან! ჭუბურხინჯო! ჭუბურხინჯო! ... 119
სერგო არძინბა! დიდი აფხაზი! ... 122
გვჭირდება საქართველოში რეპრესირებული განათლების აკადემია? ... 126
კარლო ბლაგოძე ... 129
რა უნდა ვახუშტის ბიძაჩემების სასაფლაოზე! ... 132
თაგში ქვა გიხლიათ და მუცელში სამართებელი! ... 135

მიეცით ომში მონაწილეთა პენსია ძუგა ჯანაშიას! ... 138
ენგურის იქით და ენგურის აქეთ ... 141
XXI საუკუნის საქართველოს მედიცინა ... 144
ვინ უფრო ბედნიერია, კატის კნუტი, ბოჩოლა თუ მე? ... 148
მე და ჩემი სტუმრები ... 151
რეფორმირებული ქართული სასამართლო ... 154
ქართული ფაშიზმი ... 158
რა გინდათ მიხეილ სააკაშვილისგან, ბედოვლათო ქართველებო? ... 161
რის კანონი, რა კანონი, ხოში მაქვს და ვაკეთებ ... 164
რა ვქნა, სად ვიშოვო სამშობლო ... 167
მე, რიგითმა მოქალაქემ, როგორ შევიყვარო შევარდნაძე, სააკაშვილი ან ივანიშვილი ... 170
ვინ ვადღეგრძელო, ან რა ვადღეგრძელო, წარმოდგენა არა მაქვს ... 173
დალესის დოქტრინა! ანუ, დალესი მაგარია! ... 176
მიშა – სიკვდილი, თუ ბიძინა – სიცოცხლე?! ... 178
ნუთუ გვეშველა? ... 181
რატომ არ მეკითხებიან ან მოსვლას ან წასვლას? ... 184

ოთარ გოგილაშვილი

საქართველო ღამაზო

დამკაბადონებელი: ნინო თეთრაძე

გამომცემლობა „გეორგიკა“

თბილისი - 2013

188